www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 14 მარტი, 2003 წელი. №71 (283)
ფასი 50 თეთრი

## პერსონა

### დღემდე "ბატკა" ჟორბენაძე იყო

არ დავაკონკრეტებ, მაგრამ არც დავმალავ, რომ ჩვენც გვთავაზობდნენ, ხელი შეგვეწყო პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების პროცესისთვის, - ამბობს დავით გამყრელიძე.

B1

## ეკონომიკა

### ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი ყაზახურ ნავთობსაც გაატარებს

"ბრითიშ პეტროლიუმის" ვიცე-პრეზიდენტის მაიკლ თაუნსენდის განცხადებით, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ყაზახეთის ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ტრანსპორტირების შესახებ.

A4

## უცხოეთი

### „ერაყის ლიდერის მრისხანე მახვილი", ანუ როგორ ემზადებიან ერაყელები ომისათვის

როგორ აპირებს ერაყის მთავრობა მტერთან გამკლავებას? რა რესურსები გააჩნიათ ერაყელებს და რა ტაქტიკას მიმართავს პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი? ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესო მასალას აქვეყნებს ბრიტანული გაზეთი "დეილი ტელეგრაფი".

A5

## საზოგადოება

### პრეზიდენტი, ექიმები და „ლეიბორისტები" უზენაეს სასამართლოში

გუშინ სამედიცინო ობიექტების და მედიკოსების ბედით შეწუხებული "ლეიბორისტები" უზენაეს სასამართლოში ქვეყნის პრეზიდენტს დაუპირისპირდნენ. მოსამართლე სხირტლაძემ რამდენიმე დეტალის დასაზუსტებლად პროცესი 20 მარტამდე გადადო.

A6

## სამართალი

### „გრიცკოს" სასამართლო პროცესზე საეჭვო მოწმეები იკითხებიან

მოწმეები აცხადებენ, რომ განსასჯელი სანაიას მკვლელობის ღამეს ზოოპარკის პირდაპირ მდებარე ერთ-ერთ ბართან გაიცნეს. "მანქანით ვიყავით, მოვიდა ჩვენთან და გაგვეცნო – "გრიცკო" მქვიაო.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | ☂ |
| ქუთაისი | 14 | ☂ |
| ბათუმი | 13 | ☂ |
| სოხუმი | 12 | ☂ |
| ფოთი | 13 | ☂ |
| თელავი | 11 | ☁ |
| ზუგდიდი | 14 | ☂ |
| გორი | 9 | ☂ |
| ახმეტა | 11 | ☁ |
| ჭიათურა | 11 | ☂ |
| გაგრა | 11 | ☂ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.3616 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4733 |
| რუბლი | 0.0689 |

# ვიტალი ხაზარაძის აღმოჩენა

"პარლამენტი-2" და ახალი სპიკერი გადაარჩენს საქართველოს



"თქვენ რომ გეკითხებიან ჭკუას, ბატონო ვიტალი, იმიტომ მიდის ქვეყანაში საქმეები კარგად".

გიორგი ასანიშვილი

*ოპოზიციასთან მორიგი დამარცხების შემდეგ, ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" ლიდერს, ვიტალი ხაზარაძეს ნერვები ღალატობს და ალტერნატიული საკანონმდებლო ორგანოს შექმნით იმუქრება. მის განცხადებას პარლამენტის თავმჯდომარე "ანტიკონსტიტუციურს" უწოდებს და სახელისუფლებო ფრაქციებს აფრთხილებს, რომ ასეთი ავანტიურა, შეიძლება, ქვეყნისთვის საშიში შედეგებით დასრულდეს. თუმცა, გუშინ ეს არ იყო ვიტალი ხაზარაძის ერთადერთი ინიციატივა: სახელისუფლებო ფრაქციათა საპარლამენტო კოორდინატორი, ამავე დროს, რეგლამენტის მოთხოვნათა შეცვლას ითხოვს, რათა პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების პროცედურა გამარტივდეს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველოში არავის უნდა ობიექტური არჩევნები

ეკა კვესიტაძე

**ჩვენი ერთადერთი სურვილია, კარგად მოვემზადოთ ამ არჩევნებისთვის,** – ამ ტიპის განცხადებებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ კონსულტაციებზე სახელმწიფო მინისტრი ავთო ჯორბენაძე ხშირად აკეთებდა და თავად ამტკიცებდა, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, უპირველეს ყოვლისა, ამომრჩეველთა ზუსტი სიების შედგენა და არაპარტიული წესით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიებია აუცილებელი.

ამ სულისკვეთებით ჯორბენაძემ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან რამდენიმე შეხვედრა გამართა, ყველა მათ წინადადებას ენთუზიაზმით დაეთანხმა და შემდეგ, შეთანხმებული რეკომენდაციების გატარება პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, მარიამ ცაცანაშვილის კომისიას გადააბარა.

სახელმწიფო მინისტრის რეფორმატორობის მოჩვენებითი სურვილის მიუხედავად, თავიდანვე არავის შეპარვია ეჭვი იმაში, რომ "მოქალაქეთა კავშირისა" და ხელისუფლებისთვის არჩევნებისთვის კარგად მომზადება ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას - ამომრჩეველთა ზუსტი სიების შედგენას და საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული, და არა პარტიული ნიშნით, დაკომპლექტებას სულაც არ ნიშნავდა.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე, ცაცანაშვილის კომისიასთან ერთად, პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფიც მუშაობს, ყველა პრინციპული საკითხი, რომელიც არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფდა, მეორეხარისხოვანი გახდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მდიდრების 100 პროცენტი უმუშევარია

ვერიკო თევზაძე

*"გურიაში 100 პროცენტი მდიდარი ადამიანებისა უმუშევარია, ანუ ისინი ჩრდილოვან სექტორში მოღვაწეობენ. სამცხე-ჯავახეთშიც მდიდარი ოჯახების 100 პროცენტი უმუშევარია. საქართველოში დასაქმება ადამიანის კეთილდღეობას არ განაპირობებს... მთლიანი შიდა პროდუქციის 35 პროცენტი თბილისში იქმნება, 10 პროცენტი - აჭარაში, დანარჩენი კი – სხვა რეგიონებში. 2001 წელს თბილისში 250-ჯერ მეტი პროდუქცია შეიქმნა, ვიდრე გურიაში. რეგიონებს შორის განსხვავებამ საქართველოში სახიფათო ზღვარს მიაღწია. 1992-1993 წლებში საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ცხოვრება ერთნაირად ცუდი იყო, მაგრამ შემდეგ, გარკვეული სუბიექტური, თუ ობიექტური მიზეზების გამო, ესა თუ ის მხარე არათანაბრად განვითარდა. მაგალითად, იმერეთს ჰქონდა შესაძლებლობა, თბილისზე ორჯერ უფრო მეტად განვითარებულიყო, მაგრამ პიროვნული ფაქტორის გამო, ეს არ მოხდა...რეგიონებს შორის ეკონომიკური დისბალანსი თუ არ მოისპო, შედეგად სოციალურ-ეკონომიკურ კოლაფსს მივიღებთ", - დაბეჯითებით განაცხადა ექსპერტმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ. პოლიტიკურ კლუბში გამართული დისკუსიის თემა "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა და რეგიონალიზმი" იყო.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოთხი „კანონიერი ქურდი" ერთ დღეს დააკავეს

*შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე საკუთარ სკამს რომ უფრთხილდება, ამაში ეჭვს ცოტა ვინმე თუ შეიტანს. თუმცა, ფაქტია, რომ მინისტრის მიერ უშუალოდ მისთვის დასახული ამოცანის შესრულებას თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო შეუდგა და თბილისში "კანონიერი ქურდების" დაპატიმრება დაიწყო.*

სოფიკო ჩხაიძე

"კანონიერ ქურდებს" პოლიცია დროდადრო აქამდეც აპატიმრებდა, მაგრამ, უფრო ხშირად, დაპატიმრებიდან რამდენიმე დღეში, სხვადასხვა გზებით, ისინი ციხის გარეთ აღმოჩნდებიან ხოლმე. თუმცა, ამჯერად საქმე სხვაგვარად დგას.

ორშაბათს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრადიციულ თათბირზე კობა ნარჩემაშვილმა თავისი პირველი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე, რომელსაც უშუალოდ ევალება კრიმინალთან ბრძოლა, არჩევანის წინაშე დააყენა: ან მარტის ბოლომდე საქართველოში "კანონიერი ქურდების" პრობლემა მოიხსნას, ან ჩხაიძე დაემშვიდობოს თანამდებობას. როცა ასეთი ულტიმატუმია, შედეგის მისაღწევად საშუალებებზე ცხვირს არ იბზუებენ, მით უმეტეს, საქართველოს სამართალდამცველ ორგანოებში.

გაგრძელება A7 გვერდზე

# რუსეთი აბრძელებს სსრკ-ს რესტავრაციას

ეკონომიკური კავშირის კვალდაკვალ - სამხედრო გაერთიანება

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

ბოლო დღეებში რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი კოლიზიების პარალელურად, დსთ-ს მასშტაბით დაწყებული ყოვლისმომცველი ინტეგრაციის პროცესი თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვის სტრუქტურებზეც გავრცელდა. ამ მხრივ მოსკოვში კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი მოხდა - გადაწყდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გენერალური შტაბის შექმნა.

რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის ანატოლი კვაშნინის ხელმძღვანელობით, მოსკოვში ჩატარდა კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების შტაბთა უფროსების ტრადიციული სხდომა. სხდომაში მონაწილეობდნენ სომხეთის, ბელორუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის წარმომადგენლები. დამკვირვებლის სტატუსით მიიწვიეს საქართველო და უკრაინა. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი: 2004 წლისათვის კოლექტიური უშიშროების ერთიანი შტაბის ფორმირება. შტაბი მოსკოვში დაიდებს ბინას.

ამ სხდომის მთავარი სიახლეა ის, რომ რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი ანატოლი კვაშნინი დსთ-ს მასშტაბით გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურას უხელმძღვანელებს. უკვე მომზადებულია ერთიანი სამხედრო სტრუქტურის მექანიზმების შექმნის წინადადებების პაკეტი; თურმე, დიდი ხანია, დამტკიცებულია ამ სტრუქტურის შტატიც, განაწილებულია ფუნქციები და ამოცანები. მოსკოველი დამკვირვებლები ამ მოვლენას უკავშირებენ რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში მომხდარ უკანასკნელ საკადრო ცვლილებებსაც.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ტონი ბლერი ვა-ბანკზე მიდის

რევაზ ბახტაძე

11 მარტს, ღამით, ვაშინგტონმა პირველად განაცხადა, რომ ერაყის წინააღმდეგ ომი შეიძლება ბრიტანული ძალების გარეშე დაიწყოს, რადგან ტონი ბლერს, შიდაპოლიტიკური პრობლემების გამო, არ არის გამორიცხული, უკან დახევა მოუხდეს.

შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის თქმით, ბლერის წინაშე მდგარმა შიდაპოლიტიკურმა სირთულეებმა შეიძლება აიძულოს თეთრი სახლი, რომ ომი უახლოესი მოკავშირის გარეშე დაიწყოს.

თავის ბრიტანელ კოლეგასთან - ჯეფ ჰუნისთან ლაპარაკის შემდეგ რამსფელდმა განაცხადა, რომ "მათი [ბლერის და მისი მომხრეების] მდგომარეობა მათი ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. მათ ჰყავთ ხელისუფლება, რომელსაც პარალამენტთან ურთიერთობა განსხვავებული გზით უწევს", - აღნიშნა რამსფელდმა. "რას გადაწყვეტენ საბოლოოდ, ისევე გაურკვეველია, როგორც მათი მომავალი როლი".

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

*ტონი ბლერი ცაიტნოტში*

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ევროისტორია
B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

## ავთანდილ მარგიანი ასლან აბაშიძეს ქართულ-ოსური კონფლიქტის დასარეგულირებლად იწვევს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების - "ერთიანი საქართველოს" ლიდერი ავთანდილ მარგიანი აცხადებს, რომ აჭარის ავტონომიის მეთაურს ასლან აბაშიძეს სავსებით შეუძლია სათავეში ჩაუდგეს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესს.

ასლან აბაშიძე არის საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში და, მოწინააღმდეგეთა მკაცრი კრიტიკის მიუხედავად, ამ მისიას წარმატებით ასრულებს, - აცხადებს ავთანდილ მარგიანი.

ამიტომ, აღნიშნა მან, ასლან აბაშიძეს საერთო ენის გამონახვა არც ოსურ მხარესთან გაუჭირდება.

ავთანდილ მარგიანმა თქვა, რომ როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგება შეუძლებელია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დამყარების გარეშე, "რისი გაგებაც ბევრს არ სურს თბილისში, ხოლო ასლან აბაშიძე ის ადამიანია, ვისაც შეუძლია კომპრომისის მოძებნა ყველა მხარესთან".

":ერთიანი საქართველოს" ლიდერის თქმით, მისმა ორგანიზაციამ უკვე მიმართა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ასლან აბაშიძის შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვის თხოვნით.

იგი დარწმუნებულია, რომ ედუარდ შევარდნაძე ამ წინადადებას "ყურად იღებს".

ამასთან, ავთანდილ მარგიანმა განაცხადა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტაში ასლან აბაშიძის მონაწილეობა არ ნიშნავს სოციალისტური პარტიის ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის გადაყენებას ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის პოსტიდან.

უბრალოდ, ასლან აბაშიძის მონაწილეობით, ამ კონფლიქტის დარეგულირება უფრო სწრაფი ტემპებით წავა წინ, - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოკავკასიის რეგიონალური სამმართველოს სარდლის მოვალეობის შემსრულებელი გენერალ-ლეიტენანტი ვალერი პუტოვი და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი კორნელი სალია, 18 მარტს, ყაზბეგში შეხვდებიან ერთმანეთს საზღვრის დაცვის ერთობლივ ღონისძიებათა კომპლექსის განსახილველად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გარი კუპალბა "ერთადერთ სწორ" გადაწყვეტილებას უწოდებს რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების მიერ 7 მარტს სოჭში მიღებულ გადაწყვეტილებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელების თაობაზე იმ მომენტამდე, ვიდრე რომელიმე მხარე მათ გაყვანას არ მოითხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების სამინისტრომ ხუთშაბათს დაადასტურა, რომ საქართველოში უკანონო შეიარაღებული ფორმირებები არსებობს. როგორც პრაიმ-ნიუსს აღნიშნული უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა განუცხადა, უშიშროების მონაცემებით, ასეთი ფორმირებები ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით არსებობენ და, რიგ შემთხვევებში, კონკრეტული შპს-ების სახელს არიან ამოფარებულნი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმში ხუთშაბათს განაცხადეს, რომ მზად არიან სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მისი აღდგენის შემთხვევაში.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ნუგზარ სამსონიამ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, რომ სოხუმს მოძრაობის უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელი ძალები გააჩნია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივი ორგანიზაცია "საქართველოს საბჭოთა ოფიცერთა კავშირი", რომელიც 6 ათასამდე წევრს აერთიანებს, "დემოკრატიული აღორძინების კავშირს" კონსულტაციების ჩატარებას სთავაზობს შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე "აღორძინების" ერთიან პარტიულ სიაში "საბჭოთა ოფიცერთა კავშირის" წარმომადგენლების შეყვანის თაობაზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაციის "ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატიის ფონდის" თავმჯდომარე, ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ყოფილი პირადი მფრინავი ზაურ ბედია მიიჩნევს, რომ სარკინიგზო მიმოსვლის განახლების შემდეგ, ქართული და აფხაზური მხარეები სოხუმი-თბილისის ავიარეისების აღდგენის თაობაზე უნდა შეთანხმდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აღმასრულებელ ხელისუფლებაში გასატარებელი რეფორმების ძირითად მიმართულებებს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე მთავრობის მომდევნო სხდომაზე წარადგენს. ამის შესახებ დღეს ჟურნალისტებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ აკაკი ზოიძემ განუცხადა, რომელსაც ჯორბენაძესთან ერთად დავალებული აქვს ამ დოკუმენტის შემუშავება. **მედია-ნიუსი**

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი:
პასუხის ტექსტი

1
2
3
4
5

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

წესები კითხვის შესადგენად:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## "სოჭის დეკლარაცია აისბერგია და არავინ იცის, რა არის მის ქვემოთ" - აცხადებს ლევან ალექსიძე

**პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების პროცესი უნდა დაიწყოს, თუმცა ხელმოწერილ დეკლარაციაში ამასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.**

რამდენადაც ვიცი, ამაზე უნდა იმუშაოს სამმხრივმა კომისიამ, რომელიც უნდა შეიქმნას. პრობლემები, ალბათ, გვექნება, რადგან სეპარატისტები ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ.

**თუ არის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული შერეული ადმინისტრაციის მსგავსი მოდელი, რომელსაც ჩვენ აფხაზებს ახლა ვთავაზობთ?**

საქმე ის არის, რომ მსგავსი პრაქტიკა მართლაც არსებობს. ეს, ალბათ, იქნება ქართულ-აფხაზური შერეული ადმინისტრაცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი მეგობრებიც. გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში დაფიქსირებულია, რომ ეს იქნება სწორედ ქართულ-აფხაზური ადმინისტრაცია, თუმცა ძნელია წარმოიდგინო, რომ შერეული საერთაშორისო ადმინისტრაციის შექმნაზე დღეს სეპარატისტები დათანხმდნენ. გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ითვალისწინებს, რომ სახელისუფლებო ორგანოების მართვაში უნდა მონაწილეობდნენ დაბრუნებული დევნილები. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რაც ორი პრეზიდენტის მიერ სოჭში ხელმოწერილ დეკლარაციაშია ნათქვამი, მაგრამ რაც პუტინ-შევარდნაძის დოკუმენტის მიღმა მოხდა, უცნობია და ეს მხოლოდ შევარდნაძემ იცის. პრინციპში ის, რაც ამ დეკლარაციაშია ნათქვამი, დაფიქსირებულია სხვადასხვა დროს მიღებულ ოთხ გადაწყვეტილებაში. ამიტომ პუტინის „სინქრონიზაციის" ცნობილი მოდელი მას არ ეკუთვნის და მასში ახალიც არაფერია. უბრალოდ საქმე ისაა, რომ რუსეთი, წლების განმავლობაში, დსთ-ს სამიტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ბლოკავდა და თუ ამიერიდან მას ხელს აღარ შეუშლის, სიახლეც ეს იქნება.

ამის გარდა, დევნილთა დაბრუნება შეუქცევადი უნდა ყოფილიყო.


*ლევან ალექსიძე.*

იქ მკაფიოდ წერია, რომ დევნილების დაბრუნება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე და, პირველ რიგში, გალის რაიონში უნდა მოხდეს. მე წინააღმდეგი ვარ ეკონომიკურად ავაღორძინოთ აფხაზეთი და 300 ათასი დევნილი დავტოვოთ აფხაზეთის გარეშე. გალის რაიონის აღორძინებაზე გაერომ 2 მლნ. დოლარი დახარჯა, შემდეგ კი სეპარატისტებმა 1998 წელი მოაწყვეს. აფხაზები გალში არაფერს აკეთებენ, რადგან ამერიკელების კატეგორიული მოთხოვნაა, რომ სანამ დევნილები იქ არ დაბრუნდებიან, არ უნდა დაიწყოს ამ რაიონის ეკონომიკური აღორძინება. ეკონომიკური რეაბილიტაცია, დევნილების დაბრუნების გარეშე, უბრალო პოლიტიკური შანტაჟია და მეტი არაფერი.

**- ის დევნილები, რომელთაც ახსოვთ 1998 წლის გალის ტრაგედია, სეპარატისტთა რეჟიმის მმართველობის პირობებში ვეღარ დაბრუნდებიან...**

- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ლაპარაკია დევნილთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებაზე. უსაფრთხოების უზრუნველყოფა აუცილებელია. შევარდნაძე-პუტინის მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია არის აისბერგი და ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, რა არის ამ აისბერგის ქვემოთ. იმედი მაქვს, რომ ამას ცოტა ხანში გავიგებთ.

**- რომელ ქვეყნებში იყო ორმხრივი ადმინისტრაციის მოდელი და გაამართლა თუ არა მან?**

- ეს იყო ბოსნიაში, ჰერცეგოვინაში, ახლა კოსოვოში აპირებენ. ჩვენ შემთხვევაში საქმე სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს, რადგან სეპარატისტებისთვის შერეულ ადმინისტრაციაზე თანხმობა და დამოუკიდებლობაზე უარის თქმა ერთი და იგივეა. ამ მოდელზე წასვლა მათთვის არის ძალიან დიდი ნაბიჯი უკან. ამიტომ აქ ჩვენ შეიძლება სხვა მოდუსი გამოვნახოთ; ამ ეტაპზე მთავარია დაიწყოს დევნილთა უპირობო და შეუქცევადი დაბრუნების პროცესი. ჩვენ დევნილთა უპირობო დაბრუნებას მოვითხოვთ, რაშიც, ცხადია, შერეული ადმინისტრაციის მოდელია ნაგულისხმევი. აფხაზები ამას კარგად ხვდებიან, ამასთანავე, დევნილთა დაბრუნებაზე დაგვთანხმდნენ, მაგრამ თუ ეს მხოლოდ პოლიტიკური თვალთმაქცობაა, მაშინ ჩვენ სხვა ზომებს უნდა მივმართოთ.

*მედია-ნიუსი*

## რუსეთი აგრძელებს სსრკ-ს რესტავრაციას

პირველი გვერდიდან

"24 საათთან" საუბარში დსთ-ს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ გენერალმა **ვლადიმირ რომანენკომ** განაცხადა, რომ დსთ-ს ერთიანი გენერალური შტაბი განიხილავს ოპერატიულ საკითხებს, მას ექნება სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში სწრაფი რეაგირების ოპერატიული ქვედანაყოფები და უხელმძღვანელებს დსთ-ს რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების ყველა სტრუქტურას; მის ფუნქციებში შევა, აგრეთვე, კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნაც.

რომანენკოს ეჭვიც არ ეპარება, რომ **"ასეთი სტრუქტურის შექმნაზე მითითება პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მოდის. სწორედ ამიტომაა დაინტერესებული რუსეთის ხელისუფლება დსთ-ს სივრცეში საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების გაყიდვა-გამოცდის მექანიზმებით, რადგანაც დსთ მასშტაბით მიმდინარე დეზინტეგრაციულმა პროცესებმა მოშალეს ოდესღაც ერთიანი სამხედრო სივრცე, რითიც გამოუსწორებელი ზარალი მიადგა ყოფილ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს."**

რუსი ექსპერტების დასკვნით, კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების წევრი ქვეყნების შიგნით დაწყებული გაერთიანება ამ რესპუბლიკების სამხედროთა უკმაყოფილებას სულაც არ გამოიწვევს. კულუარული ინფორმაციით, უკრაინა უკვე განიხილავს ერთიანი ეკონომიკური სივრცის შემდეგ დსთ-ს ერთიან სამხედრო სივრცეში გაერთიანების პერსპექტივას.

შევა თუ არა დსთ-ს ერთიან გენერალურ შტაბში საქართველო? - ეს თემა დღევანდელი სხდომის მონაწილეთა ყველაზე სასიამოვნო სურვილებსა და ტკბილ ილუზიებს წარმოშობდა. რუსი ექსპერტები ქართველ კოლეგებს ამ თემაზე დაფიქრებას ურჩევენ, რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული საშიშროების თავიდან აცილების მიზნით. ბელორუსიის წარმომადგენლების აზრით, ახალი სტრუქტურა ხელს შეუწყობს გენერალური შტაბების ხელთ არსებული ინფორმაციების გაცვლას. **"თუკი ერთიან ეკონომიკურ სივრცეში შევდივართ, სამხედრო თანამშრომლობის გარეშე ამ სივრცის უსაფრთხოების გარანტიების დაცვა წარმოუდგენელი იქნება,"** -განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბარში ბელორუსის წამრომადგენელმა დსთ-ს კოლექტიური უშიშროების საბჭოში. და ყველაზე მთავარი - ამ სხდომაზე სტარტი აიღო ყველაზე აქტუალური საკითხის განხილვამ: ერაყში მოსალოდნელი სამხედრო მოქმედებების პირობებში, დსთ-ს გენერალურმა შტაბმა უნდა სრულყოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მთელი კომპლექსი, რომელიც, ანატოლი კვაშნინის სიტყვებით, ან არ არსებობს, ან პარალიზებულია, მაგალითად, საქართველოში.


*ჯონი ფირცხალაიშვილი.*

მოსკოვში გამართულ სხდომაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ჯონი ფირცხალაიშვილმა კვაშნინს საგარეჯოს სამხედრო ბაზაზე, რუსების საკუთრებაში მყოფ სამხედრო საწყობზე ჩამოუგდო სიტყვა. ფირცხალაიშვილის თქმით, კვაშინინის რეაქცია საწყობის ქართული მხარისათვის გადაცემაზე, **"ნაწილობრივ დადებითი იყო".** ფირცხალაიშვილმა თავისი რუსი კოლეგა თბილისში გულმხურვალედ მიიპატიჟა. საპასუხოდ კვაშნინმა ფირცხალაიშვილი "თანამეგობრობის საბრძოლო მედლით" დააჯილდოვა.

სანამ დსთ გაერთიანებული გენერალური შტაბის უფროსი ანატოლი კვაშნინი საქართველოში სამოგზაუროდ მოიცლის, ამასობაში თბილისს ეწვევა რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი ნიკოლაი კორმილცევი.

ფირცხალაიშვილის თქმით, მოსკოვში კვაშნინთან შეხვედრაზე ერაყის გარშემო საუბარი არ ყოფილა და რუსებს არც საქართველო-ნატოს მზარდ კონტაქტებზე გამოუთქვამთ თავიანთი ტრადიციული უკმაყოფილება.

რუს კოლეგებთან შეხვედრა რომ კარგი შედეგით დასრულდა, იმითაც მივხვდით, რომ ბატონი ფირცხალაიშვილი ჩვენთან საუბრის დროს ჩინებულ, უფრო მეტიც, ამაღლებულ ხასიათზე ბრძანდებოდა. ალბათ, მოსკოვური "სამხედრო-პოლიტიკური გაზაფხულის" ბრალია.

მოსკოვში ჩატარებული გენერალური შტაბების უფროსთა სხდომის შემდეგ, სასწრაფოდ შეიკრიბნენ საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრებიც. დახურულ ფორმატში მათ განიხილეს დსთ-ს გაერთიანებული შტაბის ფინანსური და პოლიტიკური უზრუნველყოფის ასპექტები.

## სოჭის შეხვედრის თავისუფალი ინტერპრეტაცია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ხუთშაბათს, რუსულ მხარეს მოუწოდა, განმარტება გააკეთოს რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების 7 მარტის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც საუბარია სოჭში გამართულ სამმხრივ შეხვედრაზე.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი, სოჭის შეხვედრა ხაზგასმით ორმხრივ ფორმატში ჩატარდა, რაც აისახა კიდევაც პრეზიდენტების - ვლადიმირ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის შემაჯამებელ განცხადებაში, ასევე - რუსეთის პრეზიდენტის ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, სადაც უმაღლეს დონეზე რუსეთ-საქართველოს ორმხრივი შეხვედრის შედეგებზე იყო საუბარი.

ამასთან დაკავშირებით, ქართული მხარე დაუშვებლად მიიჩნევს შეხვედრის თავისუფალ ინტერპრეტაციას, რაც ეწინააღმდეგება ორი სახელმწიფოს მეთაურების მიერ მიღწეულ შეთანხმებათა შინაარსსა და სულისკვეთებას.

საგარეო უწყების დეპარტამენტის ცნობაში, ასევე, საუბარია იმაზე, რომ 10 მარტს რუსეთის სახელმწიფო ტელეარხის საინფორმაციო პროგრამა "ვესტი"-ში იგორ ახბა მოხსენებული იყო, როგორც "რუსეთში აფხაზეთის წარმომადგენელი", ეს იმ დროს, როდესაც რუსული მხარე არაერთგზის უარყოფდა რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლობის არსებობას.

აღნიშნულ ფაქტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო განიხილავს საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების ბოლო შეხვედრაზე დასახული დადებითი ტენდენციების განვითარების ხელის შეშლის მორიგ მცდელობად და რუსულ მხარეს მოუწოდებს შესაბამისი ზომების მიღებისაკენ, ეგრეთ წოდებული "რუსეთში აფხაზეთის წარმომადგენლობის" მოღვაწეობის შესაჩერებლად.

*პრაიმ-ნიუსი*

## ბიულეტენების დამნიშნავის ძებნა გრძელდება

ნინო ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევისას, როგორც ცნობილია, "აღორძინების" წარმომადგენლის, ვიცე-სპიკერ როსტომ ჯაფარიძის წყალობით, დანიშნული ბიულეტენები აღმოაჩინეს. ბიულეტენები მარჯვენა ზედა კუთხეში უფერო საღებავით იყო დანიშნული. მაშინ ეჭვი პარლამენტის აპარატის თანამშრომლებსა და, უფრო მეტად კი, აპარატის უფროს ხათუნა გოგორიშვილზე მიიტანეს. თუმცა, გოგორიშვილის თავზე მოქუფრული ცა გადაიწმინდა და ბიულეტენების ამბავიც თითქოს ყველას გადაავიწყდა, გენერალური პროკურატურის წარმომადგენლების გარდა. როგორც "24 საათს" ინფორმირებულმა წყარომ ამცნო, ამ დღეებში პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს, განმეორებითი გრაფიკული სასამართლო ექსპერტიზისათვის, კიდევ ერთხელ ჩამოაწერინეს რიცხვები.

კომენტარისათვის "24 საათი" ხათუნა გოგორიშვილს დაუკავშირდა. როგორც პარლამენტის აპარატის უფროსმა განგვიცხადა, იგი ამ მოვლენების საქმის კურსში არ არის და ინფორმაციის მისაღებად პროკურატურისთვის მიმართვა გვირჩია. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ელდარ თოფჩიევის განმარტებით, **"პარლამენტის აპარატის თხუთმეტი თანამშრომლიდან ათს უკვე ჩამოართვეს საექსპერტიზო მასალა. თავდაპირველად, სასამართლო გრაფიკული ექსპერტიზა საქართველოში ჩატარდა. მასში თითქმის ყველა შესაბამისი უწყება იყო ჩართული - იუსტიციის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები, თუმცა ერთმნიშვნელოვანი დასკვნის მიღება ვერ მოხერხდა".** ამის შემდეგ, გამოსავალი იმაში მოიძებნა, რომ ჩვენმა გენერალურმა პროკურატურამ, უფასო დახმარების თხოვნით, რამდენიმე ქვეყანას მიმართა. მიმართვას საბოლოოდ უკრაინა გამოეხმაურა. როგორც თოფჩიევი განმარტავს, რადგან ამგვარი ექსპერტიზა საკმაოდ რთული ჩასატარებელია, შესაძლოა, ვერც უკრაინაში ჩატარებული ექსპერტიზის პასუხი იყოს ერთმნიშვნელოვანი... რაც შეეხება სასჯელს, რომელიც ბიულეტენების "მომნიშნავს" უნდა ელოდეს, როგორც ელდარ თოფჩიევი გვპასუხობს: **"კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხი, გრაფიკული სასამართლო ექსპერტიზის შემდეგ დადგება".**

*"24 საათი"*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ვიტალი ხაზარაძის აღმოჩენა





*ალტერნატივები.*

პირველი გვერდიდან

ძნელი სათქმელია, როგორ შეაფასებენ ვიტალი ხაზარაძის განცხადებებს (განსაკუთრებით, პირველს) კანცელარიის კაბინეტებში და შეეცდებიან თუ არა, საპარლამენტო კრიზისის განსამუხტად "მოქალაქეთა" ფრაქციის ხელმძღვანელის მსხვერპლშეწირვას და, ამ მიზნით, მისი როყიო ნათქვამების გამოყენებას. ერთი რამ კი უკვე ცხადია: ხაზარაძის "ნოვაციის" გახმოვანებამ საპარლამენტო უმრავლესობის ბევრი წევრი დააფრთხო და "ალტპარლამენტის" ჩამოყალიბების იდეის ავტორს ისინი სასწრაფოდ გაემიჯნენ.

**"ვიტალი ხაზარაძე სულაც არ არის თემატური უმრავლესობის კოორდინატორი,"** - ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარის სახელზე კანცელარიაში ადრე გაცემული რეგალიის რეალობას უარყოფს სოციალისტი ზაქარია ქუცნაშვილი.

**"ვინც ფიქრობს, რომ საქართველოს პარლამენტში ახლა ასეთი განცხადებების კეთების დროა, ძალიან ცდება,"** - აცხადებს "მრეწველი" დავით სალარიძე.

**"ვიტალი ხაზარაძის ორივე განცხადება უადგილოა,"** - ამტკიცებს კობა ამირხანაშვილი.

**"ალატერნატიული პარლამენტის შექმნის იდეა არ არის სამთავრობო ფრაქციების პოზიცია,"** - ხაზარაძის ერთ განცხადებას "გაურბის" სახელისუფლებო ფრაქციის - "ალიანსი ახალი საქართველოსთვის" - თავმჯდომარე ირაკლი გოგავა, თუმცა, იგი არაფერს ამბობს იმასთან დაკავშირებით, მისი თანაგუნდელების მხრიდან იქნება თუ არა მხარდაჭერილი პარლამენტის თავმჯდომარის იმპიჩმენტის ინიციატივა.

ისე, სპიკერის გადაყენების სურვილი თემატურ უმრავლესობას სპონტანურად რომ არ გასჩენია, ლევან პირველის რეპლიკაც ადასტურებს, რომელიც მან ვიტალი ხაზარაძის გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ დილის სხდომის მიმდინარეობისას ისროლა: მან სიტყვა არ დაამთავრებინა ნინო ბურჯანაძეს, რომელიც ამბობდა, რომ მომავალი პარლამენტის თავმჯდომარე აღარ იქნებოდა, და მიაძახა: **"მალე ამ პარლამენტის თავმჯდომარეც აღარ იქნები."**

თავად ნინო ბურჯანაძე მისი იმპიჩმენტის მუქარას მსუბუქი ირონიით ხვდება და ამ საქმეში "შეთქმულებს" დახმარებასაც კი ჰპირდება. სამაგიეროდ, "პარლამენტი-2"-ის შექმნის იდეის მიმართ სპიკერი ძალზე მკაცრი და შეუვალია.

**"ეს არის პარლამენტის გახლეჩის მცდელობა. თქვენ რომ გეკითხებიან ჭკუას, ბატონო ვიტალი, იმიტომ მიდის ქვეყანაში საქმეები კარგად,"** - აღნიშნავს ბურჯანაძე, რომელსაც არ სურს იმის დაჯერება, რომ პარლამენტში განვითარებული მოვლენების უკან თავად შევარდნაძე დგას. სპიკერის აზრით, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები ატყუებენ პრეზიდენტს, როდესაც მას თავიანთ ძლევამოსილებაში არწმუნებენ.

**"სინამდვილეში კი, საპარლამენტო უმრავლესობა იმდენად უსუსურია, რომ 118 ხმის შეგროვებას ვერ ახერხებს,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე, რომელიც თავისი ნათქვამის დასადასტურებლად, დეპუტატების რეგისტრაციას ატარებს. ტაბლო სხდომათა დარბაზში მხოლოდ 111 პარლამენტარის ყოფნას აფიქსირებს.

**"სად არის თქვენი 118 თანამოაზრე, ბატონო ვიტალი?"** - ეკითხება პარლამენტის თავმჯდომარე "მოქალაქეების" ფრაქციის ხელმძღვანელს, რომელსაც, ბურჯანაძის ვარაუდით, ამნეზია უნდა სჭირდეს. ხაზარაძის ნაცვლად, სპიკერის შეკითხვას ოპოზიციის წარმომადგენლები პასუხობენ: **"მოიყვანონ რამდენიმე დეპუტატი რესტორნიდან და პრობლემა აღარ ექნებათ."**

მთელი ამ აურზაურის გამომწვევი მიზეზი და წინაპირობა კი ის უსაშველო დებატები გახდა, რომელიც, როსტომ დოლიძის კომიტეტის დასკვნასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ სამშაბათის პლენარულ სხდომაზე დაიწყო და გუშინაც თითქმის მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. ალტერნატიული პარლამენტის შექმნის იდეა ნამდვილად არ გაჩნდებოდა და ნინო ბურჯანაძის სავარძელსაც გუშინ, ალბათ, არ დაემუქრებოდნენ, 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის შესახებ მიღებული კანონის ირგვლივ ოპოზიციასა და უმრავლესობას საერთო ენა რომ გამოენახათ. ვიტალი ხაზარაძემ თავისი "ნაღმები" სწორედ მაშინ ააფეთქა, როდესაც დარწმუნდა, რომ უმცირესობასთან ტაქტიკური ბრძოლა კიდევ ერთხელ წააგო და 28 თებერვალს მიღებული კანონის გაუქმების საკითხის კენჭისყრამდე მიყვანა არაფრით ხერხდებოდა.

**"შევქმნათ ინტერფრაქციული ჯგუფი და კრიტიკული მდგომარეობიდან ამაღამ ერთად ვეძებოთ გამოსავალი,"** -შესთავაზა მთელი დღის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლებში ქანცგაწყვეტილ დეპუტატებს ნინო ბურჯანაძემ. რა შედეგი გამოიღო სპიკერის კაბინეტში წუხანდელმა თავყრილობამ, დღევანდელ პლენარულ სხდომაზე გამოჩნდება.

# საქართველოში არავის უნდა ობიექტური არჩევნები

პირველი გვერდიდან

**"დარწმუნებული ვარ, ბევრი არაფერი გაკეთდება. ჩვენი რეკომენდაციების მხოლოდ 15 პროცენტს ითვალისწინებენ, სამაგიეროდ, დიდ დროს უთმობენ ისეთი დეტალების განხილვას, თუ სად, რომელ შენობაზე უნდა გაიკრას საარჩევნო პლაკატები,"** – ამბობს "თავისუფლების ინსტიტუტის" დირექტორი ლევან რამიშვილი.

**"შეთანხმებიდან, რომელსაც ხელისუფლებასთან მივაღწიეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები იგნორირებულია. მაგალითად, უნდა შემდგარიყო ამომრჩეველთა ხელახალი სიები. ამისთვის სახელმწიფოს უნდა მოეწვია ავტორიტეტული, გამოცდილების მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ამას გააკეთებდა.**

**ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან შემდგარ ტექნიკურ ჯგუფს უნდა შეესწავლა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ტექნიკის დეტალები, შეემუშავებინა რეკომენდაციები და კონტროლი გაეწია იმ შეთანხმებების შესრულებისათვის, რომელსაც ჩვენ ხელისუფლებასთან მივაღწევდით.**

**მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი: უნდა შექმნილიყო ორი ჯგუფი - ტექნიკური და პოლიტიკური. პოლიტიკური ჯგუფი იმუშავებდა ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციების ჩამოყალიბებაზე, ტექნიკური ჯგუფი კი - ამომრჩეველთა სიებზე, დაფინანსებაზე, არჩევნებისთვის შენობა-ნაგებობების გამოყოფაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ერთ ქვაბში ჩაყარეს და გადაულოცეს ცაცანაშვილის ეგრეთ წოდებულ კომისიას, რომლის წევრი მეც გახლავართ. დღეს იქამდე მივედით, რომ ამ კომისიის ხელდასხმით, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის მიხედვით, ამომრჩეველთა შესახებ მონაცემთა შეკრება მერებს, გამგებლებს და პოლიციის ხელმძღვანელებს დაავალეს - მათ, ვინც წლების განმავლობაში არჩევნების გაყალბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა,** – აცხადებს "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელი ნუგზარ კუპრეიშვილი.

თავის დროზე პარლამენტი არ აღმოჩნდა მზად იმისათვის, რომ საარჩევნო კომისიების პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებისათვის ეყარა კენჭი. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ინტერფრაქციული სხდომები თვეების განმავლობაში იმართებოდა, საბოლოო ჯამში, პარტიებმა საარჩევნო კომისიებში თავისი ერთგული წარმომადგენლების დატოვება ამჯობინეს. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება, თუმცა ყველა პარტია თეორიულად აღიარებს, რომ პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებისადმი ობიექტურ მიდგომას გამორიცხავს, კომისიებში სტატუს კვოს შენარჩუნება, როგორც ჩანს, მაინც ყველას ინტერესებში შედის.

**"ამ ქვეყანაში არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აინტერესებს სამართლიანი არჩევნების ჩატარება. თავისთავად, ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსებს შორის საუბარი მხოლოდ პარტიულ ცესკო-ზე მიმდინარეობს, უკვე ყველაფერს წერტილს უსვამს. ხელისუფლება, ბუნებრივია, ყველაზე მეტად არის დაინტერესებული იმით, რომ არჩევნები გაყალბდეს. ცაცანაშვილის კომისიაში რაც ხდება, ეს არის სრული აბსურდი. ორი კვირის განმავლობაში ეს კომისია ერთადერთი რამით არის დაკავებული, რომ პოლიციის უფროსები სიების შედგენაზე დაიყოლიონ. ისინი კი უარს ამბობენ, რადგან იციან, რომ მთელი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ და, საბოლოო ჯამში, ჯოხს მათზე გადატეხენ. ამ არჩევნებზე სიები იქნება უფრო უარესი, ვიდრე წინა არჩევნების დროს,"** – ამბობს თინა ხიდაშელი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.

115 ლარის გარშემო ატეხილ პოლიტიკურ ისტერიაში ყველას მიავიწყდა საარჩევნო კანონი, მათ შორის, იმ ოპოზიციასაც, რომელიც საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანას პრიორიტეტად მიიჩნევდა.

ასე რომ, გამოცდილებას, რომელიც სომხეთმა საპრეზიდენტო არჩევნების დროს მიიღო, ჩვენც მალე გავიზიარებთ. არ არის გამორიცხული ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტი "გმირობა" გამოიჩინოს, ვიდრე ეს სომხეთის ხელისუფლებამ მოახერხა.

ფაქტია, რომ, თუ საარჩევნო ადმინისტრაციებში სტატუს კვო შენარჩუნდა და ახალი სიები არ შედგა, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ილუზიად დარჩება. ის, რომ დღევანდელ ცენტრალური საარჩევნო კომისიას ნებისმიერ უსინდისობაზე შეუძლია ხელი მოაწეროს, ჯერ კიდევ რუსთავის არჩევნებმა აჩვენა, როცა ცესკო-ს წევრთა უმრავლესობამ ჩატარებულად ცნო ის არჩევნები, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი მივიდა.

იგივე სომხეთის არჩევნებმა დაადასტურა, რომ არჩევნების შემდეგ ჩატარებულ, თუნდაც მრავალათასიან დემონსტრაციას, რეალური შედეგი არ მოაქვს. დემონსტრაცია უნდა ჩატარდეს მანამ, სანამ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

# კოლეგები აფასებენ გიორგი თარგამაძის ნაბიჯს

*გიორგი თარგამაძის პარლამენტიდან წასვლა მისი კოლეგებისთვის და ყოფილი თანაგუნდელებისთვის საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. თარგამაძის აღნიშნულ გადაწყვეტილებას ქართული პოლიტიკური სპექტრი ღირსეულ ნაბიჯად აღიქვამს, მოტივად კი, ძირითადად, პოლიტიკური ფაქტორი და "აღორძინებაში" მიმდინარე პროცესები სახელდება. ამ თემასთან დაკავშირებით, "24 საათი" პარლამენტართა კომენტარებს გთავაზობთ.*

**ნოდარ ჯავახიშვილი, ფრაქცია "ერთიანი საქართველო":**

- აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ გიორგი თარგამაძის პოლიტიკურ გამჭრიახობაში, ჭკუაში და, მიუხედავად ახალგაზრდობისა, პოლიტიკურ გამოცდილებაშიც. ამდენად, თუ მან პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვეტა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს მისთვისაც იქნება სასარგებლო და ქვეყნისთვისაც. დიდი ხანია, ვიცნობ გიორგის და მისი, როგორც პოლიტიკოსის, ინტერესები ყოველთვის თანხვედრი იყო ქვეყნის ინტერესებისა.

**ჯემალ გოგიტიძე, "აღორძინება":**

- თარგამაძის გუშინდელი გადაწყვეტილება ჩემთვისაც და ბატონი ასლანისთვისაც მოულოდნელი იყო. თუმცა, როგორც კი შევიტყვე, ვეცადე, გადამერწმუნებინა. თარგამაძემ საკმაოდ წამგებიანი ნაბიჯი გადადგა, პირველ რიგში - საკუთარი თავისთვის. პარტიის დანაკლისზე ამ შემთხვევაში არ არის საუბარი. ათიათასიან პარტიას გიორგი თარგამაძის წასვლა ვერ დააზარალებს. ჩემი აზრით, მას ბატონი ასლანი აუცილებლად უნდა ჩაეყენებინა საქმის კურსში. პომპეზური განცხადებების გარეშეც შეიძლებოდა პარლამენტის დატოვება.

**ვალერი გელბახიანი, "აღორძინება":**

- გიორგის საქციელზე კომენტარის გაკეთება ძნელია. მან თავად იცის, რაც უნდა გააკეთოს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ ველოდი; მხოლოდ წინა დღით გავიგე, მაგრამ გადარწმუნება არც მიფიქრია, ვიცი, გიორგის პრინციპული ხასიათი. არის უამრავი ფაქტორი, რამაც მომამწიფა ეს გადაწყვეტილება; მათ შორის, ერთ-ერთი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორია. თუ პროფესიული თვალსაზრისით შევხედავთ, თარგამაძის ქმედება სწორი იყო, პოლიტიკურ ჭრილში თუ გავაანალიზებთ, დიდი შეცდომა არც ამ შემთხვევაშია დაშვებული, მაგრამ ნაადრევი ნაბიჯი იყო, ნამდვილად ნაადრევი.

**ირაკლი მინდელი, "სოციალისტები":**

- ეს გიორგის გადასაწყვეტია. მე არავითარი უფლება არა მაქვს ის ან შევაქო, ან დავძრახო; თუმცა, ძალიან მწყდება გული, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც გიორგი თარგამაძეა, აღარ იქნება პარლამენტში. მისი საპარლამენტო გამოსვლები ყოველთვის ძალზე საინტერესო და რადიკალური იყო. ჩემი აზრით, მისი წასვლის მიზეზი პოლიტიკური ფაქტორია. მე მქონდა ბედნიერება თარგამაძესთან ერთ ბლოკში ვყოფილიყავი და საარჩევნო კამპანიასაც თავის დროზე ერთად ვაწარმოებდით. აქედან გამომდინარე, ვიცი ისეთი ნიუანსები, რაზეც გიორგის გული შესტკიოდა. მისი მოსაზრებები ბოლო დროს არ ემთხვეოდა პარტია "აღორძინების" კურსსა და ბათუმური ბლოკის ხელმძღვანელობის მოსაზრებებს.

**გიორგი ბარამიძე, "გაერთიანებული დემოკრატები":**

- თარგამაძის გადაწყვეტილების გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება. მიმაჩნია, რომ ეს ის ნაბიჯია, რომელიც ნამდვილად ამშვენებს ჩვენს საზოგადოებას. ეს იმის დასტურია, რომ ამ ქვეყანაში დარჩნენ ადამიანები, რომელთათვისაც თანამდებობაზე და სავარძელზე უფრო მაღალი ფასეულობებიც არსებობს. ამ თვალსაზრისით ნამდვილად მისაბაძი მაგალითია. ახალგაზრდა თაობა ასეთ მაგალითებზე უნდა გაიზარდოს. სხვა რა იყო გიორგის პარლამენტიდან წასვლის მიზეზი, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ ვერანაირ ანგარებას ამ საქციელში. ამ პარლამენტში ჩემი და თარგამაძის ურთიერთობა ოპონენტობით დაიწყო და მეგობრობით მთავრდება. სადაც არ უნდა წავიდეს იგი და რა პროფესიითაც არ უნდა იმუშაოს, ვეცდები მორალურადაც და, თუ საჭირო გახდა, ფიზიკურადაც მის გვერდით ვიყო.

**ფიქრია ჩიხრაძე, "ახალი მემარჯვენეები":**

- სიმართლე გითხრათ, ძალიან მწყდება გული, რომ გიორგისთანა პიროვნება დღევანდელ პოლიტიკაში არ იქნება. ვფიქრობ, შესაძლოა, ეს იყოს გიორგისთვის სერიოზული ტაიმ-აუტი პოლიტიკაში შემდგომ დასაბრუნებლად. არ ვიცი, რამ გამოიწვია მოვლენათა მსგავსი განვითარება, თუმცა, გეტყვით, რომ ეს იყო ძალზე ღირსეული ნაბიჯი.

**ალეკო შალამბერიძე, "ტრადიციონალისტები":**

- გული მწყდება, რომ პარლამენტიდან წავიდა ღირსეული ადამიანი, კარგი პოლიტიკოსი, რომელსაც რეალურად ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. სადაც არ უნდა წავიდეს თარგამაძე, ყველგან დიდ წარმატებას მიაღწევს, ისეთი ჩხირკედელა და ნიჭიერი ადამიანია. გიორგის პარლამენტიდან და პოლიტიკიდან წასვლის მიზეზი, ჩემი აზრით, ამ ბოლო პერიოდში პარლამენტში შექმნილი ვითარებაა. რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია, ასეთ პარლამენტში მოღვაწეობდე.

*"24 საათი"*

# გიორგი თარგამაძემ პარლამენტი დატოვა



*გიორგი თარგამაძე.*

თამარ ხორბალაძე

**"მე მივდივარ პარლამენტიდან და პარტიიდან, თუმცა არ მივდივარ პოლიტიკიდან, რადგან ჟურნალისტიკა და პოლიტიკა დღეს ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან,"** – განაცხადა გუშინ გიორგი თარგამაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მას შემდეგ, რაც პარლამენტის სხდომაზე თავისი გადაწყვეტილება გაამჟღავნა.

გიორგი თარგამაძე, ოდესღაც "იბერვიზიის" წამყვანი, აჭარის ტელევიზიის ყოფილი ხელმძღვანელი, პირიქით ატრიალებს ჟურნალისტების პოლიტიკაში გადასვლის უკვე დამკვიდრებულ ტრადიციას.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი თარგამაძე თავის გუშინდელ გადაწყვეტილებას "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციიდან წასვლას და ამასთან დაკავშირებულ წყენას არ უკავშირებს, ცხადია, რომ გუშინდელი გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი "აღორძინებაში" თარგამაძის პოზიციების შესუსტება გახდა.

**"დღევანდელი განცხადება ასლან აბაშიძესთან არ შემითანხმებია,"** – ამბობს გიორგი თარგამაძე და იქვე მადლობას უხდის მას.

სხვა პარტიაში წასვლის შანსი გიორგი თარგამაძეს აშკარად ჰქონდა. მას უპრობლემოდ შეეძლო "გადასულიყო" "ახლებთან", მასთან ურთიერთობას არც "გაერთიანებული დემოკრატები" გაურბოდნენ...

მაგრამ, გიორგი თარგამაძემ სხვა არჩევანი გააკეთა.

გუშინ გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ ორი ტელეკომპანიიდან აქვს წინადადება და არ დააკონკრეტა, რომელზე გააკეთებს არჩევანს, თუმცა, გუშინვე, ბადრი პატარკაციშვილმა თარგამაძეს "იმედთან" თანამშრომლობა უკვე საჯაროდ შესთავაზა. წინასწარი ინფორმაციით, თარგამაძე სწორედ ამ ტელეკომპანიის ეთერში გამოჩნდება.

# საპარლამენტო აყალმაყალის შტრიხები

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ მოუწოდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, უმოკლეს ვადაში დააყენოს სახელმწიფო მინისტრის, აგრეთვე, ეკონომიკური და ძალოვანი ბლოკების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი: **"წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრებათ, რადგან არ არის გამორიცხული, რომ "ქვაბების რევოლუცია", არგენტინის შემდეგ, საქართველოშიც განმეორდეს".** "ახლების" თავკაცის თქმით, მისი მხრიდან ასეთი მკაცრი მოთხოვნების მიზეზია ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც მიმდინარე წლის ორი თვის ბიუჯეტის შესრულების საკითხში შეიქმნა. **"უკვე საუბარია სეკვესტრზე, დეფოლტზე და, საერთოდ, ეჭვის ქვეშ დგება საქართველოს სახელმწიფოებრიობა",** - აღნიშნავს გამყრელიძე, რომელიც იმასაც ადასტურებს, რომ მისი ფრაქცია მზად არის, მოთხოვნების შესრულების სანაცვლოდ, მხარი დაუჭიროს სეკვესტრს და ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

■ ■ ■

საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე აცხადებს, რომ მისთვის შეურაცხმყოფელია, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი აჭარის მდგომარეობას აფხაზეთისას და სამხრეთ ოსეთისას ადარებს. **"შევარდნაძეს, ეტყობა, უნდა, რომ საქართველო დაშალოს. მისი გამონათქვამები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული. მასზე უარესი მტერი საქართველოს არ ეყოლება",** - დასძენს აჭარის დეპუტაციის ხელმძღვანელი.

■ ■ ■

- ეს კაცი ავად არის, - "სიბრალულით" საუბრობდა გუშინ გიორგი ბარამიძე როსტომ დოლიძის შესახებ.

- აფერისტს, სულელს და არაკომპეტენტურს რომ გეძახიან, რატომ და როგორ ითმენთ ამას? - საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის "შინაგანმა სიმტკიცემ" გააოცა დეპუტატი ჯამბულ ბაკურაძე.

- ის, რაც დღეს პარლამენტში ხდება, თქვენი მერყევი პოზიციის ბრალია. კომიტეტის დასკვნაში წერდით, რომ 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის შესახებ კანონის მიღებისას, სხვისი პულტები იყო გამოყენებული. ახლა კი ამბობთ, ამის თაობაზე მხოლოდ ეჭვები არსებობსო, - როსტომ დოლიძის "არამდგრადობამ" ზურაბ ტყემალაძესაც მოუშალა ნერვები.

- თუ სხდომაზე არ იყავი, სად დადიხარო, სახლში ქმარი მებღვირება, აქ კი როსტომ დოლიძე, - 28 თებერვალს გამართულ კენჭისყრას მარინა მოლოდინის ოჯახის სიმტკიცისთვის სერიოზული ბზარები გაუჩენია.

ყოველგვარ ცოდვაში დადანაშაულებული როსტომ დოლიძე კი პირში წყალს იგუბებს და გაურკვეველი მიმართულებით იმუქრება.

- სათქმელი იმდენი მაქვს... ნუ ამალაპარაკებთ...

# დღეს თბილისის ბიუჯეტს დაამტკიცებენ

*დღეს საკრებულოს სხდომაზე თბილისის 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის მეორე ვარიანტს განიხილავენ. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ეს პროექტი, რომელშიც დედაქალაქის მთავრობამ ფრაქციების მოთხოვნისამებრ გარკვეული ცვლილებები განახორციელა, დადებითად შეაფასა. ფრაქციების განწყობილებიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ მომზადებულ შესწორებულ ბიუჯეტს ჩავარდნა აღარ ემუქრება. თუმცა, გუშინ გამართულ სხდომაზე თბილისის 2003 წლის ბიუჯეტს, "ლეიბორისტული ფრაქციის" სახით, მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა.*



*საკრებულო (კობა ბექაური) და მერია (თემურ ქურხული) შეთანხმდნენ.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სოფიკო ოხანაშვილი

თბილისის მთავრობამ დედაქალაქის 2003 წლის ბიუჯეტის შემოსავლები ხუთი მილიონი ლარით, ხარჯვითი ნაწილი კი – ცხრა მილიონი ლარით გაზარდა. მერიის საფინანსო სამმართველოს ხელმძღვანელის ამირან ჯებისაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 213 მილიონი ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი - 238 მილიონ 600 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის დეფიციტი 25 მილიონ ლარს შეადგენს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კობა ბექაურის განცხადებით, ბიუჯეტის შესწორებულ ვარიანტში გათვალისწინებულია ყველა შენიშვნა, რაც ფრაქციებმა ამავე კომისიის სხდომაზე ბიუჯეტის პირველი ვერსიის მოსმენისას გამოთქვეს. ბექაურმა ასეთებად დაასახელა: პენსიების სამლარიანი ზრდა, ყველა მაღალსართულიანი კორპუსების სახურავებისა და ლიფტების პრობლემების მოგვარება, სტადიონებისა და სათამაშო მოედნების დაფინანსების საკითხი, პირველკლასელებისათვის უფასოდ სახელმძღვანელოების დარიგება, ყველა ახალდაბადებულ ბავშვზე 50 ლარის გაცემა, პედაგოგებისათვის გაზის უფასოდ სამჯერადი მიწოდება და ა.შ. **"ამ შენიშვნების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ამ ბიუჯეტს ჩავარდნა არ ემუქრება და ეს ბიუჯეტი გასვლადია"**, - განაცხადა ბექაურმა. თუმცა, ბექაურის თქმით, კულტურის სფეროში, განათლებაში არსებული რამდენიმე პროგრამის, დინამოს სტადიონისა თუ სპორტის სასახლის და სხვა სფეროების დასაფინანსებლად განკუთვნილი თანხები უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტების დასაფინანსებლად უნდა გადანაწილდეს.

2003 წლის ბიუჯეტის შესწორებულ ვარიანტს, ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატები", საკრებულოს სხდომაზე მხარს აუცილებლად დაუჭერს". ფრაქციის თავმჯდომარის, დავით ხუციშვილის თქმით, მთავრობამ "გაერთიანებული დემოკრატების" თითქმის ყველა პრიორიტეტი გაითვალისწინა. მისივე შეფასებით, ბიუჯეტში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ და ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემები.

ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" შეფასებით, მართალია, ბიუჯეტის მეორე ვარიანტში ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ ბევრი პუნქტი ბუნდოვანია და განმარტებებს მოითხოვს. ფრაქციის ლიდერმა მამუკა კაციტაძემ საბოლოო პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა.

მთავრობის მსგავსად, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტს, ლეიბორისტების გარდა, საკრებულოს თითქმის ყველა ფრაქცია მისაღებად და რეალურად მიიჩნევს. თბილისის ვიცე-პრემიერის თემურ ქურხულის თქმით, **"ამ ეტაპზე ამაზე მეტის გაკეთება ნამდვილად არ შეიძლება".** მისი თქმით, ბიუჯეტის დაგეგმვის ზრდა, ძირითადად, საკრედიტო რესურსის ხარჯზე მოხდა.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტს საკრებულოში მხოლოდ ლეიბორისტული ფრაქციის წევრები აპროტესტებენ. **"სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული უფასო გადაუდებელი სასწრაფო დახმარების საკითხი, მუნიციპალური საავადმყოფოს პროგრამა, ხუთი კლასის ჩათვლით მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება, წყლის ტარიფის განახევრების პროექტი და "თბილწყალკანალისთვის", ინექციის სახით, გარკვეული თანხების გამოყოფა. ამიტომ, ამ ბიუჯეტს ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ, ამ ბიუჯეტზე პასუხისმგებლობას ჩვენი ფრაქცია თავის თავზე ვერ აიღებს",** - განაცხადა ფრაქციის თავმჯდომარემ გიორგი გუგავამ. მისი თქმით, ბიუჯეტის პროექტი არის კორუფციული და მან მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილება განიცადა.

## მონიტორინგი

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

მლნ. ლარებში

| დასახელება | პირველი კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % | 12 მარტი |
|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 252.46 | 132.65 | 53% | 1.64 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 186.38 | 92.28 | 50% | 0.64 |
| საგადასახადო შემოსავლები | 151.98 | 83.03 | 55% | 0.59 |
| სოციალური ფონდი | 53.84 | 34.56 | 64% | 0.85 |
| საგზაო ფონდი | 12.23 | 5.81 | 48% | 0.13 |
| დეფიციტის დაფინანსება | | 41.99 | | |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 8 - 14 მარტის მდგომარეობით




### მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6203 | 0.684 | 0.0053 |
| US$ | 1.612 | | 1.1021 | 0.0085 |
| €uro | 1.4626 | 0.9072 | | 0.0077 |
| ¥en | 189.36 | 117.47 | 129.44 | |

### 2003 წლის 14 მარტიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3616 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4733 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.6085 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1650 ლარი |
| თურქული ლირა | 10 | 1.3282 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0689 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4413 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3664 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0608 ლარი |

# ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი ყაზახურ ნავთობსაც გაატარებს

სოფო კვინტრაძე

*"ბრითიშ პეტროლიუმის" ვიცე-პრეზიდენტის მაიკლ თაუნსენდის განცხადებით, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ყაზახეთის ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ტრანსპორტირების შესახებ.*




*"ბრითიშ პეტროლიუმის" ვიცე-პრეზიდენტი მაიკლ თაუნსენდი.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სნსკ-ს პრეზიდენტის გაცხადებით,ამ შეთანხმების თანახმად "ბი-თი-სის" (მილსადენის) ექსპლუატაციის პირველ ეტაპზე წელიწადში 10 მილიონი ტონა ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება მოხდება. ამჟამად კი მზადდება დოკუმენტი, რომელსაც ორი ქვეყნის პრეზიდენტები მოაწერენ ხელს. ყაზახეთის "ბი-თი-სის" ნავთობსადენში ჩართვის თაობაზე განცხადებები გუშინ თბილისში, მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე "ნავთობი, გაზი, ენერგეტიკა და ინფრასტრუქტურა" გაკეთდა. კონფერენციაში მონაწილეობს საქართველოს, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების 250-ზე მეტი დელეგატი, რომლებიც გაზისა და ნავთობის უმსხვილეს კომპანიებს წარმოადგენენ. კონფერენციაზე განიხილავენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის საექსპორტო გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება, ასევე ევრაზიის ენერგეტიკული დერეფნის პერსპექტივები, კავკასიის ქვეყნების, რუსეთისა და თურქეთის თანამშრომლობა, კასპიის რეგიონში ინვესტიციების მოზიდვა და სხვა.

აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა თავის მისასალმებელ სიტყვაში, აშშ-ს ადმინისტრაციის სახელით, "ევრაზიული დერეფნის" მშენებლობისადმი სრული მხარდაჭერა დაადასტურა და აღნიშნა: **"ამერიკის შეერთებული შტატები ყოველწლიურად საქართველოს 100 მილიონი დოლარით ეხმარება და ამ სტრატეგიას ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ."**

კონფერენციაზე "ბრითიშ პეტროლიუმის" ვიცე-პრეზიდენტმა მაიკლ თაუნსენდმა განაცხადა, რომ "ბი-თი-სის" სამშენებლო სამუშაოები 10 აპრილიდან დაიწყება, ხოლო 2003 წლის ბოლოსათვის ნავთობსადენის 50 პროცენტი სამივე ქვეყანაში უკვე აშენებული იქნება. 2004 წლისათვის კი ანუ მშენებლობის დასასრულს, თაუნსენდი ზეიმის გამართვას დაგვპირდა. **"კიდევ უფრო დიდი ზეიმი გვექნება რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სამხრეთ კავკასიის გაზსადენსაც შევიყვანთ ექსპლუატაციაში,"** – განაცხადა "ბი-პის" ვიცე-პრეზიდენტმა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ "24 საათის" კითხვას - გამოიწვევს თუ არა ნავთობსადენის მარშრუტის ცვლილებას ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის უარყოფითი შეფასება ბორჯომის რეგიონთან მიმართებაში, მაიკლ თაუნსენდმა დარწმუნებით გასცა ერთმნიშვნელოვანი პასუხი: **"ეს მარშრუტი სამი ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ მოიწონა და დაამტკიცა, ასე რომ, იგი არ შეიცვლება."**

სნსკ-ს პრეზიდენტის, გიორგი ჭანტურიას ინფორმაციით, მარტის ბოლოს საქართველოს ეწვევა ამერიკული კომპანია "ნორტროპ გრუმანის" მაღალი რანგის წარმომადგენლობა. საქართველო ნავთობსადენის უსაფრთხოების საკითხებზე მოლაპარაკებებს აწარმოებს "ნორტროპ გრუმანთან", რომელიც მსოფლიოში ცნობილ სარადარო სისტემებს ამზადებს. ჭანტურიას განცხადებით, ამ სისტემების შეძენაში საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, მათ შორის, ამერიკის ექსიმბანკი, დაეხმარებიან.

"მეტეხში" მიმდინარე კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (ბაქო-თბილისი-ერზერუმი) მშენებლობის საკითხებს, რომლის სანქცირება ორი კვირის წინ მოხდა. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, გაზსადენმა საქართველოს ბუნებრივი აირით მომარაგება მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს. როგორც ცნობილია, სამხრეთ კავკასიის გაზსადენმა აზერბაიჯანში მდებარე შაჰდენიზის საბადოდან ბუნებრივი აირის ექსპორტი ევროპაში საქართველოს გავლით უნდა განახორციელოს. იგი წელიწადში 30 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს გადაზიდავს. ტრანზიტისთვის საქართველო თავიდან 300 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, თანდათან კი ეს რაოდენობა მილიარდ-ნახევარ კუბურ მეტრამდე გაიზრდება.

შაჰდენიზის საბადოს 25 პროცენტის მფლობელი ნორვეგიული კომპანია "სტატოილის" პრეზიდენტი გეორგ გუნდერსენი აცხადებს, რომ ევროპაში, თურქეთსა და საბერძნეთში მოლაპარაკებები გაზის გაყიდვაზე მათ უკვე დაიწყეს. მისი თქმით, შაჰდენიზის გაზის ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელი თურქეთი იქნება.

# მდიდრების 100 პროცენტი უმუშევარია

პირველი გვერდიდან

**"თბილისში ცხოვრების დონე 30 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე გურიაში. ეს დაუშვებელია. არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ მაინც გეტყვით: თბილისს რეგიონები რომ ჩამოშორდეს, აქ ცხოვრების დონე აიწევს. რეგიონებში სამეწარმეო საქმიანობა არ ვითარდება. საწრაფოდ მისახედია ეს პრობლემა",** - განუცხადა "24 საათს" მომხსენებელმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ.

თვალჭრელიძე გამოსავალს სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაციაში ხედავს. მისი აზრით, კორუფციის მთავარი წყარო – საკოლმეურნეო ბაზარი უნდა გარდაიქმნას ევროპული ტიპის ბაზრად, სადაც შექმნილი დამატებითი ღირებულება გადანაწილდება. **"ფულმა იმავე ციკლში უნდა იტრიალოს, რა ციკლშიც საქონელი ტრიალებს. ამ გზით მივაღწევთ დაჩაგრული რეგიონების ეკონომიკურ გამოცოცხლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებამ რიგ რეგიონებში შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ჩოლოქის მსგავსად, სამეგრელოში ან იმერეთშიც გაჩნდეს ეკონომიკური ზონა."**

ალექსანდრე თვალჭრელიძის აზრით, აჭარაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაწესება დაუშვებელია. **"საქართველო უნდა გადაიქცეს დაბალი საგადასახადო ზეწოლის ზონად",** - განაცხადა მან. სხვათა შორის, ექსპერტმა ერთ საკითხზეც გაამახვილა ყურადღება. **"თბილისში ეკონომიკა სუპერლიბერალურად ვითარდება, ხოლო აჭარაში - სუპერტოტალურად. ორივე გზას ეკონომიკური ზრდისკენ მივყავართ, მაგრამ, საბოლოო განვითარების მხრივ, ამ ორ რეგიონს შორის განსხვავება ძალიან დიდია, რა თქმა უნდა, თბილისის სასარგებლოდ",** - განუცხადა თვალჭრელიძემ "24 საათს".

ალექსანდრე თვალჭრელიძის თქმით, ქვეყნის ეკონომიკური მოწყობიდან გამომდინარე, **"რუსეთი 20 წელიწადში დაიშლება. რუსეთის ეკონომიკური პოტენციალი ურალშია თავმოყრილი. ქვეყნის მოსახლეობის 75 პროცენტი ცხოვრობს ქვეყნის ტერიტორიის 15 პროცენტზე, ანუ განსახლების სიმკვრივე - ერთი ადამიანია 1000 კვადრატულ მეტრზე. შეუძლებელია, რომ რუსეთი არ დაიშალოს."**

თვალჭრელიძე, მოჰყავს რა რუსეთის მაგალითი, გვაფრთხილებს, რომ საქართველოშიც დროულად თუ არ გამოვასწორეთ რეგიონებს შორის უკიდურესად გამოხატული განსხვავება, სავალალო შედეგებს მივიღებთ.

# პარლამენტს, ძირითადი მოვალეობა - კანონშემოქმედება, აღარ აინტერესებს

სოფო კვინტრაძე

*სამი დღეა, საქართველოს პარლამენტში სასესიო მუშაობა პარალიზებულია. დეპუტატები ხან კვორუმს ვერ ადგენენ, ხან კი პოლიტიკური ბატალიებით გართულებს დღის წესრიგის მიხედვით განსახილველი საკითხები საერთოდ ავიწყდებათ. ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ ორი დღის მანძილზე მონდომებით ცდილობდა, პარლამენტარებისათვის მათი უპირველესი მოვალეობა – კანონების მიღება შეეხსენებინა, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გახლდათ. თუმცა, ისიც ამაოდ გაისარჯა. ორშაბათს გამართულ ბიუროს სხდომაზე პარლამენტმა მთელი კვირის დღის წესრიგი დაამტკიცა; რის მიხედვითაც, ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური საკითხი, რაც უნდა განხილულიყო, გახლდათ "მრეწველთა" ფრაქციის მიერ შემოტანილი ახალი საგადასახადო კოდექსი და საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით შემოტანილი კანონპროექტი "საბიუჯეტო სისტემის შესახებ". ჯერჯერობით, ორივე მათგანის განხილვა-არგანხილვის საკითხი, გაურკვეველია.*



*"ნამდვილი სახე".*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ოთხშაბათის პლენარული სხდომა მთლიანად ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვას უნდა დათმობოდა. როგორც ცნობილია, ეს კანონპროექტი "მრეწველთა" ინიციატივით შევიდა პარლამენტში, ხოლო მისი ავტორები საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის ექსპერტები არიან. განსახილველი კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვან სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იგი არსებული გადასახადებიდან მხოლოდ ოთხს ტოვებს (საშემოსავლო გადასახადი, დღგ, აქციზი და ქონების გადასახადი). კოდექსის ინიციატორებს და ავტორებს ლიბერალური საგადასახადო სისტემის შექმნა სურთ მკაცრი ადმინისტრირების პირობებში. როგორც "მრეწველთა" ლიდერმა გოგი თოფაძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, მათ საკმაოდ აგრესიული საუბრები ჰქონდათ მთელ რიგ მინისტრებთან და სახელმწიფო მინისტრთანაც, რომლებსაც კოდექსის სასწრაფო განხილვა მოსთხოვეს. თოფაძე მზადაა, გაიზიაროს შენიშვნები და წინადადებები როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან; თუმცა, ერთს დაბეჯითებით აცხადებს, **"ჩვენ ძალიან ჯიუტად ვდგავართ ამ პოზიციაზე და აუცილებლად შევცვლით ახლანდელ უვარგის საგადასახადო კოდექსს. ჩვენი პოლიტიკაში მოსვლის მიზანი გახლდათ სწორედ ის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კლიმატი შეგვეცვალა."** გუშინდელ სხდომაზე, ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" დიდი მცდელობით, კვორუმი არ შედგა. შესაბამისად, "მრეწველთა" საგადასახადო კოდექსის განხილვა, სავარაუდოდ, პარასკევამდე გადაიდო. თუმცა, გარკვეული აზრი ახალი კოდექსის გარშემო საკანონმდებლო ორგანოში უკვე შექმნილია.

"გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ახალ კოდექსში ბევრი რამ საკამათოა. საგადასახადო შემოსავლების ექს-მინისტრის თქმით, კატეგორიულად მიუღებელია ადგილობრივი გადასახადების თითქმის მთლიანად გაუქმება. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ექვსი ადგილობრივი გადასახადი მოქმედებს, ხოლო "მრეწველთა" ვარიანტში მხოლოდ ერთი – ქონების გადასახადი რჩება. **"ადგილობრივი ბიუჯეტები მთლიანად ამ გადასახადებზეა დამოკიდებული, რომელთა გაუქმება სრულ პარალიზებას გამოიწვევს რაიონებში. მე მაჟორიტარი დეპუტატი ვარ და ამას ვერანაირად ვერ დავუჭერ მხარს,"** – აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი.

"მემარჯვენეები" ახალი საგადასახადო კოდექსის ძირითად პრინციპებს მხარს უჭერენ, ხოლო ზოგიერთ მუხლზე "მრეწველებთან" იდავებენ. როგორც ჩვენთან საუბარში დავით კოღუაშვილმა განაცხადა, მათთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად გადასახადების თვისობრივად შემცირება, არამედ - ტარიფების შემცირება. ამასთან კოღუაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალმა კოდექსმა გადამხდელებსა და გადასახადის ამკრეფებს შორის ურთიერთობა და ვალდებულებები მკაფიოდ უნდა განსაზღვროს და, რაც მთავარია, ადმინისტრირება უნდა გაამკაცროს. **"გადასახადის ამკრეფის მხრიდან საჭიროა მეტი სიმკაცრე და პასუხისმგებლობა. იგივე უნდა მოვთხოვოთ გადამხდელსაც,"** – აცხადებს დავით კოღუაშვილი.

რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს ფრაქცია "აღორძინების" წევრს, ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილს. მისი განაცხადებით, ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობას აზრი არა აქვს, რადგან დარწმუნებულია, რომ იგი არ იმუშავებს. **"კიდევ მერამდენე კოდექსი იქნება თაროზე შემოდებული, რა მნიშვნელობა აქვს?"** – კითხულობს ნოდარ ჯავახიშვილი და აქვე განმარტავს თავის მოსაზრებას: ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა მდგომარეობა იქნებოდა, დღევანდელ საგადასახადო კოდექსს რეალურად რომ ემუშავა. **"დღეს გადასახადებს, კოდექსის თანახმად, მხოლოდ გადამხდელთა ის ათი პროცენტი იხდის, ვინც "ქოლგა" ვერ იშოვა; ამ კოდექსს რეალურად არ უმუშავია. ჩვენ კი გამუდმებით ვიძახით - არ ვარგაო. სინამდვილეში კოდექსი რომ არ მუშაობს, ეს პოლიტიკური ნების უქონლობის ბრალია. თუ პოლიტიკური ნება არ იარსებებს, კოდექსების შეცვლას აზრი არ ექნება,"** – აცხადებს ნოდარ ჯავახიშვილი.

ჯავახიშვილს ასევე მიუღებლად მიაჩნია წინასწარ, თეორიულ დონეზე იმის შეფასება, საგადასახადო კოდექსის ესა თუ ის ნორმა როგორ იმუშავებს და რამდენ შემოსავალს მოუტანს ბიუჯეტს.

შეხედულებათა ამგვარი სიჭრელე ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით გვავარაუდებინებს, რომ მის განხილვას პარლამენტში დიდი ხმაური მოჰყვება, თუკი საერთოდ დეპუტატები განხილვამდე და კენჭისყრამდე მივლენ. გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე აპირებდა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პაკეტის (ამჯერად, ფინანსთა სამინისტროს ვარიანტის) პარლამენტში წარდგენას. თუმცა, კვორუმის არარსებობამ სახელმწიფო მინისტრის ვიზიტიც შეაფერხა.

არადა, სავალუტო ფონდის მემორანდუმის შესრულების ვადები ახლოვდება. მარტის ბოლომდე მთავრობას საგადასახადო სისტემის რეფორმირების და საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონები აქვს მისაღები. საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონპროექტის განხილვა, დღის წერიგის თანახმად, გუშინ იგეგმებოდა. კანონპროექტი მეორე მოსმენით ფინანსთა მინისტრს მირიან გოგიაშვილს უნდა წარედგინა, თუმცა პარლამენტმა კვლავ გაურკვეველი ვადით გადადო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი. საკანონმდებლო ორგანოში ამ კანონპროექტის მიმართაც სკეპტიკური დამოკიდებულებაა. "მრეწველები" მიიჩნევენ, რომ ჯერ საგადასახადო კოდექსი უნდა მიიღონ და შემდეგ საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონი, რადგან ახალი საგადასახადო კოდექსი თავისთავად გამოიწვევს ბიუჯეტის კანონის ცვლილებას. "გაერთიანებული დემოკრატები" კი მხარს არ დაუჭერენ ისეთ კანონს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, რომლის თანახმადაც, ბიუჯეტის პარამეტრების დამტკიცება პარლამენტის პრეროგატივა აღარ იქნება. ერთადერთი, რასაც პარლამენტართა უმეტესობა ეთანხმება, კანონპროექტში საბიუჯეტო სპეცსახსრების გაუქმებაა.

# „ერაყის ლიდერის მრისხანე მახვილი", ანუ როგორ ემზადებიან ერაყელები ომისათვის

ლევან ღირსიაშვილი

*გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ ერაყთან დაკავშირებით ამერიკულ-ბრიტანული რეზოლუციის პროექტის განხილვა ყოველდღეა შესაძლებელი. ამის შემდეგ, მთელი მსოფლიო ერაყში ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას ელის. ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაციები, სპარსეთის ყურის რეგიონში აშშ-ს და მისი მოკავშირეების სამხედრო ძალების რაოდენობის, მათი აღჭურვის, წვრთნისა და მომზადების თაობაზე. ულტრათანამედროვე სამხედრო ტექნიკით შეიარაღებული, გაწვრთნილი და დისციპლინირებული ამერიკულ–ბრიტანული უძლიერესი სამხედრო მანქანა ერაყის დიქტატორის რეჟიმის დასამხობად უკვე მზად არის. როგორ აპირებს ერაყის მთავრობა მტერთან გამკლავებას? რა რესურსები გააჩნიათ ერაყელებს და რა ტაქტიკას მიმართავს პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი? ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესო მასალას აქვეყნებს ბრიტანული გაზეთი "დეილი ტელეგრაფი."*







*ერაყელები ომისათვის ემზადებიან*

ერაყის საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით, გაზეთი იუწყება, რომ სადამ ჰუსეინმა რესპუბლიკური გვარდიის ოფიცრები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში ძირითადი პოზიციების გასაძლიერებლად გააგზავნა. ერაყის პრეზიდენტი მათზე დიდ იმედს ამყარებს და დარწმუნებულია, რომ ოფიცრები ბაღდადის მიმართულებით მოკავშირეთა მარშის შეფერხებას შეძლებენ. ცოტა ხნის წინ, სადამ ჰუსეინი თავისი ოფიცრების საბრძოლო სულის ამაღლებას შეეცადა და გაამხნევა, რომ გაერო-ს მოთხოვნით, "სამუდ-2" ტიპის რაკეტების განადგურება ბევრს არაფერს ნიშნავს. **"თქვენ ჩემი რაკეტები ხართ!"** ამ სიტყვებით მიმართა პრეზიდენტმა ერაყის არმიის ოფიცრებს. მოკავშირეთა გაერთიანებული სარდლობა კი იმედოვნებს, რომ ერაყის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი ომის დაწყების პირველივე დღეებში იარაღს დაყრის და ბრძოლაზე უარს განაცხადებს. თუმცა, როგორც ჩანს, ასე არ ფიქრობს თავად ერაყის ხელისუფლება. პრეზიდენტი თავის დანაყოფებს თავგანწირული და სისხლისმღვრელი ბრძოლებისათვის ამზადებს. **"რესპუბლიკური გვარდიის რვავე დივიზია, საერთო რაოდენობით 80 ათასი სამხედრო მოსამსახურე, ბაღდადის გარშემოა განლაგებული, რაც ბრიტანული სამხედრო კონტინგენტის სარდალმა სტალინგრადის დაცვას შეადარა,"-** ნათქვამია "დეილი ტელეგრაფში" გამოქვეყნებულ სტატიაში.

ამავე მასალის თანახმად, გასული კვირის ბოლოს ერაყის ტელევიზიამ აჩვენა კადრები, თუ როგორ ემზადებიან ერაყის შეიარაღებული ძალების სპეცრაზმელები ქალაქის პირობებში ბრძოლისათვის, თუ როგორ ხსნიან ცეცხლს ავტომატური იარაღიდან და როგორ იღებენ შტურმით შენობებს. ამ კადრებს თან სდევდა ტიტრები შემდეგი ფრაზით: **"ერაყის ლიდერის მრისხანე მახვილი."**

**"რესპუბლიკური გვარდიის სპეცდანიშნულების რაზმები, საერთო რაოდენობით 25 ათასი მებრძოლი, რომლებიც 1991 წელს სპარსეთის ყურეში ომის შემდეგ, სადამ ჰუსეინის პირად დაცვას წარმოადგენენ – ამაგრებენ პოზიციებს დედაქალაქის სასიცოცხლო ობიექტებზე, სამთავრობო შენობების და პრეზიდენტის სასახლის ჩათვლით,"-** აღნიშნავს "დეილი ტელეგრაფი." ბაღდადის გამაგრების გარდა, როგორც ჩანს, პრეზიდენტი ჰუსეინი ერაყის დანარჩენი რეგიონების დაცვასაც აპირებს. ერაყის საარმიო ქვედანაყოფებს ჰუსეინმა ერაყის კონკრეტული რაიონების დაცვის ბრძანება მისცა. კერძოდ, ალ-ნასირში დისლოცირებული მე-3 საარმიო კორპუსი ერაყის სამხრეთ საზღვრებს გაამაგრებს.

საერთაშორისო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ერაყის არმიაში მორალური განწყობა ძალზე დაბალია, ხოლო რესპუბლიკური გვარდიის დაბალი რანგის ოფიცრების გაგზავნა სასაზღვრო ნაწილებში დადებით ეფექტს ვერ მოიტანს.

მოკავშირეები იმედოვნებენ, რომ მე-3 საარმიო კორპუსში შემავალი სამივე დივიზია (ორი ქვეითი და ერთი სატანკო), რომლებიც, ძირითადად, წვევამდელებით არის დაკომპლექტებული, პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში ტყვედ ჩაბარდება. **"ამის შედეგად, მოკავშირეებს მოუწევთ ადგილის გამონახვა საკმაოდ დიდი რაოდენობით სამხედრო ტყვეების განსათავსებლად. ერაყის სამხრეთ და დასავლეთ რაიონებში გაგზავნილი ბრიტანული სპეცრაზმის ერთ-ერთ უმთავრეს მისიას სწორედ ისეთი ადგილის მოძებნა წარმოადგენს, სადაც სამხედრო ტყვეების განთავსება იქნება შესაძლებელი. გენერალ-ლეიტენანტმა დევიდ მაკკირნანმა, რომელიც მოკავშირეთა სახმელეთო ძალებს უხელმძღვანელებს, "ნიუ-იორკ ტაიმსს" განუცხადა, რომ მისი ხალხი ამუშავებს შესაძლებლობებს, რომლის მეშვეობითაც ერაყელებს ჩაბარების თაობაზე თავიანთი განზრახვის შესახებ მოკავშირეთათვის სიგნალის გადაცემა შეეძლებათ,"-** აღნიშნულია "დეილი ტელეგრაფში." გენერლის თქმით, თუკი ერაყელები არ მოისურვებენ სადამის რეჟიმის იარაღით დაცვას და მოკავშირეებს შესაბამის სიგნალს გაუგზავნიან, მათზე შეტევა აღარ განხორციელდება. თუმცა, ბრიტანელი სამხედროები გამოთქვამენ შიშს, რომ სადამის მიმართ ლოიალურად განწყობილმა საჯარისო ნაწილებმა ტყვედ ჩაბარების შემდეგ, შესაძლოა, მოკავშირეებს ზურგიდან დაარტყან.

ამდენად, ორივე მხარე ომისათვის აქტიურად ემზადება. მათი მზადების და გეგმების თაობაზე კი მრავალი ინფორმაცია ვრცელდება, რომელშიც ტყუილის სიმართლისგან გარჩევა ძალზე რთულია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მოკავშირეები ომის სწრაფად დასრულებას აპირებენ. ეს ასეც იქნება, თუკი პრეზიდენტი ჰუსეინი ერაყის არმიაში საბრძოლო სულისკვეთების გაძლიერებას ვერ შეძლებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ერაყელებმა მოკავშირეთა ძალებს მართლაც თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს, ცხადია, ომი დროში გაიწელება. ეს კი, როგორც თავად ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, ასევე მთელი მსოფლიოს სტაბილურობას საკმაოდ დიდ საფრთხეს შეუქმნის.

# აშშ-თურქეთი: ვაჭრობა გრძელდება

თურქეთის ლიდერების პოზიცია, პრაქტიკულად, უცვლელია და ისინი შეერთებული შტატებისგან ერაყის მომავალი მოწყობის თაობაზე მყარ გარანტიებს წინასწარ მოითხოვენ, რათა ამერიკულ ჯარებს ქვეყანაში შეშვების უფლება მისცენ. ანკარამ კიდევ უფრო გაურთულა საქმე პენტაგონს და განაცხადა, რომ ამერიკის თვითმფრინავებს თურქეთის საჰაერო სივრცის გამოყენებისათვის პარალამენტის დამატებითი ნებართვა სჭირდება. ვაშინგტონში თურქეთის ელჩის განცხადების თანახმად, ამერიკას ჯერ არც მიუმართავს ანკარისათვის საჰაერო სივრცის გამოყენების უფლების თხოვნით.

ამერიკის სამხედრო სამზადისის დაჩქარების მიუხედავად, თურქი ლიდერები არ ჩქარობენ პარლამენტში ხელმეორე კენჭისყრის დანიშვნას, რათა ამერიკელებს საჰაერო სივრცის გამოყენების, ან ჯარების შეყვანის უფლება მისცენ. თურქების თქმით, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ შეერთებული შტატები მათ დაუცდის, რადგან ერაყის დაპყრობა თურქეთის დახმარების გარეშე გაცილებით სარისკო იქნება და სავარაუდო მსხვერპლის რაოდენობაც მკვეთრად გაიზრდება.

თუმცა, აშშ-ის მაღალი თანამდებობის პირთა თქმით, თურქეთის მთავრობამ არასწორად შეაფასა ვითარება. მათი მტკიცებით, თუ თურქეთი ბუშის ადმინისტრაციასთან ომის დაწყებამდე თანამშრომლობას არ დაიწყებს, მაშინ ანკარა ვაშინგტონის მიერ შეთავაზებულ მილიარდობით დოლარსა და სტრატეგიული პარტნიორის ნდობას დაკარგავს.

გარდა ამისა, აშშ-ს გაერთიანებული შტაბების უფროსის - მაიერსის თქმით, თუ თურქეთი მხარს არ დაუჭერს აშშ-ს, მაშინ თურქეთის არმიას არავინ მისცემს ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვას. ერაყის ქურთისტანში "ბუფერული ზონის" შექმნა ფორმალურად ლტოლვილთა ნაკადების შეჩერებას, ფაქტობრივად კი დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.

ორშაბათს, ღამით, ბუშსა და ერდოგანს შორის გამართული სატელეფონო საუბრის შემდეგ, შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის აზრთა სხვადასხვაობა აშკარა გახდა. ამერიკის ხელისუფლებასთან დაახლოებულ წყაროებზე დაყრდნობით, "ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, რომ სატელეფონო მოლაპარაკებებისას ბუშმა ერდოგანს საჰაერო სივრცის დათმობა სთხოვა, რაზეც ერთმნიშვნელოვანი თანხმობა არ მიუღია.

ამავდროულად, ვერც თურქეთმა მოახერხა ამერიკელებისაგან იმის გარანტიის მიღება, რომ სადამის შემდგომ ერაყში მცხოვრები თურქმენული უმცირესობა სხვა ძირითადი ეთნიკური ჯგუფების მსგავსი უფლებებით ისარგებლებს. ანკარამ ვერც იმის დაზუსტება მოახერხა, რა როლი მიენიჭება თურქეთს ომის შემდგომი ერაყის მთავრობის ფორმირებისას.

ამერიკისათვის საჰაერო სივრცის დათმობის თაობაზე თურქეთის ჭოჭმანი განსაკუთრებით დიდ პრობლემას უქმნის პენტაგონს, რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით თურქეთში არსებული ინჯირლიყის საჰაერო ბაზიდან და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში მყოფი ავიამზიდებიდან გეგმავდა შეტევის განხორციელებას. თურქეთის საჰაერო სივრცის გამოყენების გარეშე პენტაგონელ სტრატეგოსებს გაცილებით მოუხერხებელი მარშრუტის განხილვა მოუწევთ ისრაელისა და იორდანიის გავლით.

ერდოგანის ძალისხმევის მიუხედავად, 1 მარტს, კენჭისყრის დროს, თურქეთის პარლამენტმა ვაშინგტონს საკუთარ ტერიტორიაზე ჯარების შეშვების უფლება არ მისცა. აშშ-ის მაღალი თანამდებობის პირები იმედოვნებდნენ, რომ კვირას, პარლამენტში მოხვედრის შემდეგ, ერდოგანი სასწრაფოდ დანიშნავდა ხელმეორე კენჭისყრას.

თავად ერდოგანი კი გაცილებით ფრთხილად ეკიდება აღნიშნულ საკითხს. იგი შიშობს, რომ პარლამენტმა შესაძლოა, კიდევ ერთხელ ჩააგდოს კენჭისყრა.

ერდოგანს არც ის დაუკონკრეტებია, დამატებით რა გარანტიებს ელის შეერთებული შტატებისაგან. შეკითხვაზე - გაიმართება თუ არა ხელმეორე კენჭისყრა, მან უპასუხა, რომ "ეს საკითხი ჯერ გარკვეული არ არის".

ერდოგანის მარჯვენა ხელმა დენგირ ფირატმა განაცხადა, რომ ერდოგანი ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას შემდეგ კვირამდე ვერ დაასრულებს. მისი თქმით, თუ ბუში ერდოგანის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მაშინ ამერიკული ჯარების განლაგება პრობლემა აღარ იქნება.

"ჩვენ რამდენიმე შეკითხვა გვაქვს და ველოდებით პასუხებს", - აღნიშნა ფირატმა. "თუ აშშ ამ შეკითხვებს დღეს გასცემს პასუხს, მაშინ ჩვენ კენჭისყრას ხვალ ჩავატარებთ".

თურქეთის შეშფოთების უმთავრეს მიზეზს კი ისევ ერაყელი ქურთები წარმოადგენენ. თურქებს სურთ, ასპროცენტიანი გარანტია ჰქონდეთ იმისა, რომ ერაყში ომის შემდეგ არათუ ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ ახალ სახელმწიფოში ქურთები ცალკე ფედერალური ერთეულის სახითაც კი არ იქნებიან წარმოდგენილები, რათა თურქეთში მცხოვრებ ქურთებში სეპარატისტული განწყობა არ გაძლიერდეს.

# ზორან ჯინჯიჩის მკვლელთა ვინაობა ცნობილია

სერბეთის მთავრობამ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმად გუშინწინ სერბეთის პრემიერ-მინისტრის მკვლელობა ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ დაგეგმა და განახორციელა. ე.წ. "ზემუნის კლანი" ბელგრადის გარეუბანში მოქმედებს. გარდა ამისა, მთავრობამ ეს დაჯგუფება მთელი რიგი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადებაში დაადანაშაულა, რომელიც ადამიანთა გატაცებებს და გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ლიკვიდაციის მცდელობებს უკავშირდება. სერბეთის ხელისუფლების ოფიციალური ცნობით, "ზემუნის კლანს" სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის ყოფილი მეთაური მილორად ლუკოვიჩ-ლეგია ხელმძღვანელობს. დაჯგუფებაში, დაახლოებით, 200 პიროვნება ირიცხება, რომელთა შორისაც 20 განსაკუთრებული გავლენით სარგებლობს. გუშინვე სერბეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა "ზემუნის კლანის" ყველა წევრზე დაპატიმრების სანქციები გასცეს.

მთავრობის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ პრემიერ-მინისტრ ზორან ჯინჯიჩის მოკვლით, "ზემუნის კლანი" ხელისუფლების მხრიდან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შეჩერებას გეგმავდა. ასევე აღნიშნულია, რომ დაჯგუფება საკუთარი მიზნების სისრულეში მოსაყვანად მიმართავდა ისეთ მეთოდებს, როგორიცაა პოლიტიკაში ჩარევა, სახელმწიფო ორგანოებთან დანაშაულებრივი კავშირების დამყარება, ჟურნალისტების და ანალიტიკოსების მოსყიდვა და ა.შ.

ზორან ჯინჯიჩის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება არ გამორიცხავს, რომ მკვლელობაში ასევე გარეულნი არიან ბოსნიელი სერბების ყოფილი სარდალი მლადკო მლადიჩი და იუგოსლავიის არმიის პოლკოვნიკი ვესელი შლივანჩანინი.

პრემიერ-მინისტრის მკვლელობასთან დაკავშირებით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა შექმნილი. სერბეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნატაშა მიჩიჩმა სახელმწიფოში საყოველთაო სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.

# ტონი ბლერი ვა-ბანკზე მიდის

პირველი გვერდიდან

რამსფელდის შენიშვნებმა დაუნინგ სტრიტსა და ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში პანიკა და გაბრაზება გამოიწვია. რამსფელდსა და ჰუნს შორის გამართული სატელეფონო საუბრის შემდეგ პენტაგონმა რამსფელდის განცხადების შელამაზებული ვერსია გამოაქვეყნა; თუმცა, ძირითადი აზრი მაინც უცვლელი დარჩა.

"ჩემს ბრიფინგში უბრალოდ აღვნიშნე, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მეორე რეზოლუცია გაერთიანებული სამეფოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია და რომ ჩვენ მის გასატანად ვმუშაობთ", - ნათქვამია აშშ-ის თავდაცვის მინისტრის წერილობით განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ განცხადებასთან დაკავშირებული დაძაბულობა უკანასკნელ დღეებში დიპლომატიურ ფრონტზე ვაშინგტონსა და ლონდონს შორის არსებულ უთანხმოებას მოჰყვა. ორ მოკავშირეს შორის აზრთა სხვადასხვაობა მეორე რეზოლუციის მიღების აუცილებლობის შესახებ წარმოიშვა, რომელიც ანტიერაყულ კოალიციას ომის დაწყების უფლებას მისცემს.

ბრიტანეთის პრემიერს საკუთარ მინისტრთა კაბინეტსა და პარლამენტში მნიშვნელოვანი ოპოზიცია ჰყავს, რომელიც ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყებას გაერო-ს თანხმობის გარეშე ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანეთი "არასანქცირებულ ომში" ჩაებმება, ოპოზიციის წარმომადგენლები პოსტებს დატოვებენ.

გუშინ ბრიტანეთმა განაცხადა, რომ მან პრაქტიკულად დაითანხმა უშიშროების საბჭოს ის ექვსი მერყევი წევრი, რომელთაც ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ, დაეთანხმებიან მეორე რეზოლუციის მიღებას, თუ - არა.

კამერუნმა, გვინეამ, ანგოლამ, მექსიკამ, ჩილემ და პაკისტანმა მოითხოვეს, რომ აშშ-ბრიტანეთის მიერ დათქმული ბოლო ვადა - 17 მარტი გადავადდეს 45 დღით, რათა ბაღდადს განიარაღებისათვის საკმარისი დრო მიეცეს.

მათ აგრეთვე შესთავაზეს ამერიკელებს, შეადგინონ საბრძოლო არსენალის სია, რომლის განადგურებითაც ერაყმა ვაშინგტონის მოთხოვნები სრულად უნდა დააკმაყოფილოს.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა არი ფლეიშერმა განაცხადა, რომ ერაყისათვის ბოლო ვადის კიდევ ერთი თვით გაგრძელება "მიუღებელია". დიდი ბრიტანეთის ელჩმა გაერო-ში - სერ ჯერემი გრინსტოკმა კი ექვს ქვეყანას ბოლო ვადის დაწესება თვის ბოლომდე შესთავაზა.

ბრიტანული წყაროების თანახმად, ბუში ძალზე შეშფოთებულია ამ პროცესში ჩათრევით.

ბრიტანული ჯარების გარეშე ომში ჩაბმა ამერიკელი სამხედრო მგეგმავებისათვის კიდევ ერთი, დამატებითი სირთულე იქნება. ისინი ამჟამად თურქეთის ალტერნატიული ვარიანტის გამოძებნით არიან დაკავებულნი, რათა ჩრდილოეთის ფრონტის გახსნა შეძლონ.

ამას გარდა, ერაყის სამხედრო კამპანიისგან ბრიტანეთის ჩამოცილება ჯორჯ ბუშისათვის დიდი პოლიტიკური დარტყმა იქნება. იგი ცდილობს, ამერიკული საზოგადოება იმაში დაარწმუნოს, რომ ერთპიროვნულად არ მოქმედებს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ამერიკელი სტრატეგოსები აქტიურად მუშაობენ ბრიტანეთის გარეშე ომის დაწყების შესაძლებლობაზე.

"ეს ის საკითხია, რომელსაც პრეზიდენტი უახლოეს დღეებში განიხილავს და გადაწყვეტილებასაც მიიღებს", - დასძინა მან.

ბრიტანელი ექსპერტების აზრით, თუ დონალდ რამსფელდი ტონი ბლერის მხარდაჭერას ისახავდა მიზნად, მაშინ აჯობებდა, რომ მას დიპლომატიურ მოღვაწეობაზე არასოდეს ეფიქრა.

დონალდ რამსფელდის სიტყვებმა საფუძველი გამოაცალა პრემიერ-მინისტრის განცხადებებს, რომ ჯორჯ ბუშის პოლიტიკაზე მას დიდი გავლენა აქვს.

რაც მთავრია, აღნიშნულმა განცხადებამ ყველას დაანახა, რომ აშშ მაინც დაიწყებს ომს იმის მიუხედავად, ექნება მას სხვა სახელმწიფოების მხარდაჭერა, თუ არა.

ამას გარდა, ნათელია, რომ შექმნილმა ვითარებამ დაარწმუნა ომის მომხრეები: სამხედრო ოპერაცია რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს, რადგან დროის გაჭიანურებით გაცილებით მეტად ზარალდებიან ცალკეული ქვეყნები, საერთაშორისო ურთიერთობები და პრემიერ-მინისტრის იმიჯი.

სავარაუდოდ, უშიშროების საბჭოში რეზოლუციის ჩავარდნა აიძულებს ბლერს, აღიაროს, რომ ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები ერაყის იერიშში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რაც, ბევრის აზრით, შესაძლოა მისი პოლიტიკური კარიერის დასასრული გახდეს.

ახლა ბლერს აუცილებლად ესაჭიროება მეორე რეზოლუციის მიღება, რათა საკუთარი მინისტრები და პარლამენტარები (მათ შორის - მისი პარტიის წევრთა დიდი ნაწილი) საბოლოოდ არ აიმხედროს. მომავალი 72 საათი ყველაზე სახიფათო იქნება პრემიერ-მინისტრის კარიერაში.

თუმცა, ტონი ბლერისა და ომის ყველა მომხრის უკანასკნელი იმედი სწრაფი, ეფექტური და დამაჯერებელი გამარჯვებაა, რათა პრემიერმა ხელისუფლების შენარჩუნება შეძლოს. თითქმის აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ბრიტანეთი უახლოეს დღეებში მაინც ჩაებმება ერაყის წინააღმდეგ ომში.

# „იმედი" მაყურებელთან ერთად



"იმედის" პრესკონფერენცია.

*15 მარტიდან ტელეკომპანია "იმედი" დეციმეტრულ დიაპაზონზე იწყებს მაუწყებლობას. "იმედის" პროგრამებს ნახავენ თბილისის, ყვარლის, გორის, მარნეულის, ქუთაისის,ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის, თელავის, ახალქალაქის ტელემაყურებლები. ეს, ტერიტორიულად, საქართველოს 64 პროცენტია."იმედი" შაბათ-კვირას 12 საათიდან, სადაგ დღეებში კი 17 საათიდან გავა ეთერში. ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, ივლისიდან "იმედი" მაუწყებლობის 18-საათიან რეჟიმზე გადავა. საეთერო მომსახურება ავტომატიზირებული სისტემით განხორციელდება. პირდაპირი ჩართვებისთვის ტელეკომპანია სარელეო სადგურებს და კოსმოსურ გადამცემებს "Fly-Away"-ს გამოიყენებს. ტელევიზია მუშაობს ციფრულ (ვიდეო) და სტერეო (ხმა) რეჟიმში, მაგრამ მოსახლეობას გამოსახულება PAL-ს რეჟიმში მიეწოდება.*

დალი კუპრავა

გუშინ დიღომში "ქართული ფილმის" ერთ-ერთ შენობაში ჟურნალისტურ საზოგადოებას ტელეკომპანია "იმედის" დებიუტის შესახებ ეუწყა. როგორც ტელეკომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, ტელეკომპანიის პრეზენტაცია მოგვიანებით შედგება, გუშინ კი საზოგადოებისთვის თავის გაცნობის დღე იყო.

ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ბიძინა ბარათაშვილმა განაცხადა, რომ ტელემაუწყებლობის კონცეფცია მისი სათაურიდანვე ჩანს - დადებითად დამუხტონ საზოგადოება და დაკარგული იმედი დაუბრუნონ. თუმცა, პოზიტიურობა ობიექტური ხედვის გარეშე არხის თვითმიზანი არ იქნება. ბარათაშვილის განცხადებით, შესაძლოა, ასეთი პოზიცია არაკომერციულიც იყოს, მაგრამ საზოგადოებას ხომ მობეზრდა მუქი ფერები და "იმედის" დროც მოვიდა.

"იმედი" ეთერში გავა საინფორმაციო, საინფორმაციო-ანალიტიკური, პუბლიცისტური, კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროგრამებით. მხატვრულ და მულტიპლიკაციურ ფილმებთან ერთად ტელეარხი მაყურებელს შესთავაზებს "ქართული ფილმის" მიერ შექმნილ ტელესერიალებს. ტელეკომპანიასა და სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმს" შორის ხანგრძლივი თანამშრომლობის პროგრამაა დაგეგმილი. "იმედი" ინვესტიციებს ჩადებს და, რაც კინემატოგრაფიულ პროცესს სჭირდება, ყველაფერი გაკეთდება", - თქვა ტელეკომპანიის გენერალურმა პროდიუსერმა ოთარ შამათავამ. მანვე ისაუბრა სამაუწყებლო ბადის ზრდის პერსპექტივაზე. სატელევიზიო პროგრამები რეიტინგული პარამეტრით დამკვიდრდება ეკრანზე და, შესაბამისად, ჟურნალისტებიც ამავე პრინციპით იმუშავებენ.

ტელეკომპანიას დრო არ დაუკარგავს და გუშინვე შესთავაზა თანამშრომლობა სპორტულ კომენტატორს ჯამლეთ ხუხაშვილს (დაუსწრებლად) და ყოფილ ჟურნალისტს, პარლამენტარ გიორგი თარგამაძეს, რომელმაც ამ შეთავაზებამდე რამდენიმე წუთით ადრე პარლამენტიდან წასვლის შესახებ საქვეყნოდ განაცხადა.

გენერალური დირექტორის მოადგილეს და ტელეკომპანიის მფლობელს ბადრი პატარკაციშვილს არ დაუმალავს, რომ როგორც ნებისმიერი ტელევიზია, არც "იმედი" იქნება ვინმეს "ზეგავლენის" გარეშე, მაგრამ ის პოლიტიკურ იდეებს გაუწევს ანგარიშს და არა პოლიტიკურ ძალებს. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, პატარკაციშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთის მზარდ ბაზარს და რუსეთთან მხოლოდ კეთილმეზობლურ ურთიერთობას დაუჭერს მხარს.

ტელეკომპანია "იმედი" ჯანსაღი კონკურენციის მომხრეა და ყველა არსებულ სატელევიზიო არხს კონკურენტად მიიჩნევს. ის მაყურებელთან ერთად და მაყურებლის დახმარებით ფიქრობს საკმაოდ გაჯერებულ ქართულ ბაზარზე გასვლას.

# ოპტიმისტი თარგამაძე: ღამე წყვდიადს არ ნიშნავს

*კლუბ "სარდაფში" ტრადიციული "აპოლიტიკური ოთხშაბათის" მორიგი სტუმარი იყო პარლამენტარი გიორგი თარგამაძე.*

ზურაბ ჭამასპიშვილი

შეხვედრა, ტრადიციისამებრ, სტუმრის გამოსვლით დაიწყო. მან დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ბიოგრაფია უამბო დაბადებიდან დღემდე: საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონია, რადგანაც 15 წლის ასაკში გარდაეცვალა მამა და ოჯახის მარჩენალის ტვირთი მთლიანად მას დააწვა კისერზე. დიდი შრომის შედეგად მიაღწია იმას, რომ 19 წლის ასაკში უკვე აჭარის ტელევიზიის თავმჯდომარე იყო; კარიერა ადრეულ ასაკში, სწრაფად შეიქმნა. მისი ჟურნალისტიკაში მოღვაწეობა ტელეკომპანია "იბერვიზიიდან" დაიწყო. ამის შემდეგ სტუმარს საკმაოდ ბევრ შეკითხვაზე მოუწია პასუხის გაცემა - მაგალითად, ვინ არის გიორგი თარგამაძე; როგორი დამოკიდებულება აქვს სამზარეულოსთან და ა.შ.

ყველას აინტერესებდა მისი აზრი ედუარდ შევარდნაძესა და ასლან აბაშიძეზე. "ჩვენს პრეზიდენტს აქვს კარგი იუმორის გრძნობა, არის უაღრესად ნიჭიერი ადამიანი, უბრალოდ, ის თავისი ქვეყნისათვის იმას არ აკეთებს, რისი გაკეთებაც შეუძლია. "მომწონს ასლან აბაშიძის ესთეტიკა, კულტურული გემოვნება, ალმშენებლობის უნარი, რაც მმართველის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა. მიმაჩნია, რომ მისი პოტენციალი ჩვენმა ქვეყანამ ვერ გამოიყენა", - გვითხრა გიორგი თარგამაძემ.

" კრიზისი წელიწადნახევარს გასტანს. მომავალი პარლამენტი დაკომპლექტებული იქნება იმავე სუბიექტებით, ვისაც დღეს ვხედავთ; ორიენტაცია, ძირითადად, საპრეზიდენტო არჩევნებისკენ იქნება მიმართული; პრეზიდენტობის კანდიდატებად კი, თითქმის, ყველა ის პირი მოგვევლინება, ვინც დღეს პარტიებს უდგას სათავეში. მე მაინც ოპტიმისტი ვარ - ღამე ჯერ კიდევ არ ნიშნავს წყვდიადს. მჯერა, რომ გათენდება", - ასეთია მისი პროგნოზი.

შეხვედრის ბოლოს სტუმარმა, კლუბის ტრადიციისამებრ, აირჩია თეთრი ფერის ქაღალდი და ხელის ანაბეჭდი დატოვა.

შემდეგი კვირის ოთხშაბათს კლუბი ფიქრია ჩიხრაძეს უმასპინძლებს.

## მოკლედ

**თბილისი.** სოფელ ჩუმათელეთის მცხოვრებლები რიკოთის გვირაბის უვადო პარალიზებით იმუქრებიან, თუკი მათთვის ელექტროენერგიის მიწოდების საკითხი არ მოგვარდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. გადასახადის გადაუხდელობის გამო, "თბილწყალკანალმა" წყლის მიწოდება შეუწყვიტა "დინამოს" სტადიონს. მის მიერ მოხმარებული წყლის საფასური 620 ათას ლარს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარტის თვეში შიდსით ინფიცირების სამი ახალი შემთხვევა აღირიცხა. სამივე ინფიცირებული მამაკაცია. შარშანდელი სამი თვის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, შემთხვევები ორჯერ გაიზარდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ქუთაისში გაგზავნა სპეციალური კომისია, რომელიც ქალაქის საავადმყოფოების მიერ მოქალაქეებისათვის ყალბი ცნობების გაცემის საკითხს შეისწავლის. **ინტერ-პრესი**

# ვინ გაყოფს პალიასტომს?

მაკა ჭაიანი

*"ეს პროექტები წყალობაა ჩვენთვის. აბა, ცენტრალურ ბიუჯეტში იშოვეთ თანხები სკოლების ასაშენებლად და, თუ იშოვით, მიიღეთ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის პროექტის ფარგლებში კი, 300 ათასი ლარი მარტო ორი სოფლის წყალსადენის მშენებლობას ხმარდება. აშენდა სკოლები, კულტურის სახლი, კეთდება გზები... მოდის უცხოელი და ამას გიკეთებს, რადგან მიხვდა: ბუნება არ ცნობს ადმინისტრაციულ საზღვრებს, თუ დღეს მე ვარ ცუდად, ხვალ ასე თვითონ იქნება", - გუშინ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატის ნოდარ გრიგალაშვილის ამ გამოსვლამ მიწვეულ სტუმრებზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.*



ნინო ჩხობაძე შეკითხვებზე პასუხს ეძებს.

**"რა პერსპექტივებზეა ლაპარაკი, როცა ისე უჭირს გურიას, მკვდარს "პოსლეზე" მარხავენ?!** - იკითხეს ლანჩხუთლებმა. - **საერთაშორისო კონვენციებში წერია: თუ გარემოსდაცვითი და მოსახლეობის ინტერესები იკვეთება, საკითხი მოსახლეობის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ იმ მიწების 80 პროცენტი, რომელიც კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრებშია მოქცეული, ჩვენი ინტენსიური გამოყენების ზონაა. რა დროს ლიმიტირებაა, ხალხი შიმშილით იხოცება?!"**

ასეთი ემოციური გამოსვლა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პასუხს მოჰყვა კითხვაზე, - რა იგულისხმება მოსახლეობისთვის საძოვრების გამოყენების ლიმიტირებაში? ნინო ჩხობაძის განმარტებით, საძოვრების დატვირთვა მხოლოდ ისეთი დოზით მოხდება, რომელიც მიწას არ გამოფიტავს. საძოვარზე გასაშვები პირუტყვის ოპტიმალური რაოდენობის დასადგენად სამინისტრო გამოკვლევის ჩატარებასაც აპირებს.

ლანჩხუთლებს სხვა პრობლემებიც აწუხებთ - ხომ არ აპირებს ვინმე პალიასტომის ფოთისთვის მიკუთვნებას; რომელი მიწების ხარჯზე უნდა შეიქმნეს ტრადიციული გამოყენების ზონები; ხომ არ დგას დღის წესრიგში კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიების ხელახალი მოზომვის საკითხი? მინისტრის პასუხები ასეთია: არა, ეს არ იქნება ახალი მიწები;

პალიასტომისთვის დავა ლანჩხუთლებისთვის პრინციპული საკითხია. **"იქ საშინელებები ხდება!"** - ამბობენ მეთევზეები. ტორფის მრეწველების წყალობით, მალთაყვა პალიასტომს ნელ-ნელა მკვლელად ექცა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი უკვე ლაპარაკობს ტბაში თევზის რაოდენობის საგრძნობ შემცირებასა და ეკოსისტემის გაუარესებაზე. არადა თევზი იქაური მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი სარჩო-საბადებელია.

**"ეს ტბა და მიწა ჩვენი მოსახლეობის საარსებო წყაროა,** - განმარტავს ლანჩხუთის გამგებელი თენგიზ ქერქაძე. - **ამიტომ იყო საჭირო მათი სწორი ინფორმირება. ამ ერთი კვირის წინათ ჩატარდა ყრილობა სუფსაში და ყველამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნას. მოსახლეობას ეშინია, რომ ეს მათ ლუკმა პურს წაართმევს. უნდა ჩატარდეს მონიტორინგი და ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, რა არის საჭირო. ხალხი საქმის კურსში უნდა იყოს. უამრავჯერ მოვითხოვეთ კომისიის შექმნა და მოსახლეობასთან მისი შეხვედრა, მაგრამ - ამაოდ."**

კომისია, რომელმაც ლანჩხუთის მოსახლეობამდე მთავრობის მიერ ოთხი წლის წინათ დასახული გეგმის მიზნები უნდა მიიტანოს, ნინო ჩხობაძის განცხადებით, უკვე შეიქმნა. ახლა ჯერი გურიაში ჩასვლაზეა. იქაურ მოსახლეობასთან საუბარი უფრო მშვიდი რომ გამოვიდეს, შეიძლება, კომისიის წევრები "კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" კანონპროექტში ცვლილებების შეტანასაც დაელოდონ. დღეს ცვლილებების ორი პროექტი არსებობს - ერთი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მოამზადა, მეორე - პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომომიტეტმა. ორივე პროექტი მოსახლეობისთვის დაწესებული პირობების შემსუბუქებას ითვალისწინებს.

რაც ადრე შეუმსუბუქდებათ გურულებს პირობები, მით ადრე დასრულდება იქაური მოსახლეობის სოციალური პრობლემების პოლიტიკური მართვა. ჯერჯერობით - ლანჩხუთლები ნებაზე საქონელსაც ვერ აძოვებენ.

# პრეზიდენტი, ექიმები და „ლეიბორისტები" უზენაეს სასამართლოში

*წინასაარჩევნოდ ლეიბორისტული პარტია მოსახლეობის გულის მოსაგებად დიდად ირჯება. პარტიის წევრები სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში დარბიან და სარჩელი სარჩელზე შეაქვთ. გუშინ სამედიცინო ობიექტების და მედიკოსების ბედით შეწუხებული "ლეიბორისტები" უზენაეს სასამართლოში ქვეყნის პრეზიდენტს დაუპირისპირდნენ. მოსამართლე სხირტლაძემ რამდენიმე დეტალის დასაზუსტებლად პროცესი 20 მარტამდე გადადო. ხანმოკლე პროცესის შემდეგ, ექიმები, სასამართლოს შენობას თავჩაქინდრულები ტოვებდნენ.*

ეთერ მამულაშვილი

უზენაესი სასამართლო ამჯერად პრეზიდენტის კერძო საჩივარს განიხილავს, რომელიც სამედიცინო დაწესებულებების ოპტიმიზაცია-რესტრუქტურიზაციის პროცესის შეჩერებას აპროტესტებს.

შეგახსენებთ, რომ ქვეყანაში ხსენებული პროცესი შევარდნაძის 2001 წლის №190 ბრძანებულების საფუძველზე მიმდინარეობდა, რომლის გაუქმება "ლეიბორისტებმა" საოლქო სასამართლოს დახმარებით სცადეს გასული წლის დეკემბერში. პარალელურად, საკრებულოს დეპუტატს და პარტიის წევრს, კახა ძაგანიას საოლქოში შეაქვს დამატებითი სასარჩელო განცხადება, საავადმყოფოების დახურვა-პრივატიზაციის პროცესი კი სასამართლოს საბოლოო ვერდიქტამდე შეჩერებულია.

საკუთარი ბრძანებულების შეჩერებით გაბრაზებული შევარდნაძე უზენაეს სასამართლოს მიმართავს და სამედიცინო დაწესებულებების გაყიდვა-გასხვისების პროცესის გაგრძელებას მოითხოვს. პრეზიდენტი თავის საჩივარში მიუთითებს, რომ საოლქო სასამართლომ ბრძანებულების შეჩერებით უხეშად დაარღვია მოქმედი კანონმდებლობა. **"პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიული აქტია, რომლის შეჩერებას ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს",** - გვითხრა შევარდნაძის პირადმა წარმომადგენელმა, ირაკლი კაპანაძემ.

"ლეიბორისტები" კატეგორიულად აცხადებენ, რომ ხსენებული ბრძანებულება ინდივიდუალურ-სამრთლებრივი ხასიათის აქტია, რადგან ის პირთა შეზღუდულ კატეგორიას ეხება. მის შეჩერებას კი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს. **"ესეც რომ არა, გადაშალოს შევარდნაძემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მონახოს 198-ე მუხლი და წაიკითხოს. სწორედ ეს მუხლი გულისხმობს ნებისმიერი სადაო აქტის შეჩერებას",** - ურჩევენ "ლეიბორისტები" პრეზიდენტს.

გუშინ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და მოდავე მხარეები ამ აქტის სახეობის გარკვევას დიდხანს ცდილობდნენ. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ იუსტიციის სამინისტრომ თავის დროზე პრეზიდენტის №190 ბრძანებულება რეგისტრაციაში ნორმატიულ აქტად გაატარა, რასაც "ლეიბორისტები" კანონის დარღვევად მიიჩნევენ და ამას მაშინდელ მინისტრს, მიხეილ სააკაშვილს აბრალებენ. **"შევარდნაძის დანიშნული მინისტრი, ამ აქტს ისე გაატარებდა, როგორც პრეზიდენტი უბრძანებდა",** - ეს რეპლიკა პარტიის თავმჯდომარემ, შალვა ნათელაშვილმა წამოისროლა, რომელიც, მოსამართლეებისგან არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, საკუთარ პოზიციას ხმამაღლა აფიქსირებდა.

სასამართლო კოლეგიამ, ნუგზარ სხირტლაძის თავმჯდომარეობით, აღნიშნული საკითხის შესასწავლად მომავალი კვირის ხუთშაბათამდე ტაიმაუტი აიღო.

ნახევარსაათიანი პროცესის შემდეგ, სასამართლო, დარბაზს ოთხმოცამდე უიმედოდ განწყობილი ექიმი ტოვებდა. **"ჩვენი მოსამართლეები, შევარდნაძის ნებართვის გარეშე, საცხოვრებელ სახლსაც ვერ იცვლიან – მათგან სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების იმედი როგორ უნდა მქონდეს",** - ჩურჩულებდა ხანში შესული ექთანი.

# პატივცემულო "გიჟებო", მოეშვით სასწრაფოს!

ზაზა ფაჩუაშვილი

*სასწრაფოს მთავარი ექიმის მოლოდინში, რამდენიმე წუთით სადისპეტჩეროში ყოფნამ მოგვიწია. წამდაუწუმ ისმოდა ტელეფონის ზარი და სიტყვები, "03 სასწრაფო გისმენთ", მაგრამ ამას ყოველთვის მისამართის ჩაწერა არ მოჰყვებოდა. ზოგი გასართობად რეკავდა, ზოგი იგინებოდა... დისპეტჩერები წუხდნენ, ამ "გიჟების" გამო, მართლა გაჭირვებულები ვეღარ რეკავენო. თუმცა, ეს არ ყოფილა სასწრაფოს ერთადერთი პრობლემა.*



ვის სჭირდება კიდევ ერთი იმედგაცრუება.

**"საქართველოში მობილური ტელეფონების შესაკეთებელი სამასამდე საამქროა. ყოველი მათგანი დღეში თითო ტელეფონს ხომ მაინც აკეთებს. ამ შეკეთებული აპარატის შესამოწმებლად ყველა სასწრაფოში რეკავს. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში გვაგდებს 500-600 ზედმეტი ზარი. სამწუხაროდ კომპიუტერული სისტემის არარსებობის გამო გამოძახების მიღება-გადაცემას ტელეფონით 4-5 წუთს ვუნდებით",** - გვითხრა სასწრაფოს მთავარმა ექიმმა დავით გველესიანმა.

- რა მდგომარეობაშია დღეს ქალაქის სასწრაფო დახმარების სამსახური?

**- ტრანსპორტი პრაქტიკულად ამორტიზებულია. თითო მანქანას ამ გზების პირობებში 500 ათასი კილომეტრი აქვს გავლილი და აღარ ვარგა. სულ 30 მანქანა გვყავს. აქედან 20-ს ვამუშავებთ. ასევე მოძველდა აპარატურა. კარდიოგრაფი უკანასკნელად 1990 წელს შევიძინეთ. როდემდე შეიძლება ვამუშაოთ? პრაქტიკულად არ გვაქვს დეფებლატორი. ორივე მწყობრიდანაა გამოსული.**

- დღეს ბევრს საუბრობენ უფასო სასწრაფოს შესახებ...

**- კომუნისტების დროს, როცა სასწრაფო უფასო იყო, ქალაქს 180 გამართული მანქანა ემსახურებოდა. სისტემატურად ხდებოდა თითოეული მათგანის რემონტი. სასწრაფოს ერთი წლის ბიუჯეტი 9 მილიონი მანეთი იყო (ეს მაშინ, როცა 1 დოლარი 68 კაპიკი ღირდა). მაშინ დღეში 1200-1500 გამოძახებას ვასრულებდით. უფასო სასწრაფოს ასეთი სიმძლავრე სჭირდებოდა. ახლა თავად განსაჯეთ, როდის გვექნება ამის საშუალება.**

- საკრებულოში ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობს, რომელშიც სასწრაფოსთვის გათვალისწინებულია 2,5 მილიონი ლარი. ეს თანხა თითოეული ოჯახისთვის სამ უფასო გამოძახებას ითვალისწინებს. შეძლებს თუ არა სასწრაფო ამ ვალდებულების შესრულებას?

**- დღეისათვის გამოძახებების რიცხვმა ნახსენებ პერიოდთან შედარებით, რამდენჯერმე მოიკლო. დღეში 200-210 გამოძახებას ვასრულებთ, მაგრამ ეს რიცხვი რამდენჯერმე გაიზრდება მაშინვე, როგორც კი დაიწყება უფასო გამოძახებები. თანაც, როგორც აღმოჩნდა, ნახევარი მილიონი ლარიც კი არ გამოინახა იმისთვის, რომ მანქანები შევიძინოთ. ცხადია, დღევანდელი საშუალებებით გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვეღარ შევძლებთ. ამიტომ, როცა არ არის საშუალება, სჯობს, მქუხარე განცხადებებისგან თავი შევიკავოთ და მოვიცადოთ, სანამ შესაბამისი თანხები გამოინახება. ადვილია, იჯდე კაბინეტში და იძახო, სასწრაფო უფასოაო. თავი კი ჩვენ უნდა ვიმტვრიოთ სასწრაფოს ექიმებმა, როცა გამოძახებების შესრულებას ვერ შევძლებთ. ეს არის საკითხის პოლიტიზირება.**

- შესაბამისი თანხების მოძიებამდე, როგორმე ხომ უნდა მოხდეს გადახდისუუნარო ავადმყოფთა მომსახურებაც?

**- დღეისათვის ჩვენ ყველაზე მისაღები პროგრამით ვმუშაობთ. უფასოდ ვემსახურებით 15 წლამდე მოზარდებს, ქუჩის შემთხვევებს, ავარიებს, კატასტროფებს და ა.შ. დანარჩენ მოსახლეობას თანაგადახდის პრინციპიდან გამომდინარე ერთი გამოძახებისათვის 6 ლარის გადახდა უწევს. ეს არის სასწრაფოს საკუთარი შემოსავალი, რომელიც აუცილებელია სამსახურის ფუნქციონირებისთვის. იმ ექვსი ლარით მუშაობასაც განვაგრძობთ და თანამშრომლებს ხელფასებსაც ვაძლევთ.**

- სამი უფასო გამოძახების ავტორები ამბობენ, იმ ადამიანმა რა ქნას, რომელსაც 14 ლარი პენსია აქვს, 6 ლარი საიდან გადაიხადოსო?

**- ჩვენ თანახმა ვართ, ხანდაზმულებსაც უფასოდ მოვემსახუროთ და 6 ლარი 5-4 ლარამდეც დავწიოთ. ამის გაკეთება კიდევ შესაძლებელია, მაგრამ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სასწრაფო სამედიცინო სამსახურის პარალიზება მოხდება, თუკი ყველას ექნება სამი უფასო გამოძახების უფლება. ჩვენ გვაქვს იმის გამოცდილება, რომ ასეთ შემთხვევებში ადამიანები სასწრაფოს წნევის გასაზომად და ფილტვების მოსასმენად უძახებენ. ამას რომელი სასწრაფო გაუძლებს?!**

საერთაშორისო სტანდარტებით, თუ სასწრაფო მანქანა ადგილამდე 15 წუთში არ მივიდა, ნიშნავს, რომ სამსახური არ ფუნქციონირებს. ამ დროის შემცირება იმდენად ძვირი ჯდება, რომ ზესახელმწიფოებსაც უჭირთ. ნიუ-იორკში ასეთი გამოსავალი უნახავთ; დაუფინანსებიათ სპეციალური პროგრამა, რომლის ფარგლებში პირველადი სასწრაფო დახმარების აღმოჩენა უბრალო მოქალაქეებისთვის უსწავლებიათ.

იაპონიაში კი დიდ ხარჯებს არ მორიდებიან და სასწრაფო დახმარების სადგურები ახლო-ახლო, ხუთი წუთის სავალზე გაუკეთებიათ. როგორც შედეგმა აჩვენა, ამერიკული სისტემა უფრო ეფექტური გამომდგარა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ისაა, როგორი იქნება სასწრაფოს ქართული სისტემა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს ვასილ ჭეიშვილს მიაჩნია, რომ უნდა დაიწყოს სასწრაფო დახმარების სამსახურის სისტემური გარდაქმნა - სამსახურის გადაიარაღება, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტენდერის გამოცხადება, რისთვისაც პირველ რიგში საჭიროა ბიზნეს-გეგმის შემუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, სრულიად გაუგებარია, რას ვთავაზობთ მოსახლეობას უფასოდ: სასწრაფოს, რომელსაც ვერ გამოიძახებ იმიტომ, რომ საჭირო დროს ვერ დაუკავშირდები; სასწრაფოს, რომელსაც დაუკავშირდები, მაგრამ არ მოვა; სასწრაფოს, რომელიც მოვა, მაგრამ კარდიოგრაფი და დეფებლატორი არ ექნება; თუ სასწრაფოს, რომლის ექიმს სათანადო კვალიფიკაცია არ ექნება.

ვის სჭირდება კიდევ ერთი იმედგაცრუება?

ამ საკითხთან დაკავშირებით, სამი უფასო გამოძახების ავტორთა მოსაზრებებს "24 საათის" მკითხველი იცნობს. მათთან ხელმეორედ შეხვედრა ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ უფრო უპრიანი იქნება.

# „გრიცკოს" სასამართლო პროცესზე საეჭვო მოწმეები იკითხებიან

ხათუნა ჯანგირაშვილი

*გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ, გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესზე გუშინ ის მოწმე დაიკითხა, რომლის ჩვენებაც დაკვეთილი მკვლელობის შესახებ გარკვეულ მინიშნებებს იძლევა და გამოძიების მიერ დადგენილ ვერსიასთან წინააღმდეგობაში მოდის. ნათელა ქართველიშვილი ის ქალბატონი გახლავთ, რომელითაც, "რუსთავი 2"-ის ეთერში გამოჩენის შემდეგ, დაუდგენელი პიროვნებები დაინტერესდნენ, სისტემატურად აკითხავდნენ მას და ემუქრებოდნენ; ამიტომ ქართველიშვილი იძულებული გახდა, თბილისი დაეტოვებინა და შვილთან ერთად რაიონში გახიზნულიყო. ქართველიშვილის გარდა, გუშინდელ პროცესზე კიდევ ორი მოწმე დაიკითხა.*

როგორ მიაგნო გამოძიებამ გრიგოლ ხურცილავას შემთხვევით ნაცნობებს? გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეში კიდევ ერთი საეჭვო კითხვა მას შემდეგ ჩნდება, რაც მკვლელობაში ბრალდებულის სასამართლო პროცესზე გრიგოლ ხურცილავას ორი შემთხვევითი ნაცნობი გოგონა – თეა ჩინჩალაძე და ნინო ბიბილაშვილი მიჰყავთ დასაკითხად.

მოწმეები აცხადებენ, რომ განსასჯელი სანაიას მკვლელობის ღამეს ზოოპარკის პირდაპირ მდებარე ერთ-ერთ ბართან გაიცნეს. **"მანქანით ვიყავით, მოვიდა ჩვენთან და გაგვეცნო – "გრიცკო" მქვიაო. დიდხანს ვისაუბრეთ, მერე მანქანაშიც ჩავსვით. აგრესიული არ იყო; პირიქით, შემოგვთავაზა, სასტუმრო "აჭარაში" ჩემს მეგობარს ბარი აქვს და იქ წავიდეთო,"** – ასე გაიხსენეს ჩინჩალაძემ და ბიბილაშვილმა გრიგოლ ხურცილავასთან რამდენიმესაათიანი ნაცნობობა. მოწმეები განსასჯელთან მაშინდელ დიალოგს ზუსტად ვერ იხსენებენ და ვერც ზუსტ დროს ასახელებენ. ამბობენ მხოლოდ იმას, რომ გვიანი იყო. მათი ჩვენების მიხედვით, მას შემდეგ, რაც სასტუმრო "აჭარაში" ბარი დაკეტილი ხვდებათ, ახალგაცნობილთან ერთად მიდიან საბურთალოზე, ხურცილავას სახლთან. "გრიცკო" მეზობლებში ბენზინის ფულს შოულობს, გოგონებს ხუთ ლარს აძლევს და უკან მიჰყავს. ახალგაცნობილები ზემელზე, "მაკდონალდსთან" შორდებიან ერთმანეთს. ბიბილაშვილისა და ჩინჩალაძის გადმოცემით, მანქანაში ჩაჯდომამდე "გრიცკო" მათ ჩაკუზული ესაუბრებოდა და თან ლუდს სვამდა. სწორედ მაშინ შენიშნეს, რომ მას ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა; თუმცა, არ შეშინებიათ, რადგან "გრიცკოს" მათთვის დაცვის სამსახურის საბუთი უჩვენებია. **"იარაღში ვერ ვერკვევი, მაგრამ ის ვიცი, რომ "გრიცკოს" იარაღი არ ჰგავდა "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტს, რომელსაც პოლიციელები ატარებენ. ჩვენ ის "მაკდონალდსის" პირდაპირ ჩამოვსვით და ამით ჩვენი ურთიერთობა და ნაცნობობა შეწყდა",** – აცხადებს ჩინჩალაძე და ამტკიცებს, რომ სამართალდამცველებმა ის შემთხვევით სწორედ მაშინ აღმოაჩინეს, როცა დაკავებული გრიგოლ ხურცილავა შემთხვევის ადგილზე გაიყვანეს. " **"იმ დღეს, სრულიად შემთხვევით, ისევ ჩემი მანქანით ზუსტად იმ ადგილზე ვიდექი, "გრიცკომ" მიცნო და პოლიციელებს უთხრა: ეს ის გოგოა, იმ ღამეს რომ გავიცანიო, ამის შემდეგ წამიყვანეს და დამკითხეს",** - ასეთია განსასჯელის შემთხვევითი ნაცნობისა და სამართალდამცველთა მიერ "შემთხვევით აღმოჩენილი " მოწმე ქალბატონის განმარტება.


ნათელა ქართველიშვილის დაკითხვისას

არადა, თეა ჩინჩალაძის ეს განმარტება სარწმუნო აშკარად არ არის. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ მართლაც დამთხვევა მოხდა და სამართალდამცველებმა გრიგოლ ხურცილავას ერთი ღამის ნაცნობები შემთხვევით აღმოაჩინეს. გუშინ, ჩვენთან საუბარში, თეა ჩინჩალაძის ჩვენებას მონდომებით ამყარებდა სახელმწიფო ბრალმდებელიც და მოწმის სიტყვებს იმეორებდა. **"ეს, მართლაც, ასე იყო. დაკავების მეორე დღეს შემთხვევის ადგილზე გაყვანილმა ხურცილავამ ჩვენების მიცემისას აბსოლუტურად შემთხვევით დაინახა ჩინჩალაძე, მაშინვე იცნო და განაცხადა კიდეც",** - ამტკიცებდა პროკურორი. სინამდვილეში კი, რა როგორ მოხდა, ალბათ, არც გაირკვევა.

რაც შეეხება ნათელა ქართველიშვილს - ის ერთადერთი მოწმეა, რომლის ჩვენების მიხედვითაც ირკვევა, რომ გიორგი სანაიას მკვლელობამდე, როდესაც სანაიების ბინაში ოჯახის წევრები არ იმყოფებოდნენ, იქ ვიღაც შევიდა. ნათელა ქართველიშვილი, როგორც თავად აცხადებს, გიორგი სანაიას საცხოვრებელი კორპუსის წინ ხუთი წლის განმავლობაში ყიდდა პურს და თითქმის ყველა კლიენტს იცნობდა. ისიც კი იცოდა, მისი კლიენტები დაახლოებით რომელ საათზე ბრუნდებოდნენ სახლში. მრავალჯერ დაშინებული ქალბატონი ჩვენების მისაცემად გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში წინა პროცესზეც გამოცხადდა, თუმცა მაშინ მას ჩვენება არ მიუცია, ისე გაუჩინარდა სასამართლოს შენობიდან. ამის მიზეზად მან გუშინ ავად გახდომა დაასახელა. არადა, ჩვენი ინფორმაციით, მან სასამართლო მას შემდეგ დატოვა, რაც მოსამართლემ დაზარალებული მხარის ადვოკატს საქმის მასალების გაცნობისთვის ვადის მიცემაზე უარი განუცხადა და ადვოკატი იძულებული გახდა, დარბაზი დაეტოვებინა. გუშინ კი ქართველიშვილმა სასამართლოს აცნობა უცხო ადამიანების მხრიდან მისი დაშინების ფაქტები და სანაიას მკვლელობამდე მის ბინაში შემჩნეული საეჭვო დეტალები.

**"ზუსტად მახსოვს, 11-ის 15 წუთი იყო, გიორგი სანაიას ბინაში სინათლე რომ გამოჩნდა. წინა დღეებში იქ სინათლე არ დამინახავს და იმიტომ მივაქციე ყურადღება. ჯერ სამზარეულოში აინთო, შემდეგ - მიშენებულ აივანზე. ლანდის მოძრაობასაც ვხედავდი, დავაკვირდი, მაგრამ ვერ გავარჩიე, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. დაახლოებით რვა წუთში ჯერ აივანზე ჩაქრა სინათლე, 10 წუთის შემდეგ კი სამზარეულოში,"** –განაცხადა მოწმემ. რაც შეეხება მასზე განხორციელებულ ზეწოლას, ქართველიშვილი ამბობს, რომ მას სხვადასხვა პიროვნებები აკითხავდნენ და იმდენად აწუხებდნენ, რომ მოსვენება დაუკარგეს არა მხოლოდ მას, არამედ მის გვერდით მსხდომ პურის გამყიდვლებსაც. **"იმ ბიჭმა, რომელიც მესამედ მოვიდა ჩემთან, დედა შემაგინა და მითხრა - რა გალაპარაკებდა, ენა გააჩერე, ამის შემდეგ არანაირი განცხადება აღარ გააკეთო, თორემ ნახავ, როგორ ალაპარაკდები და რა მოუვა შენს შვილსო; თანაც გასაყიდი პური გადამიყარა და გადამეკიდა, სად გააპარე შენი შვილი, თქვი, სად არისო",** – ასე იხსენებს სანაიას მკვლელობის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ნათელა ქართველიშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მკვლელობის ღამეს, სანაიების ოჯახში, მან მხოლოდ ერთი ადამიანის ლანდი შეამჩნია. ნათელა ქართველიშვილის დაკითხვა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და მისი სასამართლო ჩვენება წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების იდენტური აღმოჩნდა.

სასამართლო პროცესზე დაკითხული პირველი მოწმის, განსასჯელის მეგობრის მალხაზ ხვედელიანის სიმამრს - ამირან ადეიშვილს მომდევნო პროცესზე იძულების წესით მიიყვანენ. ეს გადაწყვეტილება მოსამართლემ პროკურორის მოთხოვნის შემდეგ მიიღო. პროკურორმა დამატებითი მოწმეების დაკითხვის მოთხოვნის შუამდგომლობაც დააყენა. "გთხოვთ, პროცესზე დასაკითხად გამოიძახოთ ის ადამიანებიც, რომლებიც მკვლელობის დეტალებზე, მართალია, ვერაფერს იტყვიან, მაგრამ მათ შეუძლიათ, მოგვცენ ინფორმაცია გარკვეულ გარემოებათა შესახებ, რადგან მკვლელობის წინა დღეებში გიორგი სანაიას მათთან უშუალო შეხება ჰქონდა. პროკურორის მიერ ჩამოთვლილი დამატებითი მოწმეების სია ასეთია: თამარ დეკანოსიძე, ხატია მოისწრაფიშვილი, მათე კირვალიძე, ეროსი კიწმარიშვილი, დიმიტრი ობოლაძე, ელენე თევდორაძე და ხიზრი ალდამოვი.

გუშინ განსასჯელის ადვოკატმა სახელმწიფო ბრალმდებლებს კიდევ ერთხელ შეახსენა და საქმის მასალებზე იმ დოკუმენტის დართვა მოითხოვა, სადაც საუბარია სატელეფონო მოსმენებზე. ხურცილავას დამცველის განმარტებით, ეს ჩანაწერები კანონიერად არის მოპოვებული და გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს უკავშირდება. "ვიცი, რომ არსებობს რაღაც დადგენილება სატელეფონო მოსმენებზე. ამ დოკუმენტის შინაარსი ჩემთვისაც უცნობია და არც ის მიზეზი ვიცი, რატომ არ დევს საქმეში," – აცხადებს დავით დადიანი.

რაზეა საუბარი ადვოკატის მიერ ნახსენებ დოკუმენტში, მკაცრად გასაიდუმლოებულია. ამის შესახებ არც პროკურორები იძლევიან განმარტებას; თუმცა აცხადებენ, საქმის მასალებს ის უახლოეს მომავალში დაემატება.

# სახალხო დამცველი და სამხედრო პროკურორი არ რიგდებიან

სოფიკო ჩხაიძე

**"მარტო სახალხო დამცველის განცხადებებზე ელახება სამხედრო პროკურორს პატივი და ღირსება, თუ მის წინააღმდეგ სხვების მიერ გამოთქმული შენიშვნებიც აღელვებს?"** - სამხედრო პროკურორის, გია ჯიქიას განწყობით გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესზე ნანა დევდარიანის ერთ-ერთი ადვოკატი ზვიად კორძაძე დაინტერესდა. მისი ინტერესის მიზეზი კი თავად სახალხო დამცველმა ასე ახსნა: **"მანამდე, სანამ მე გამოვთქვამდი გია ჯიქიას მოღვაწეობის შესახებ ჩემს მოსაზრებებს, ერთი წლის მანძილზე პრესაში მის მიმართ მკაცრი შეფასებები უკვე ქვეყნდებოდა. რატომ მაინცდამაინც ჩემმა განცხადებებმა შეულახეს ღირსება?"**

**"არა, რატომ, სულ ელახებოდა და ელახებოდა",** - ასეთი გახლდათ გია ჯიქიას ინტერესების დამცველი ადვოკატის გიორგი ყაველაშვილის პასუხი.

შესაბამისად, სამხედრო პროკურორს, როგორც ჩანს, მოსწყინდა ასე პატივ და ღირსებაშელახული სიარული და სახალხო დამცველს სასამართლოში უჩივლა.

გუშინ განახლებულ სასამართლო პროცესზე გია ჯიქიას ადვოკატმა იმის დასაბუთება სცადა, თუ რატომ უნდა მოიხადოს ბოდიში ნანა დევდარიანმა იმისათვის, რომ მან სამხედრო პროკურორს იარაღის ბიზნესში მონაწილეობა, სამსახურებრივი გულგრილობა, საბუთების გაყალბება, კანონმდებლობის არცოდნა და სხვა ათასი ცოდვა დააბრალა. მისი თქმით, ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველი ისე აბრალებს თანამდებობის პირს სხვადასხვა დანაშაულების ჩადენას, რომ ამ დანაშაულების გამო სასამართლოს არ უმსჯელია და არც განაჩენი გამოუტანია, უკვე ცილისწამებაზე მეტყველებს. საწინააღმდეგო არგუმენტი აქვს ზვიად კორძაძეს, რომელიც ამბობს, რომ არათუ სახალხო დამცველს, ნებისმიერ მოქალაქესაც კი შეუძლია თუნდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვას. სხვათა შორის, იგივე ნანა დევდარიანი ამბობს, რომ იარაღის ბიზნესში ჯიქიას მონაწილეობის შესახებ მან განცხადებები კი არ გააკეთა, არამედ გენერალურ პროკურორს მიმართა, პრესაში ამის თაობაზე გამოქვეყნებული მასალების შესახებ ემსჯელა. რაც შეეხება კანონმდებლობის არცოდნისა და დოკუმენტების გაყალბების ბრალდებებს, დევდარიანი ამბობს: **"სამხედრო პროკურორმა რომ კანონები არ იცის, ამაზე ერთი უბრალო მაგალითიც მეტყველებს. მან გენერალურ პროკურორს მიმართვა გაუგზავნა, ჟურნალისტები და სახალხო დამცველი დაიბარეთ და გამოკითხეთ, ჩემს წინააღმდეგ მასალები როგორ მოიპოვესო. ჯერ ერთი, რომ მე სახალხო დამცველის თანამდებობაზე მოღვაწეობის ვადის ამოწურვის შემდეგაც მაქვს უფლება, არ გავამხილო ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციების წარმომავლობა. როგორც ცნობილია, არც ჟურნალისტები არიან ვალდებულნი გენერალურ პროკურორს ინფორმაციის წყარო დაუსახელონ. სამხედრო პროკურორმა ეს რომ არ იცის, რას ნიშნავს, თუ არა კანონების უცოდინრობას?"** - ამბობს დევდარიანი და გია ჯიქიას საომარ მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელ საბუთს ეჭვქვეშ აყენებს: **"ომის ვეტერანის საბუთები საგადასახადო შეღავათებით სარგებლობისთვის სჭირდებოდა. საომარ მოქმედებებში მის მონაწილეობას კი ადასტურებს თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც, თანამდებობრივად, იურიდიული განათლების ქონა ევალებოდა. ამ ჩინოვნიკს ჰქონდა კიდეც პირად საქმეში რუსეთის ერთ-ერთი ქალაქის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების ცნობა, თუმცა, იმ უნივერსიტეტიდან გვაცნობეს, რომ ასეთ პიროვნებას მათთან არასოდეს უსწავლია. ახლა მითხარით, ამ კაცის რწმუნება დასაჯერებელია თუ არა".**

სახალხო დამცველისა და მისი ადვოკატების მტკიცებულებებს მხარს უბამენ პროცესზე მოპასუხეთა სახით მოწვეული იმ საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებიც, რომელთა საშუალებითაც ნანა დევდარიანის განცხადებები ვრცელდებოდა. მეტიც, "ახალი თაობის" ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი სტრასბურგის ევროსასამართლოს პრაქტიკას იშველიებს, რომლის თანახმადაც, თანამდებობის პირი უნდა აცნობიერებდეს მის მიმართ საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს და, შესაბამისად, უნდა მოითმინოს კრიტიკა. ამას ევროსასამართლო თმენის ვალდებულებას უწოდებს. თუმცა, ჯიქიას დამცველი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თმენის ვალდებულება აღარ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა კრიტიკა დასაშვების ფარგლებს სცდება.

თავად სამხედრო პროკურორი გია ჯიქია კი, რომელიც სასამართლო პროცესს არ ესწრება, ნანა დევდარიანის სოციალისტურ წარსულს იხსენებს და მის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას პოლიტიკურ სარჩულს უდებს:

**"გაიხსენეთ, დევდარიანის თანაპარტიელი პარლამენტის სხდომაზე რომ გამოვიდა და პარლამენტის თავმჯდომარე სახალხო დამცველის მოხსენების გადადებაში დაადანაშაულა – სამხედრო პროკურორზე თავდასხმას უფრთხისო. ძნელი მისახვედრი არ არის, ჩემს წინააღმდეგ ბრალდებების შეთითხვნით ვის უმიზნებენ – მას, ვინც რეკომენდაცია გამიწია",** - არც თუ ბუნდოვან მინიშნებებს აკეთებს გია ჯიქია და საკუთარი სიმართლის დამტკიცების იმედს იტოვებს.

# რეფორმატორებს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან

## აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში

*გუშინ დილით, სახლიდან გამოსულ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ლევან რამიშვილს უცნობმა პირმა თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით მძიმე ჭრილობა მიაყენა და მისი კუთვნილი ავტომანქანა "პეჟო" გაიტაცა. საბედნიეროდ რამიშვილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ თავდასხმა მიზანმიმართულად, სამინისტროს მიერ გატარებული კურსის წინააღმდეგ განხორციელდა. ამ მოტივაციას არც პოლიციაში უარყოფენ და შესაბამის ვერსიაზე მუშაობას განაგრძობენ.*

მაია ურუშაძე

გუშინვე სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ ბრიფინგი მოიწვია და ლევან რამიშვილზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტი სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე რეფორმების ინიციატორებთან ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობას დაუკავშირა. კირვალიძის განცხადებით, ვეტერინარიის დეპარტამენტში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, უკვე ნახევარი წელია, რეფორმა მიმდინარეობს. რეფორმების შედეგად, ვეტერინარული სამსახურები ეტაპობრივად უნდა განკერძოვდეს, ხოლო სახელმწიფოს კომპეტენციაში მხოლოდ მათი საქმიანობის ლიცენზირება დარჩება. **"რეფორმის შედეგად, ვეტერინარ მაკონტროლებელსა და სურსათის იმპორტიორს შორის გარიგების მოტივაცია იკარგება,** - აცხადებენ სამინისტროში, - **რადგან უხარისხო საქონლის სერტიფიცირების შემთხვევაში ისინი საკმაოდ მომგებიანი ლიცენზიის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდებიან."**

გარდა ამისა, კირვალიძის ინფორმაციით, საქართველო მუდმივად იღებს ინფორმაციას მსოფლიოს ეპიზოოტური ბიუროსგან. ეს ბიურო პერიოდულად აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყანაში ჯანმრთელობისათვის საშიში რა დაავადება დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის სექტორში. ბიუროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში ამა თუ იმ დაავადებით "დაზიანებული" ქვეყნიდან იმპორტი გარკვეული დროით იკრძალება, ან იზღუდება. ასეთ შეზღუდვაში ამ ცოტა ხნის წინ ბრაზილიური ქათმის ბარკლები მოჰყვა, ახლა კი - ინდური საქონლის ხორცი.

როგორც სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გვაცნობეს, საქონლის ხორცის შემოტანა იკრძალება არა მთლიანად ინდოეთიდან, არამედ იმ ინდური საწარმოებიდან, რომელთა სანიტარული მდგომარეობაც არ აკმაყოფილებს ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ პროდუქციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

სამინისტროში ვარაუდობენ, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში რეფორმებს ის პირები და ფირმები ებრძვიან, ვინც იმპორტს სწორედ ამ "შეზღუდული" საწარმოებიდან ახორციელებს და შესაბამისად, სერტიფიკატის მიღებაც უჭირს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, რეფორმების შედეგად შეიზღუდა მხოლოდ იმ იმპორტიორთა ინტერესი, ვისაც საქართველოში დაბალხარისხიანი პროდუქცია შემოაქვს. **"მას შემდეგ, რაც რიგი ქვეყნებიდან გარკვეული პროდუქციის შემოტანა აიკრძალა, დაიწყო მიზანმიმართული მუქარა და ზეწოლა ვეტერინარიის დეპარტამენტზე,"** - განაცხადა დავით კირვალიძემ. მისი თქმით, ბოლო ორ წელიწადში სამინისტროს თანამშრომლებზე შეიარაღებული თავდასხმის მცდელობას ოთხჯერ ჰქონდა ადგილი.

# მოსამართლემ არც მწვადი დაწვა, არც შამფური

თამარ კაციტაძე

*მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ რამდენიმეთვიანი განხილვის შემდეგ სამი ჩეჩენის ექსტრადიციის საკითხი გადაწყვიტა. მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილის დადგენილებით, ალხანოვი საქართველოში დარჩება, გელოგაევი და ელიხაჯიევი კი რუსეთში, "ლეფორტოვოს" ციხეში გაიგზავნებიან.*

საბოლოოდ, გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ჩეჩენთა ლტოლვილობის სტატუსს დაეყრდნო და განსასჯელთა ადვოკატების სარჩელიც ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ფუხაშვილის განმარტებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ვერ წარმოადგინა რაიმე ოფიციალური დოკუმენტი ალხანოვისთვის ლტოლვილის სტატუსის გაუქმების შესახებ, რის გამოც, საერთაშორისო კონვენციის თანახმად, იგი კვლავ ინარჩუნებს ლტოლვილის სტატუსს და მისი გადაცემა იმ ქვეყნისთვის, საიდანაც იგი იდევნებოდა, დაუშვებელია.

სამაგიეროდ, მოსამართლემ ვერ გაიზიარა გელოგაევის და ელიხაჯიევის დაცვის არგუმენტები და კანონიერად ჩათვალა პროკურატურის პოზიცია, რომელიც მინსკის კონვეციას ემყარება და რომლის მიხედვითაც, დაკავებული ჩეჩნები, როგორც რუსეთის მოქალაქეები, მოსკოვში უნდა გადაიგზავნონ.


ჩეჩენი პატიმრები განაჩენის მოლოდინში.

სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილებით ნაწილობრივ კმაყოფილი დარჩა როგორც დაცვის მხარე, ასევე ბრალდების წარმომადგენლებიც.

**"ის, რომ არ მოხდება რუსეთში ალხანოვის ექსტრადიცია, ეს უკვე გამარჯვების ტოლფასია და სამომავლო ბრძოლის იმედსაც გვისახავს",** – თქვა სასამართლოდან გამოსულმა ადვოკატმა ლია მუხაშავრიამ.

**"პროკურატურა კმაყოფილია, რადგან სასამართლომ გელოგაევის და ელიხაჯიევის ექსტრადიციის საკითხში ჩვენი მოთხოვნა გაიზიარა",** - ამბობს გენერალური პროკურატურის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი პაატა მსხილიძე.

თუმცა, მიუხედავად ნაწილობრივი კმაყოფილებისა, ორივე მხარე - დაცვაც და ბრალდებაც, ათდღიან საკასაციო ვადაში უზენაესი სასამართლოსთვის მიმართვას გეგმავს და ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

**"დაპატიმრებისთანავე გელოგაევმა და ელიხაჯიევმაც საქართველოს ხელისუფლებას ლტოლვილის სტატუსის მიღება სთხოვეს, მაგრამ, ჯერჯერობით, არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი არ მიუღიათ. ამიტომ, ეს ფაქტი ადმინისტრაციული წესით სასამართლოში გავასაჩივრეთ და ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მანამდე კანონით ჩეჩენ განსასჯელთა ექსტრადიცია არ მოხდება. ამასთან, უზენაეს სასამართლოში ჩვენ კიდევ ერთხელ ვეცდებით, ორივე განსასჯელის რუსეთში ექსტრადირების უკანონობა დავამტკიცოთ",** – ამბობს მუხაშავრია.

ალხანოვის საქართველოში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების გაპროტესტებას აპირებს გენერალური პროკურატურაც.

ერთი სიტყვით, თვეების მანძილზე გაჭიანურებული ე.წ. ჩეჩნების პროცესის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

# "საქგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორი მეორედ დააპატიმრეს

"საქგაზის" ყოფილი გენერალური დირექტორი და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე გურამ ჩიჩუა გუშინ მეორედ დააპატიმრეს. საოლქო სასამართლომ გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა-პროტესტი დააკმაყოფილა და გამოძიების მიერ ფინანსურ მაქინაციებში ბრალდებულ ჩიჩუას 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

საქმე ისაა, რომ გურამ ჩიჩუა, რომელიც გენერალურმა პროკურატურამ გასულ კვირას დააპატიმრა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ 145 ათასი ლარის გირაოს გადახდის შემდეგ საპატიმროდან თავდებით გაათავისუფლა. გენერალურმა პროკურატურამ კი სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილება გურამ ჩიჩუას გირაოთი გათავისუფლების თაობაზე გააუქმა.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის რევაზ ზარანდიას არგუმენტები, რომელთა საფუძველზეც, იგი ჩიჩუას დაპატიმრებას ითხოვდა, ასეთია: გურამ ჩიჩუას მოღვაწეობის პერიოდში "საქგაზის" მიერ სახელმწიფოსადმი მიყენებული სოლიდური ზარალიდან გადახდილი არ არის ერთი თეთრიც კი; ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა დანაშაული ჩაიდინა სხვა პირებთან ერთად, რომელთა დაპატიმრებასაც პროკურატურა აპირებს; გურამ ჩიჩუა იმხილება სხვა დანაშაულშიც.

შეგახსენებთ, რომ გურამ ჩიჩუა ბიუჯეტისთვის დამალული 546 ათასი ლარის მითვისებაშია ბრალდებული და მისთვის წაყენებული მუხლი 5 წლით პატიმრობას ითვალისწინებს.

რევაზ ზარანდიას განცხადებით, მათ მიერ აღმოჩენილია დარღვევები, რომელიც ჩიჩუას მოღვაწეობის პერიოდში - 1998-2000 წლებში - განხორციელებულ საქმიანობას ეხება და "საქგაზში" ჩატარებული სხვა ფინანსური მაქინაციები მხოლოდ ნაწილია ამ დარღვევებისა. მანვე არ გამორიცხა, რომ უახლოეს დღეებში გამოვლინდება ენერგეტიკის სფეროში მომუშავე სხვა მაღალჩინოსნების ბრალეულობაც.

თავად გურამ ჩიჩუა პროცესს არ დასწრებია. მისი ადვოკატი ზვიად კორძაძე აცხადებს, რომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება მცდარია.

# ოთხი „კანონიერი ქურდი" ერთ დღეს დააკავეს

პირველი გვერდიდან

თუმცა, სანამ ზურაბ ჩხაიძე კანონიერ ქურდებთან ბრძოლას მთელი საქართველოს მასშტაბით შეუდგება, დედაქალაქში მინისტრის ბრძანების შესრულებას ადგილობრივმა პოლიციელებმა მიჰყვეს ხელი.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გუშინ თბილისის სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა დროს ოთხი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს: ალექსანდრე კობალაძე, მეტსახელად "სიუ", მამუკა ირემაშვილი, მეტსახელად "სიო", ანდრო გეგენავა და რომან გაბუნია. ამ უკანასკნელის გარდა, რომელიც ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი მეორედ ჩაუვარდა პოლიციას ხელში, დანარჩენ სამს პოლიციელებმა პირადი ჩხრეკისას ჰეროინი აღმოუჩინეს, მართალია, არც ისე დიდი რაოდენობით – ყველაზე ბევრი 0,2 გრ – თუმცა, დაკავების საფუძვლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

"კანონიერი ქურდების" დაკავების ფაქტი დაგვიდასტურა შს სამინისტროს პრესცენტრის უფროსმა პაატა გომელაურმა. მისი თქმით, **"დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტების წინააღმდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით წარმოებული ოპერატიული ღონისძიებების ფარგლებში, თბილისის პოლიციის მთავარმა სამმართველომ საკუთარი ძალებით დააკავა ოთხი, ეგრეთ წოდებული, კანონიერი ქურდი, რომლებიც იმხილებიან კონკრეტულ დანაშაულებში".** გომელაურის თქმით, გუშინდელი დაკავებები - ეს მხოლოდ პირველი შედეგებია, რომელსაც პოლიციამ თბილისში მიაღწია. **"ყველა ღონისძიება ხორციელდება კანონის დაცვით და ბრძოლა კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებთან მთელი საქართველოს მასშტაბით გაგრძელდება",** - ამბობს გომელაური.

გუშინ დაკავებული ოთხივე პირი წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევია. მეტიც, მამუკა ირემაშვილი უკანასკნელად მარნეულის პოლიციის ანტინარკომანიის განყოფილების უფროსთან, მურთაზ შეროზიასთან და რამდენიმე სხვა პირთან ერთად, ფონიჭალის საგუშაგოზე დააკავეს. მაშინ, შეროზიას გარდა, რომელსაც ჩხრეკისას 12 გრ-მდე ჰეროინი აღმოაჩნდა, ნარკოტიკული ნივთიერება მხოლოდ ირემაშვილს უპოვეს – 12,9 გრ მარიხუანა. გუშინ პოლიცია გვარწმუნებდა, რომ ირემაშვილი, ყველა მაშინდელ თანამგზავრთან ერთად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს, თუმცა, ამჟამად მათგან მხოლოდ მურთაზ შეროზია რატომ იხდის სასჯელს - ამის გასარკვევად სასამართლოსკენ მიგვითითეს.

# ტინტორეტო

**ტიციანო ვეჩელიოს** სიკვდილის შემდეგ ვენეციის პირველი ფერმწერის სახელი დარჩა **იაკოპო რობუსტის**, რომელიც **ტინტორეტოს** სახელითაა ცნობილი. ტინტორეტო იტალიურად პატარა მღებავს ნიშნავს. მართლაც, იაკოპო მღებავის შვილი იყო და ტიციანის სახელოსნოში დაეუფლა ფერწერის ხელოვნებას. ტიციანმა იაკოპო დაითხოვა: ერთნი ამბობენ, რომ შურის გამო, სხვები — რომ მომავალ მაესტროს თავიდან ხატვის არანაირი ნიჭი არ ეტყობოდა.

როდესაც იაკოპო პირველად მივიდა ტიციანის სახელოსნოში, იგი 13-14 წლის გამოუცდელი ყმაწვილი იყო, მისი ორმოცდაათს გადაცილებული ოსტატი კი — უკვე მთელს ევროპაში სახელგანთქმული მხატვარი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ პირობებში ტიციანს შური ამოძრავებდა. ალბათ, იფიქრა, რომ იაკოპო კარგი მხატვარი არასოდეს დადგებოდა. მიუხედავად ამ უსიამოვნო ფაქტისა, ტინტორეტოს არ ჰქონია მასწავლებლის მიმართ ბოღმა: ის ყოველთვის აცხადებდა, რომ ნახატში **მიქელანჯელოს** უნდა გასწორებოდა, ფერში კი — ტიციანს.

მხატვრის ბიოგრაფები მოგვითხრობენ, რომ მას შემდეგ, რაც ტინტორეტომ ტიციანის სახელოსნო დატოვა, უკვე ახალი ოსტატისთვის აღარ მიუმართავს, მაგრამ თავისით სწავლობდა ყველასაგან, ვისგანაც რაიმეს


ტინტორეტო – ვენერა და ვულკანი

სწავლა შეიძლებოდა. ყურადღებით გამოიკვლია **ბელინის**, **კარპაჩოს**, **ჯორჯონეს** ნამუშევრები, შეიძინა ცნობილი ქანდაკებების თაბაშირის ასლები, ხარბად კითხულობდა ყოველივეს, რაც კი იწერებოდა ხელოვნების შესახებ, ათეულობით გვამი გაკვეთა საკუთარი ხელით, რათა ადამიანის ანატომიის ცოდნა გაეღრმავებინა, რვეულები ჩანახატებითა და ესკიზებით აავსო, ფერწერის ყველა არსებული ტექნიკა გამოსცადა. ყოველივეს დამოუკიდებლად აკეთებდა და არც ერთი სიძნელისა თუ მარცხის წინაშე არ მოუხრია ქედი.

სასიცოცხლო სახსრების საშოვნელად მრავალი წელი ავეჯის ლაქით დაფარვასა და კედლების მოპირკეთებაში გაატარა. ამავე დროს შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ თავისი ნამუშევრები საჯაროდ არ გამოეფინა. გამოფენებს კი ყველგან აწყობდა: ვენეციის გარეუბნებსა და მოედნებზეც. და თუმცა ლამის მუქთად ყიდდა, მყიდველებს მაინც ვერ პოულობდა, რადგანაც გამოჩენილ მხატვრებს შეკვეთებზე მონოპოლია ეპყრათ. მრავალი მსხვერპლის, დათმობისა და დამცირების შედეგად ბოლოს და ბოლოს მიაღწია საწადელს და ასიოდე დუკატის საფასურად მადონა დელ ორტოს ეკლესიის მოხატვას შეუდგა. ფრესკებმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოებაში და ტინტორეტოც მალე მოდური მხატვარი გახდა.

1564 წელს სან როკოს სახელობის სკოლამ გამოაცხადა კონკურსი შენობის მოსახატავად. **ვერონეზემ** და **სკიავონემ** კონკურსზე ესკიზები წარმოადგინეს. ტინტორეტომ კი მსაჯულთა თვალწინ თავისი დასრულებული ნამუშევარი გამოფინა. მრავალი პროტესტის მიუხედავად კონკურსში გამარჯვებულმა, თვრამეტი წელი მოანდომა სამუშაოს დასრულებას. სწორედ ამ დროს იფიქრა ოჯახის შექმნა. ცოლად ერთი ძალიან ლამაზი ქალი შეირთო, რომლისგანაც რვა შვილი ჰყავდა. ტინტორეტო მოკრძალებულ სახლში ეწეოდა ჩაკეტილსა და წყნარ ცხოვრებას. მეგობრები არ ჰყავდა და არც უნდოდა, რომ ჰყოლოდა.

ტიციანის კვალზე ტინტორეტო ვენეციის ერთ-ერთი საუკეთესო პორტრეტისტი იყო. მას დოჟებიც კი უკვეთავდნენ საკუთარ გამოსახულებას. ტინტორეტოს ფუნჯმა დოჟის სასახლის კედლებზე გამოხატა ვენეციის რესპუბლიკის სიდიადე. 68 წლის მხატვარმა შეასრულა გიგანტური (სიგრძეში 22 და სიმაღლეში 7 მეტრის) ტილო, "სამოთხე", რომელზედაც ხუთასამდე ფიგურა იყო გამოსახული. სამწუხაროდ, ტინტორეტოს ამ უკანასკნელმა დიდმა ნამუშევარმა ჟამთასვლას ვერ გაუძლო.

"ლაგუნის მიქელანჯელოდ" წოდებული მხატვარი 1594 წელს გარდაიცვალა 77 წლის ასაკში.


ტინტორეტო – წმ. გიორგის ბრძოლა ვეშაპთან

# ბორჯების საგვარეულო

დასაწყისი იხ. №64

1500 წლის ოქტომბერში ვალენსიის ჰერცოგმა და ალექსანდრე VI-ის უკანონო ვაჟმა ჩეზარე ბორჯამ ეკლესიის მტრების წინააღმდეგ მეორე ლაშქრობა წამოიწყო. ემილია-რომანიისაკენ გზაზე, ლაციუმში მისი მთავარი სამიზნე პაპის ურჩი გრაფების, **კოლონასა** და **საველის** საგვარეულო ციხე-დარბაზები გახდა. ჩეზარემ აიღო ეს სიმაგრეები და იქ თავისი გარნიზონი ჩააყენა. იგი ამ დროს სარდლობდა 14.000 მხედრისგან შემდგარ ჯარს, რომელსაც მღვდლების, მეძავების, ტაკიმასხარებისა და ჟონგლიორების მთელი ბრბო მისდევდა. მოსახლეობა ყველგან ზეიმით ხვდებოდა, თითქოს ჩეზარე ბორჯა მათი განმათავისუფლებელი ყოფილიყო. მისი მოახლოებისას თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ ფულიან ქართველთა შორის დღეს ყველაზე ცნობილი ქალაქის, რიმინის სენიორი, **პანდოლფო მალატესტა** და მის ახლომდებარე პეზაროს სენიორი, **ჯოვანი სფორცა**, ქალაქებს კი პაპის ერთგული მეომრები დაეპატრონნენ.

შემოტევას მხოლოდ ქალაქმა ფაენცამ გაუწია წინააღმდეგობა და **ასტორე მანფრედისა** და მისი ძმის სარდლობით რამდენიმე თვის განმავლობაში უძლებდა სასტიკ ალყას. ქალაქის აღებისას ჩეზარე ბორჯამ დიდსულოვნება გამოიჩინა: ქათინაურებით აავსო ორივე მანფრედი და ვაჟკაცობა შეუქო. ძმებს ისე შეუყვარდათ ჩეზარე, რომ მის სამსახურში გადავიდნენ და ერთი წელი არ მოშორებიან. 1501 წელს უცნობი მიზეზების გამო ჩეზარე ბორჯამ გუნება შეიცვალა და მდინარე ტიბროსში დაახრჩობინა ძმები.

1502 წლის გაზაფხულზე ჩეზარე ბორჯამ უკვე კამერინოსა და ურბინოს, დიდი რაფაელის მშობლიური ქალაქის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ ქალაქს მაშინ **გვიდობალდო დე მონტეფელტრო** მართავდა — განათლებული დესპოტი, ნატიფი გემოვნების მქონე ჰუმანისტი, გულუხვი მეცენატი. როგორც კი პაპის ჯარების მოახლოება შეიტყო, სნეული გვიდობალდო საწოლიდან ადგა და თავისი საუფლო დატოვა. ერთი თვის შემდეგ ასეთივე ბედი ეწია კამერინოსაც.

ჩეზარეს ლაშქრობები მართლაც ძალიან სწრაფი და წარმატებული იყო. ამის გამო პაპის ძალაუფლებას დამორჩილებულ ოლქთა მოსაზღვრე იტალიური სახელმწიფოები აშკარად შეშფოთდნენ. ვენეცია მშვიდად, მაგრამ ეჭვის თვალით ადევნებდა თვალს პაპის ძალაუფლების დამკვიდრებას ადრიატიკის ზღვის ნაპირებზე. ფლორენციასაც ეშინოდა ტოსკანაში პონტიფიკალური რეჟიმის დამყარებისა. სამხედრო წარმატებების ზრდასთან ერთად შეშფოთება ძლიერდებოდა თვით ჩეზარე ბორჯას მიერ დაქირავებულ კონდოტიერთა გულებში. მათ უკვე საკუთარი მიწების ბედი აწუხებდა, რადგანაც ამ მიწებსაც შეიძლებოდა დახარბებოდა რომის მღვდელთმთავრის მეომარი და გულზვიადი ბუში. ამ შეფიქრიანებულ სარდლებს სათავეში სწორედ ის ვიტელოცო ვიტელი ჩაუდგა, რომელმაც ასე ოსტატურად უხელმძღვანელა საეკლესიო არტილერიას.

1502 წელს ლა მაჯონეში, ტრაზიმენოს ტბის ნაპირზე ვიტელოცომ უკმაყოფილო სარდლები და ბორჯას გვარის ძველი მტრები შეკრიბა. გადაწყვიტეს, წაერთმიათ ჩეზარესათვის რომანიის ჰერცოგის ახლადმიღებული ტიტული, მასთან ერთად კი — დაპყრობილი მიწები, რომლებიც ძველ პატრონებს უნდა დაბრუნებოდა.

ჩეზარემ მამას მიმართა დახმარებისათვის. ალექსანდრე VI-ს იმ დროს ფული უჭირდა, მაგრამ ლამის აუქციონზე გაყიდა საეკლესიო შემოსავლიანი ადგილები და 50.000 დუკატი გაუგზავნა შვილს, რომელმაც ამ ფულად 6.000 მხედარი დაიქირავა. გარდა ამისა, პაპი ჩეზარეს წინააღმდეგ შეთქმულებს დაუკავშირდა და ათასი დაპირებითა თუ ცბიერებით განზრახვა გადაათქმევინა. შერიგება ქალაქ სენიგალიაში უნდა მომხდარიყო. პაპმა ერთ დარბაზში მიიპატიჟა შეთქმულების მთელი ხელმძღვანელობა: **ვიტელოცო ვიტელი**, **ოლივეროტო დი ფერმო**, **პაოლო** და **ფრანჩესკო ორსინები**. უეცრად დარბაზში პაპის გვარდია შემოვარდა და ყველა სტუმარი დააპატიმრა. ვიტელოცო და ოლივეროტო იმავე ღამეს დაახრჩვეს, ძმებმა ორსინებმა კი ცოტათი მეტხანს იცოცხლეს: მათ მხოლოდ 1503 წლის 18 იანვარს მიუსაჯეს სიკვდილი.

ამ მოვლენამ შესძრა ევროპის მმართველები და აღაფრთოვანა მაშინდელი ისტორიკოსები. **ნიკოლო მაკიაველიმ** მას „იშვიათი და ღირშესანიშნავი ქმედება" უწოდა, საფრანგეთის მეფემ, **ლუი XII**-მ — „ძველი რომის საკადრისი საქმე", ეპისკოპოსმა **პაოლო ჯოვიომ** — „უმშვენიერესი ცბიერება".

სანამ ლაშქარს დაემშვიდობებოდა, ჩეზარე ბორჯამ გადაწყვიტა, ტოსკანელი წარჩინებულებისთვის ესწავლებინა ჭკუა. მათ ისარგებლეს პაპის შეიარაღებული ძალების სიშორით და სანამ ჩეზარე შეთქმულებით იყო დაკავებული, ბიბილოები ასწიეს. ჩეზარემ ელვის სისწრაფით აიღო მათი სიმაგრეები და პაპის საერო ხელისუფლებას დაუმორჩილა.

ამ დროს მას 28 წელი შეუსრულდა. რომში დაბრუნებული სარდლის სახელი ყველას პირზე ეკერა. ვატიკანში ჩაკეტილ ცხოვრებას მიჰყო ხელი. იშვიათად გამოდიოდა ქუჩაში და მაშინაც შავი აბრეშუმის ნიღბით იფარავდა სახეს. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ არ სურდა ხალხისგან პატივის მიღება. სხვები ამტკიცებენ, რომ სახეზე მოდებულ ვენერიულ წყლულებს იფარავდა. ამბობდნენ, რომ დღე და ღამე მუშაობდა. სულ მუდამ კავშირში იყო დაპყრობილ ტერიტორიებთან. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მისი ბრძანებები ყოველთვის ლაკონური იყო და მათ დამრღვევებს მხოლოდ სიკვდილი ელოდა.


ლეონარდო და ვინჩი – ქვემეხის სადგარის მოდელი


ლეონარდო და ვინჩი – გიგანტური არბალეტის პროექტი

მუდმივი იდუმალების ატმოსფერო, რომელიც ვატიკანში დამკვიდრებულ ჩეზარე ბორჯას ახლდა, შთააგონებდა თანამედროვეებს, რათა უსასტიკესი დანაშაულებები მიეწერათ მისთვის. ოღონდაც ეს ჭორები უფრო აღფრთოვანებას შეიცავდა, ვიდრე საყვედურს. ამბობდნენ, მაგალითად, რომ ჩეზარე ბორჯამ მრავალი კარდინალი დააპატიმრა და საშინელი წამების შედეგად უარი ათქმევინა ქონებაზე. ვენეციელი მემატიანე, **კაპელი** წერს, რომ ჩეზარემ ერთხელ ყველა პატიმარი თავისი სასახლის ბაღში მიიყვანა და ზემო სართულის ფანჯრიდან რიგ-რიგობით განგმირა ისინი ისრებით. ალექსანდრე VI-ის ცერემონიათა განმკარგულებელი მოგვითხრობს, რომ ჩეზარემ მამისა და დის პატივსაცემად გამართულ სადილზე რამდენიმე მეძავიც მიიწვია, გააშიშვლა ისინი და აიძულა, აეკრიფათ იატაკიდან წაბლი, რომელსაც თვითონ ყრიდა სუფრიდან.

ძნელი სათქმელია, აჭარბებენ თუ არა ამ გადმოცემათა ავტორები, მაგრამ თუ ეპოქას და მის ხასიათებს გავითვალისწინებთ, შესაძლოა, მსგავსი მოვლენები პაპის კარზეც მომხდარიყო. თუ ჩეზარე ბორჯა არ იყო ის ანტიქრისტე, რომელსაც მისი თანამედროვე ისტორიკოსები ხატავდნენ, ცხადია, რომ არც წმინდანი ყოფილა. იგივე ითქმის მის მამაზე, ალესანდრე VI-ზე.

უკვე მოხუცი პაპი, რომელმაც წინამორბედთა მიერ დაკარგული ტერიტორიები შემოიერთა, ნეტარად ტკბებოდა პონტიფიკატის უკანასკნელი წლებით. ნამდვილად ჯანზე იყო. იმდენად, რომ მკურნალთა მიერ დავალებული დიეტა უკუაგდო, ლამაზმანებს დასდევდა და მიუხედავად ასაკისა საკმაოდ ხშირად სთხოვდა მათ გარკვეული სახის სამსახურს.

1503 წლის აგვისტოს დასაწყისში, ერთ ჩახუთულ საღამოს ალექსანდრე და ჩეზარე ბორჯები თავის მშვენიერ ვილაზე ვახშმად მიიწვია უმდიდრესმა რომაელმა კარდინალმა **კორნეტომ**. რამდენიმე დღის შემდეგ თითქმის ყველა თანამეინახეს სიცხემ აუწია, თანაც საშინელი ოფლიანობა და ღებინება დაეწყო. რომში ჭორი გავრცელდა, რომ ბორჯებმა მდიდარი კარდინალის მოწამლვა მოინდომეს, საჭმელში დარიშხანი შეურიეს, მაგრამ შეცდომით თვითონვე იგემეს მოწამლული კერძი. ამჯერად ჭორი სიმართლეს არ შეესაბამებოდა: მთელ რომს მალარიის ეპიდემია მოედო და მისი მცხოვრებლები ბუზებივით იხოცებოდნენ. ორივე ბორჯას სწორედ მალარია დაემართა. ერთი კვირის განმავლობაში ალექსანდრე VI სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის იყო. შემდეგ ოდნავ მომჯობინდა და რამდენიმე ოფიციალური შეხვედრაც კი ჩაატარა. მაგრამ 13 აგვისტოს პაპის ჯანმრთელობა კვლავ გაუარესდა და 18 რიცხვში აპოპლექსიამ მას სიცოცხლე მოუსწრაფა.

ალბათ პაპობის ისტორიაში ალექსანდრე ბორჯაზე უარესი სახელი არავის დარჩენია სიკვდილის შემდეგ. რამდენიმე საუკუნე დასჭირდა პაპის ნაწილობრივ რეაბილიტაციას. დასავლეთის ეკლესიის ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი, **პასტორი** წერს: „ალექსანდრე ყველამ ურჩხულად დახატა და ლამის ყველანაირი საშინელი დანაშაული მიაწერა მას. უახლესმა კრიტიკულმა გამოკვლევებმა იგი უფრო მოწყალედ შეაფასა და მის წინააღმდეგ აღძრული ყველაზე სასტიკი ბრალდებების ნაწილი უარყო... კათოლიკეთა თვალსაზრისით მისი მოღვაწეობის ძალიან მკაცრი შეფასება შეუძლებელია". პროტესტანტი მკვლევარი, **როსკო** შემდეგნაირად განიხილავს ალექსანდრე ბორჯას პიროვნებას: „როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი დანაშაულებანი, უეჭველია, რომ მათ შესახებ გადაჭარბებულმა ცნობებმა მოაღწია ჩვენამდე. აშკარაა, რომ პაპმა საკუთარი ოჯახის განდიდებას მიუძღვნა თავი და მთელი თავისი ავტორიტეტი იმას დაახარჯა, რომ პაპის ძალაუფლება იტალიაში მისი ვაჟის ხელით დამკვიდრებულიყო. მაგრამ არ მიმაჩნია სამართლიანად, რომ ალექსანდრეს ხასიათს განსაკუთრებული და არნახული სისაძაგლის დაღი დაამჩნიოს ვინმემ, რადგანაც ევროპის თითქმის ყველა მმართველი იმ პერიოდში საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ასეთივე დანაშაულებრივ ერხებს მიმართავდა".

ასეთივე უნდა იყოს ჩვენი შეფასება: ალექსანდრე თავისი დროის შვილი იყო და ამ დროს ეგუებოდა. იგი იმავე ხერხებს იყენებდა, რასაც მისი მეტოქეები არ თაკილობდნენ: ცბიერებას, ღალატს, სიცრუეს, საწამლავს. მრავალი სისუსტე გამოამჟღავნა, უაღრესად კორუმპირებულიც იყო, ურცხვად და დაუსჯელად მფარველობდა თავის ნათესავებს. აღორძინების ეპოქის სხვა პაპების მსგავსად მასაც საერო ძალაუფლებისა და სახელმწიფო ინტერესების ღრმა და ძლიერი გრძნობა ჰქონდა. სამწუხაროდ ამ პოლიტიკურ ნიჭს მისი რელიგიური რწმენა შეეწირა. მაგრამ ადამიანის შესაძლებლობათა ამგვარი განაწილება სწორედ რომ იმ ისტორიული პერიოდის ატრიბუტი იყო.

ასე თუ ისე, პაპის სიკვდილის ცნობა რომმა დიდი სიხარულით მიიღო. ხალხმა საკმაოდ მალე და ძალიან ადვილად დაივიწყა წინანდელი სიყვარული. ვიღაცამ ისიც კი მოისურვა, პაპის გვამი, ჩვენი ვარლამისა არ იყოს, საფლავიდან ამოეღოთ და ძაღლებისთვის გადაეგდოთ. ერთი ღრმად მორწმუნე დედაკაცი იმასაც ამბობდა, რომ იხილა, როგორ მიათრევდნენ ეშმაკები ალექსანდრეს სულს ჯოჯოხეთში. უფრო პრაგმატულად განწყობილი მათხოვრები გარდაცვლილი პაპის სახელზე ესპანელების სახლებს დაერივნენ და გაძარცვეს.

სნეულებისგან ლოგინს მიჯაჭვული ჩეზარე ვერაფერს შველოდა ვერც მამის ხსოვნას და ვერც სანუკვარ რომს. მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთ იტალიაში თავიანთი სახელმწიფოებიდან ცოტა ხნის წინათ გაქცეული სენიორები საგვარეულო ბუდეებში დაბრუნებულიყვნენ და ახლა პაპის სატახტო ქალაქს ემუქრებოდნენ. კარდინალები კი კონკლავს კრებდნენ და ახალი პაპის ასარჩევად ემზადებოდნენ. ვინ იქნებოდა? ალბათ კარდინალი **დელა როვერე**, რომელიც ბორჯას გვარის დაუძინებელი მტერი იყო.

მაგრამ აქ ჩეზარემ იმარჯვა, ესპანელ კარდინალებს შეეკრა და მათი ხმებით 64 წლის **ფრანჩესკო პიკოლომინი** გაიყვანა, უკანონო შვილებითა და ათასი ინტრიგით დამძიმებული მოხუცი, რომელიც სულ რაღაც ერთ თვეში სამარადისო განსასვენებელს გაემგზავრა. აქ კი დელა როვერეს წინ ველარაფერი დაუდგებოდა. ახალმა პაპმა, რომელმაც **იულიუს II**-ის სახელი მიიღო, ჩეზარე ბორჯას კვლავ ჯარის შეგროვება და ურჩი სენიორების წინააღმდეგ გალაშქრება უბრძანა. ჩეზარე დამორჩილდა, მაგრამ გზაში პაპის ლეგატი დაეწია და ახალი ბრძანება გადასცა. იულიუს II-ის ბრძანებით ჩეზარე ბორჯას რომანიაში განლაგებული თავისი ციხედარბაზები უნდა დაეთმო. ჩეზარემ უარი თქვა. იგი დააპატიმრეს და რომის საპყრობილეში ამყოფეს, სანამ არ დანებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩეზარე ჯერ ნეაპოლში გაიქცა, სადაც პაპის წინააღმდეგ ლაშქრის შეგროვება სცადა, მერე კი იძულებული გახდა, ესპანეთში გადასულიყო. 1506 წელს ესპანეთის მეფემ, ხუანმა თავისი ერთი ამბოხის ჩახშობა უბრძანა. ჩეზარე ურჩი ვასალის ციხედარბაზს ალყით შემოწყო, მაგრამ სასიკვდილოდ დაიჭრა. ამ დროს იგი 31 წლის იყო.

ჩეზარე ბორჯა იტალიელმა პოლიტიკოსმა და მოაზროვნემ, ნიკოლო მაკიაველიმ მმართველის იდეალად დაგვიხატა თავის წიგნში „მთავარი". არავის ასე აშკარად არ გამოუხატავს მმართველის ცნებასთან დაკავშირებული სიქველენი და მანკიერებანი. შესაძლოა, ნიჭიერ სარდალსა და წინდახედულ პოლიტიკოსს, ჩეზარე ბორჯას იტალიის გაერთიანება ედო გულში, მაგრამ ამის უფლებას არც ეკლესია მისცემდა მას და არც ესპანეთი და საფრანგეთი, რომლებიც იტალიაში თავიანთ კოლონიას ხედავდნენ.

12 წლის შემდეგ, 1519 წელს თავის მეშვიდე მშობიარობას გადაჰყვა ლუკრეცია ბორჯა. მას შემდეგ, რაც ეს ქალბატონი ფერარას ჰერცოგის მეუღლე გახდა, მის შესახებ უკვე არც ერთი ჭორი აღარ გავრცელებულა. მას უკვე უწოდებდნენ Pulcherrima virgo — უმშვენიერეს ქალწულს. მთელს თავის დროს ეს საოცარი ქალი უცხო ენების შესწავლასა და კლასიკური თხზულებების კითხვაში ატარებდა. სიცოცხლის ბოლოსკენ ღრმა რელიგიური მოქცევა განიცადა და ფრანცისკელთა საერო ორდენში, ტერციარიუმში ჩაეწერა. ვერავინ დაამტკიცებს, რომ ლუკრეცია ბორჯამ მართლაც ცოდვიანად იცხოვრა, მაგრამ ცხადია, რომ იგი წმინდანივით მიიცვალა.

ასე დასრულდა ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და, როგორც ახლა ამბობენ, „სკანდალური" გვარის ისტორია.

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი


რაფაელი – გვიდობალდო მონტეფელტრო


ლუკა სინიორელი – ავტოპორტრეტი ვიტელოცო ვიტელისთან ერთად

ნომრის პერსონა

# დღემდე “ბატკა“ ჟორბენაძე იყო

მაია ქალაგანიძე

*პარლამენტში შექმნილ ვითარებას ერთნი ქმნიან, მეორენი ჩვეულებრივ წინასაარჩევნო ბატალიებს უწოდებენ... ერთადერთი, ვინც ამით აღშფოთებული და შეურაცხყოფილია - ის მოსახლეობაა, ვინც სომხეთის დენზე არ არის დამოკიდებული, ელექტროენერგია აქვს და სხდომებს უყურებს. როგორც ჩანს, დღევანდელი „პერსონა“ ხალხის სწორედ ამ ნაწილს შეხვდა და მათ პირდაპირ მოახსენეს საკუთარი შთაბეჭდილებები. დავით გამყრელიძემ პარლამენტში მიიტანა ეს ამბავი, მაგრამ გუშინდელ სხდომას შეეტყო, რომ დეპუტატების უმრავლესობას ხალხის ხმის რაოდენობა აღელვებს და არა მისი აზრი. დეპუტატთა წინასაარჩევნო ბატალიები გვიან საღამომდე გაგრძელდა და ლოგიკურად, პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების შესახებ დადგენილების პროექტის წარდგენით დამთავრდა. ბურჯანაძის წინააღმდეგ ხელისუფლება ხმებს ისევე აგროვებდა, როგორც უმწიფარი, თავიდანვე განწირული ბიუჯეტის მიღების დროს. საინტერესოა, რა ნატურით იხდის ფასს ხელისუფლება ერთ ხმაში. ფული ხომ უკვე ბიუჯეტმა შეიწირა...*

**- მაინც, როგორ ჩანს გარედან პარლამენტი, სხდომაზე არ დააკონკრეტეთ...**

- შთაბეჭდილება, მართლაც, მძიმეა. რამდენჯერმე მომიწია, პარლამენტისთვის ჩვეულებრივი მოქალაქის თვალით შემეხედა და გარეშე ადამიანებმაც მითხრეს, რომ ეს არის ცირკი, ზოოპარკი... როდესაც საზოგადოება პარლამენტზე ასე ფიქრობს, ქვეყნისთვის სახიფათოა. პასუხისმგებლობა თითოეულ ჩვენგანს ეკისრება. ეს საყვედური, პირველ რიგში, ჩემს თავს, მერე სხვებსაც ვუთხარი.

**- როცა სხდომაზე ხართ, ასეთი მძიმე შთაბეჭდილება არ გრჩებათ?**

- როცა იქ ვარ, ყველაფერი უფრო მძიმე ხასიათს იღებს. მართალი გითხრათ, ჩემი, გარკვეულად, პასიური პოზიცია ამითაც არის განპირობებული. პარლამენტი პარლამენტს არ ჰგავს, არის უმართავი პროცესები და რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს...

**- ამგვარი ვითარება მხოლოდ არჩევნების ბრალია?**

- რა თქმა უნდა, არა. პარლამენტში პოლიტიკური ძალები ძალზე დივერსიფიცირებულნი არიან. დღეს ბევრი დეპუტატისთვის აუცილებელია, რალაც ფორმით მოიპოვოს ადგილი მომავალ პარლამენტში. ამიტომ ხელისუფლებას და თავის პოლიტიკურ ლიდერებს საკუთარი თავის საჭიროება უნდა დაუმტკიცოს. ხელისუფლება სრულიად უსუსურია იმისთვის, რომ შექმნილ პრობლემებს გაუმკლავდეს. ამიტომ, მთელი აქცენტი ძალისმიერ მეთოდებზე აქვთ გადატანილი. ბიუჯეტიც დაშინებით, მუქარით, მოსყიდვით მიიღეს - ყველა ფორმა გამოიყენეს. ამ ვაჭრობას შეეწირა ბიუჯეტი. ბიუჯეტში, მართლაც, უკიდეურესად მძიმე სიტუაციაა შემოსავლების, ხარჯვითი ნაწილის დაფინანსების თვალსაზრისით. ამაზე ოფიციალურად განაცხადა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, როდესაც დეფოლტზე ისაუბრა. სანამ სავალუტო ფონდი პროგრამას არ აღგვიდგენს, პარიზის კლუბში ვალების რესტრუქტურიზაციის არანაირი შანსი არ გვაქვს...

**- ვისი მისამართით საუბრობდა გიორგი ისაკაძე?**

- ეს, ალბათ, მას უნდა ჰკითხოთ - სახელმწიფო მინისტრის, ფინანსთა მინისტრისა და ეკონომიკური გუნდის მისამართით. მისამართები თავად დაადგინონ. ჩემთვის მისამართი მთავრობაა. პრეზიდენტსაც მივმართე, რომ მან შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი პირები უნდა განსაზღვროს. ვიღაც ერთხელ მაინც უნდა დაისაჯოს და პასუხი აგოს. სხვა შემთხვევაში, პასუხისმგებლობა პრეზიდენტს ეკისრება.

**- თქვენ ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენეთ. რა პერსპექტივა აქვს ამ წინადადებას? როდესაც ავთანდილ ჯორბენაძე ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა, განაცხადა, რომ თუკი 6 თვეში ბიუჯეტი არ შესრულდებოდა და მდგომარეობა არ გამოსწორდებოდა, თავის გუნდთან ერთად გადადგებოდა...**

- მე 4 თვე მახსოვს და არა 6. მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. რატომღაც, ყველა ივიწყებს ამ ვალდებულებას. ოპოზიცია რამდენჯერმე შეეცადა, შეეხსენებინა სახელმწიფო მინისტრისთვის, რომ მან სწორედ ამ პირობით მიიღო მხარდაჭერა ბიუჯეტთან დაკავშირებით. ბიუჯეტში სწორედ ამ პირობით დამტკიცდა გარკვეული ცვლილებები. შარშანდელი ბიუჯეტი 130 მილიონ ლარზე მეტით გაირღვა, მაგრამ ამაზე პასუხისმგებლობა არავის გახსენებია და მათ შორის, თემატურ უმრავლესობასაც. პირიქით, ისინი სწორედ ამ ახალი ბიუჯეტის გარშემო შეიკრენ დიდი ენთუზიაზმით.

ჩვენ, ყველანი, მოსახლეობისთვის მომგებიანი წინადადებების წაყენებით ვართ გატაცებულნი. ხელისუფლება კი საერთოდ არ საუბრობს რეალურ პრობლემებზე. ცდილობს, ეს მიაჩუმათოს, მიჩქმალოს და წარმოადგინოს, რომ ქვეყანაში ყველაფერი ნორმალურად არის. პირდაპირ შემიძლია გითხრათ: ხდება თანხების მობილიზაცია იმისთვის, რომ სექტემბერ-ოქტომბერში გაიცეს პენსიები, ხელფასები, ამ დროს მიაწოდონ ელექტროენერგია, რათა ამან წინასაარჩევნოდ ფოჩიანი კანფეტების როლი შეასრულოს. პრაქტიკულად, დღეს ხელისუფლებას არჩევნების შემდგომ პერიოდზე არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნია. ისინი ფიქრობენ, რომ არავინ იქნება მომკითხავი. არ ადარდებთ, როგორ მდგომარეობაში გადააბარებენ ქვეყანას მომავალ პარლამენტს.

**- გარედან ისე ჩანს, რომ განსაკუთრებით უმართავი სიტუაცია პარლამენტში მას შემდეგ შეიქმნა, რაც გაიჟღერა ინფორმაციამ პარლამენტის თავმჯდომარის გაერთიანებული ოპოზიციის სიის სათავეში შესაძლო გამოჩენის შესახებ. ნინო ბურჯანაძეზე თავდასხმებმა სწორედ ამის შემდეგ მიიღო ინტენსიური ხასიათი. როგორ ფიქრობთ, მართლა ასე ვითარდება მოვლენათა ჯაჭვი?**

- პარლამენტში კრიზისული სიტუაცია ზურაბ ჟვანიას თავმჯდომარეობის დროსაც იყო. მაშინდელი უმრავლესობაც ძალით იღებდა გადაწყვეტილებებს. ოპოზიცია შევეწინააღმდეგეთ (მინისტრთა კაბინეტის შემოღებასთან დაკავშირებული საკითხი). მაშინაც იყო პრობლემა კვორუმთან დაკავშირებით, ოპოზიციური ძალები სხდომებში არ მონაწილეობდნენ და უმრავლესობას, რომელსაც „მოქკავშირი“ და ბატონი ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა, სერიოზული პრობლემები შეექმნა.

დღეს უკვე ახალი თემატური უმრავლესობა ქმნის ამ სირთულეებს. მათ უნდათ, რომ არა ოპოზიციასთან დიალოგით, არამედ ძალადობით, საპროცედურო ტექნოლოგიების გამოყენებით გააუქმონ გადაწყვეტილება 115 ლართან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც „გაერთიანებული დემოკრატები“ მზად არიან დიალოგისთვის. ამიტომ ვიზიარებ „გაერთიანებული დემოკრატების“ პოზიციას ხელისუფლების მიმართ. ისიც დავინახე, რომ ზურაბ ჟვანია და მისი ფრაქცია ჩემს წინადადებას პოზიტიურად გამოეხმაურნენ. როდესაც ხელისუფლება უპასუხისმგებლოდ იქცევა, ოპოზიციამ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე მას პირდაპირ არ ეკისრება, მაინც მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოვიჩინოთ. არჩევნებში არანაირი გამარჯვება არ ღირს, თუ ეს ქვეყანა აღარ იქნება.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს. მას მკაფიოდ არ განუცხადებია, რომ ოპოზიციურ ბლოკს ჩაუდგება სათავეში. როგორც ვიცი, ის მაჟორიტარ დეპუტატობას აპირებს. ამას რომელიმე პარტიის სახელით გააკეთებს თუ დამოუკიდებლად გამოვა, არ უთქვამს. პარლამენტის თავმჯდომარემ დაამტკიცა, რომ ამ რთულ პერიოდში საკანონმდებლო ორგანოს ნამდვილად ჰყავს პრინციპული, ღირსეული თავმჯდომარე. ის არ აღმოჩნდა ხელისუფლების, პრეზიდენტის ბრმა მხარდამჭერი. სახელმწიფო მინისტრს და მის პარტიას ხელს არ აძლევს ასეთი ფიგურა. ამიტომ დიდი ხანია მიდის მუშაობენ, რომ როგორმე გადააყენონ და ჩაანაცვლონ პარლამენტის თავმჯდომარე.

არ დავაკონკრეტებ, მაგრამ არც დავმალავ, რომ ჩვენც გვთავაზობდნენ, ხელი შეგვეწყო პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების პროცესისთვის. ჩვენ ეს თავიდანვე უარვყავით, რადგან მიგვაჩნია, რომ ქალბატონი ნინო ღირსეულად უძღვება თავის საქმეს. თუმცა, შეუძლებელია, ერთმა ადამიანმა მართოს პარლამენტი, თუ პარლამენტში გვყავს აგრესიული უმრავლესობა, რომელიც ცდილობს, მუდმივად მოგდოს შარი და ხელი შეგიშალოს მუშაობაში.



დავით გამყრელიძე

გოგიტა ბახაიძის ფოტო

**არ დავაკონკრეტებ, მაგრამ არც დავმალავ, რომ ჩვენც გვთავაზობდნენ, ხელი შეგვეწყო პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების პროცესისთვის**

**- პრეზიდენტი დაუფარავად ილაშქრებს პარლამენტის წინააღმდეგ და დეპუტატთა არასახელმწიფოებრივ აზროვნებაზე ლაპარაკობს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას საკანონმდებლო ორგანოზე სურს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის გადაბრალება.**

- პრეზიდენტმაც და აღმასრულებელმა ხელისუფლების ყველა წარმომადგენელმა თავი უნდა დაანებონ პარლამენტისკენ ხელის გაშვერას. თუ მათ რაიმე არგუმენტი ჰქონდათ, რომ წლევანდელი ბიუჯეტი მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე ზრდას ვერ აიტანს, ეს უნდა დაესაბუთებინათ. სამწუხაროდ, ამის ნაცვლად, სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრები რაღაც მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, ინფლაციებზე, ალოგიკურ არგუმენტებზე საუბრობენ. ეს არც ოპოზიციისთვის და არც საერთოდ პარლამენტისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მათ იმის ვაჟკაცობაც არ ეყოთ, რომ ეთქვათ: ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია. მოგვეცით საშუალება, ეს წელი გავიტანოთ და ახალმა პარლამენტმა, ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტოს საკითხი.

**- ოპოზიცია ხელისუფლებას მუდმივად ადანაშაულებთ იმაში, რომ მათ მდგომარეობის გამოსწორება არ შეუძლიათ. როგორ გგონიათ, რატომ არ აქვთ მათ ეს სურვილი?**

- სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლება პოლიტიკური თამაშებით არის გართული - არჩევნებით, მკვდარი პოლიტიკური ორგანიზაციის, „მოქკავშირის“ რაიმე ფორმით ხელისუფლებაში დატოვებით... დღეს ეკონომიკური, საფინანსო პრობლემები აბსოლუტურად მეორეხარისხოვანია. ერთადერთი, რაც მათ აწუხებთ, სკამების შენარჩუნებაა...

**- ოპოზიცია უკვე დიდი ხანია საუბრობს წინასაარჩევნო გაერთიანებაზე. დღეს რა სტადიაშია ეს პროცესი და რა ადგილი ექნებათ „ახალ მემარჯვენეებს”?**

- ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ რაიმე ოპოზიციურ ბლოკში ვაპირებთ გაერთიანებას. აქტიურად ვთანამშრომლობთ ყველა ოპოზიციურ ძალასთან და მიგვაჩნია, რომ დიალოგი, რომელიც დემოკრატიულ არჩევნებს და საერთოდ, ყოველდღიურ პრობლემებს უკავშირდება, ძალზე კონსტრუქციულია. მიგვაჩნია, რომ ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ არ უნდა უღალატოს იმ მსოფლმხედველობას, იმ ხაზს, რის გამოც ის შეიქმნა. მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ნებისმიერი გაერთიანება, თუ ის მსოფლმხედველობრივად ერთიან პარტიულ პროგრამაზე აგებული არ არის - დაშლისთვის განწირულია. ნამდვილად არ მინდა, გავერთიანდეთ ბლოკში მხოლოდ იმიტომ, რიომ იოლად მოვიპოვოთ საპარლამენტო სავარძლები. მიმაჩნია, რომ „ახალი მემარჯვენეებისთვის“ მემარჯვენე ცენტრისტული პრინციპების ერთგულება უფრო მნიშვნელოვანია. შეიძლება, ხშირ შემთხვევაში, მემარცხენე პოპულისტური ლოზუნგები უფრო მომგებიანი და ეფექტური იყოს, მაგრამ არასოდეს გვიღალატია და არც ამ არჩევნების წინ ვუღალატებთ ჩვენს პრინციპებს.

თუ ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლების უზურპაცია, დიქტატურის ჩამოყალიბების, ავტორიტარული რეჟიმის დამყარების მცდელობა დაიწყო, თუ ჩვენს მოქალაქეებს საარჩევნო უფლებებს წაართმევენ, მაშინ, არჩევნებს აზრი აღარ ექნება და ეს ყველაფერი მანიფესტაციებში გადაიზარდება. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვიქნებით პარტია, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მშვიდობიან მანიფესტაციებში.

**- წინასაარჩევნო პერიოდს ხელისუფლება, ალბათ, დაძაბავს. რას დაუპირისპირებენ ამას „ახალი მემარჯვენეები“ და იქნებიან თუ არა მარტო ამ ბრძოლაში?**

- ჩვენ ოფისზე თავდასხმისას კარგად გამოჩნდა, რომ უხეში ზეწოლისას ოპოზიცია ერთად დგას. გარკვეული დრო გავიდა და ყველას მადლობა მინდა ვუთხრა მხარდაჭერისთვის. ჩვენც, ვისზეც არ უნდა განხორციელდეს ზეწოლა, ყოველთვის მათ გვერდით დავდგებით და ხელისუფლებას არ მივცემთ საშუალებას, ამ ფორმით მიაღწიოს საწადელს. ჩვენს პარტიას დღეს მთელ საქართველოში საკმაოდ კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა აქვს. შეგვიძლია, ძალზე სერიოზული პრობლემები შევუქმნათ ხელისუფლებას.

**- უპრობლემოდ ცხოვრება ნორმალური საარჩევნო კანონმდებლობის შემთხვევაშია შესაძლებელი. ცნობილ „დრაკონულ“ საარჩევნო კანონზე რას იტყვით, რომელსაც კანცელარიაში წერენ? დადგება პარლამენტში კენჭისყრაზე?**

- ამ კანონის რამდენიმე ვარიანტი უკვე გაჟღერდა. „მოქალაქეთა კავშირი“ და ჯორბენაძე ოფიციალურად უარყოფენ ამ კანონის არსებობას, სინამდვილეში, ვიტალი ხაზარაძემ, რომელიც პარლამენტში დღემდე წარმოადგენს ამ ფრაქციას, შემოიტანა კანონპროექტი, რის მიხედვითაც საპარლამენტო არჩევნების შედეგებს „მოქკავშირი“, „მრეწველები“ და „აღორძინება“ განსაზღვრავდნენ. ეს მიუღებელია. არ შეიძლება, არჩევნების ბედი იმ რამდენიმე პოლიტიკურმა ძალამ განსაზღვროს, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს არ გამოხატავენ. დღეს თბილისში „მოქკავშირს“ 2-3 პროცენტიან მხარდაჭერაზეც უჭირს საუბარი. არსად, საქართველოს არც ერთ კუთხეში არ აქვთ მხარდაჭერა, ისევე, როგორც „მრეწველებსა“ და „აღორძინებას.“ ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნების შედეგები კანცელარიაში დაიწერება.

**- რამდენად სავარაუდოა არჩევნების გადადების ან ჩაშლის მცდელობა?**

- ხელისუფლებას, მართლაც, ძალიან უნდა არჩევნების ან გადადება, ან გაყალბება. საფიქრებელია ისიც, რომ სომხეთში დარღვევებით ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ჩვენი ხელისუფლებისთვის მასტიმულირებლად არ იქცეს. საერთაშორისო თანამეგობრობაში, რატომღაც, სომხეთის არჩევნებს სერიოზული რეაგირება არ მოჰყვა. ამიტომ, ვშიშობ, რომ ჩვენს ხელისუფლებას იგივე ილუზია არ გაუჩნდეს და სხვადასხვა მიზეზებით, არჩევნები ან არ ჩაშალოს, ან არ გადადოს.

მინდა დავარწმუნო ხელისუფლება, რომ ეს ილუზიაა. საქართველოში დემოკრატია ბევრად უფრო მყარად დგას ფეხზე, ვიდრე ნებისმიერ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში (არ ვგულისხმობ ბალტიისპირეთს). ხალხი, თავისუფალი მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები - ხელისუფლებას არ დაანებებენ ჩვენი ყველაზე მთავარი უფლების - არჩევის უფლების წართმევას.

**- უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე რამდენიმე ხელისუფლება გამოვიცვალეთ. შეიძლება, შორს არ არის ახალი ცვლილების დროც და ამ პროცესში „ახლებიც“ მონაწილეობას იღებენ. ხელისუფლებისთვის ბრძოლის პერიოდში, პოლიტიკური ძალები მუდმივად საუბრობენ პასუხისმგებლობაზე. როგორც ხელისუფლებაში მოვლენ, პასუხისმგებლობა აღარავის ახსოვს, მხოლოდ ძალაუფლებით ტკბებიან. რატომ?**

- ეს იმიტომ ხდება, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ვერ ჩამოვაყალიბეთ. ინსტიტუციონალურად ვერ ავსახეთ დემოკრატია, რომლის მთავარი მატარებელიც ხალხის, ამომრჩევლის წინაშე პასუხისმგებლობაა. დღეს ხელუფლებაში არ არიან პოლიტიკური ძალები, რომელთაც გააზრებული აქვთ ის, რომ ხალხის სამსახურში უნდა იყვნენ და არა პირიქით. გამგებლის არჩევითობის შემთხვევაში, მისი პასუხისმგებლობა და დამოკიდებულება ბევრად უფრო სხვაგვარი იქნებოდა, რადგან მას გაუჩნდებოდა შეგრძნება, რომ ხელისუფლება და ძალაუფლება მან ხალხისგან მიიღო. დღეს ეს შეგრძნება არავის აქვს, რადგანაც ხელისუფლება პრეზიდენტმა და არა ხალხმა უბოძა. ეს ხელისუფლება არჩევნების გაყალბებით მოვიდა. ამიტომაც, მთავრობის წევრთა აზროვნება არ აცნობიერებს იმას, რომ პასუხი უნდა აგოს, რომ უნდა იმუშაოს და ანგარიში ჩააბაროს ამომრჩეველს. ხელისუფლების მცირე რაოდენობას (საკრებულოს და ა.შ.) აქვს ხალხის მანდატი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ აქვს ძალაუფლება.

**- თქვენი თაობის პოლიტიკოსები შეცვლიან ამ დამოკიდებულებას?**

- შემიძლია საკუთარ თავზე და პოლიტიკურ ძალაზე მოგახსენოთ. შეიძლება ხმამაღლა ნათქვამადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შევცვალოთ.

**- „ახლებთან” ინტერვიუში რომ კრიმინოგენულ ვითარებას არ შევეხოთ, უსამართლობა იქნებოდა. როგორც ვატყობ, წინასაარჩევნოდ, ოფისის მისადგომებს ამაგრებთ. რა სტადიაშია თქვენს ოფისში შემოჭრის გამოძიება? აქვთ თუ არა „ახლებს“ გეგმაში მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან ერთად ძალოვანთა პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი?**

- თვეზე მეტია გასული და ჯერჯერობით, გამოძიებაში რაიმე წინსვლა არ ჩანს. სასამართლო პროცესი არ შემდგარა. პირი, რომელიც დააკავეს, გათავისუფლებულია.

კრიმინოგენულ სიტუაციასთან დაკავშირებით არაერთხელ გავაკეთეთ განცხადება. შინაგან საქმეთა მინისტრი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, პირადად არის პასუხისმგებელი ქვეყნის კრიმინოგენულ ვითარებაზე. არასოდეს გვისაყვედურია მისთვის საზღვარზე შექმნილი ვითარების, ან რუსეთის მხრიდან განხორციელებული თავდასხმების გამო. ჩვენ მისამართი ნამდვილად არ გვეშლება. შს მინისტრს მკვლელობებზე, ადამიანის გატაცებებზე, ყაჩაღობებზე ვუყენებთ პრეტენზიებს და არათუ ვუყენებთ, არამედ, სწორედ ჩვენი ინიციატივა იყო, პარლამენტს მიეღო დადგენილება შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის პრეზიდენტთან დაყენების თაობაზე. სამწუხაროდ, თემატურ უმრავლესობაში არ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ქვეყანაში კრინმინოგენული სიტუაცია დაძაბულია.

**- ამ „პასუხისმგებლობის საკითხმა“, ერთგვარად, კომიკური ხასიათი მიიღო. ყველა გაიძახის, პასუხს კი არავინ აგებს... იქნებ ტერმინი შეგვეცვალა ან მისი შინაარსი?**

- გეთანხმებით, მართლაც, კომიკური ხასიათი მიიღო. პასუხისმგებლობა ყველაზე კარგად ხალხის არჩევანით განისაზღვრება. განისაზღვრება მაშინ, როდესაც ხალხი ხმას არ მისცემს იმ ძალას, რომელსაც დღეს ხელისუფლება წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, დღეს რომ არჩევნები ჩატარდეს, არც პრეზიდენტს, არც ერთ მინისტრს მხარდაჭერის შანსი არ აქვს. სამწუხაროდ, პასუხისმგებლობაზე საუბრის გარდა, ოპოზიციას არანაირი მექანიზმი არ გააჩნია. ჩვენი იარაღი მიკროფონი და მედიაა...

**- დავუბრუნდეთ პარლამენტს. რას დაარქმევდით იქ შექმნილ ვითარებას?**

- ანარქიას. უფრო უხეში გამოთქმისგან თავს შევიკავებ.

**- ...და, ვინ არის „ბატკა“?**

- დღემდე ჯორბენაძე იყო. ის აქტიურად ერეოდა და მართავდა საპარლამენტო პროცესებს. კონკრეტულ დავალებებს ის იძლევა... ამის გამო, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან საპარლამენტო ხელისუფლების სრული იგნორირება მივიღეთ. ეს სახიფათო ტენდენციაა.

## „ორბმა" ამერიკას გადაუფრინა



"ორბის" პლაკატი გვატემალაში

ნანა ბასილაშვილი

კულტურის ცენტრ "იმედთან" არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "ორბი" გასტროლებიდან დაბრუნდა. გვატემალაში, ქალაქ ანტიგუაში გამართულ VII საერთაშორისო ფესტივალზე, პატარა ქართველები უცხოელი მაყურებლის წინაშე ხუთი სოლო კონცერტით წარდგნენ.

"ვირტუოზი ბავშვები კავკასიიდან" – ასე დაარქვეს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლს შორეულ ამერიკაში. გვატემალას ფესტივალში მსოფლიოს 18 ქვეყნის სხვადასხვა ცნობილი ანსამბლები მონაწილეობდნენ ვენესუელადან, ტაივანიდან, არგენტინიდან, ბრაზილიიდან, რუსეთიდან და ა.შ. ინტერნაციონალურ ფესტივალზე ათი დღის განმავლობაში, ძირითადად, გალა კონცერტები იმართებოდა. სოლო კონცერტები მხოლოდ ორმა ქვეყანამ გამართა: მოსკოვის დიდმა თეატრმა ბალეტი "დონ კიხოტი" წარმოადგინა, ხოლო საქართველოს ნაციონალურმა ბალეტმა ორსაათიანი ჩვენება.

ტურნეს ორგანიზატორია ამერიკელ იმპრესარიოებთან ანა და პერსი ლიონისებთან დაახლოებული პირი, ემზარ გაბელია. გვატემალაში გამართული კონცერტის ორგანიზატორთან, ერიკ ზედანთან "ორბი" უკვე ორი წელიწადია თანამშრომლობს. შარშან მისი მიწვევით ანსამბლი სალვადორში იმყოფებოდა.

გვატემალაში 8-12 წლის პატარა ქართველი მოცეკვავეები ორ განყოფილებიანი კონცერტით, ანუ 18 ცეკვითა და ერთი მუსიკალური ნომრით წარდგნენ. "ორბის" მორიგმა გასტროლმა (2002 წელს ანსამბლი 40 დღიან ლათინო-ამერიკულ ტურნეში იმყოფებოდა), ამჯერადაც დიდი წარმატებებით ჩაიარა. ამის დასტურად, ალბათ, ისიც კმარა, რომ ინტერნაციონალურ ფესტივალზე, რომელიც 2005 წელს მერვედ გაიმართება, "ორბი" კიდევ ერთხელ მიიწვიეს.

"მაყურებელი აღფრთოვანებული იყო, ჩვენი კონცერტები სრული ანშლაგით მიდიოდა – ბავშვებს "პატარა ვირტუოზები" დაარქვეს. ჩვენებებს სხვადასხვა ქვეყნის იმპრესარიოები ესწრებოდნენ და ყველა, თითქმის, ერთსა და იმავე შეფასებას გვაძლევდა, რომ ანსამბლი საკმაოდ მობილური და კარგად ორგანიზებულია", - წარმატებული გასტროლის შესახებ კმაყოფილი საუბრობდა "ორბის" ხელმძღვანელი, გია დავითაშვილი.

სამომავლოდ ანსამბლი კვლავ დიდ გასტროლებს გეგმავს. ივნისსა და ივლისში "ორბი" არგენტინას, ჩილეს, პერუს, სალვადორსა და მექსიკას "დაიპყრობს". ეს იმ ქვეყნების არასრული სიაა, სადაც ანსამბლი 15 კონცერტს გამართავს, ამას გარდა – მაისში 20 დღით საბერძნეთში გაემგზავრება.

გასტროლებამდე "ორბი" საკუთარ მიმზიდველ შოუ პროგრამას, რომლითაც უცხოეთში გაითქვა სახელი, მშობლიურ ქალაქში წარმოადგენს.

## გასაშიფრი „შავი ყუთი"

ნათია ვადაჭკორია

დღეს „N გალერეაში" იხსნება თანამედროვე ბრიტანული ვიდეოხელოვნების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება თორმეტი მხატვრის 17 ნამუშევარი. ბრიტანეთის საბჭოს ეგიდით ჩატარებულ ამ ღონისძიებას წინ უძღვოდა გუშინ ქარვასლაში ჩატარებული, გამოფენის ერთ-ერთი მონაწილის კარლ ფონ ვაილერის ლექცია ვიდეოარტში, რომელმაც დეტალურად და უფრო გასაგებად აღწერა სხვადასხვა მხატვრების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრების კონცეფცია, კერძოდ, თანამედროვე პერფორმანსი თავისი წახნაგებით და ფსიქოლოგიური შტრიხებით.

„შავი ყუთი" (ასე ეწოდება გამოფენას), რომელიც სხვადასხვა კატასტროფების დროს მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს და დეტალურად აღწერს მომხდარის მიზეზებს. ჩვენს გაზეთში ხვალე გაიშიფრება და ვნახავთ კატასტროფას მოუტანს იგი ქართველ თანამედროვე ვიდეოარტის მოყვარულებს თუ პირიქით, ახალი ემოციებით აღავსებს და სიამოვნებას მოუტანს.

### კალენდარი

## 14 მარტი



ნიუ იორკელ ბილი კრისტალს სურდა, პროფესიონალი ბეისბოლისტი გამხდარიყო. დასავლეთ ვირჯინიის შტატში, მარშალის უნივერსიტეტში სწავლის სტიპენდიაც მან საყვარელი სპორტის წყალობით მოიპოვა. კრისტალი სწავლობდა, ერთობოდა და პარალელურად რადიო-შოუს უძღვებოდა. სწორედ მაშინ აღმოაჩინა დიდი იუმორის ნიჭი რომ ჰქონდა და მახვილგონიერებითაც რომ გამოირჩეოდა. მალე კრისტალი ნასაუს კოლეჯში გადავიდა და იქ უკვე თეატრი აღმოაჩინა. შემდეგ მოვლენების განვითარებას ხელი ოჯახურმა წრემაც შეუწყო: მამამისი ცნობილი ჯაზ-შემსრულებლების პრომოუტერი გახლდათ და ბილის ბავშვობიდან სცენის ვარსკვლავებთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ერთ ხანს მას ძიძობას ბილი ჰოლიდეიც კი უწევდა. საკუთარი ნიჭითა და საჭირო ნაცნობობით იმედმიცემულმა კრისტალმა ასე შეაბიჯა ხელოვნების სამყაროში.

თავიდან მეუღლესთან, კოლეჯში გაცნობილ ჯენისთან ერთად კომედიურ შოუს აკეთებდა და ნიუ იორკში წარმოდგენებს აწყობდა, შემდეგ შოულოს ანჯელესში წაიღო, სადაც ის პროდიუსერმა ნორმან ლირმა შენიშნა და სატელევიზიო კომედიურ სერიალში Soap პირველი ცისფერი გმირის როლი მისცა. მალევე კრისტალი ცნობილ ამერიკულ ტელე-შოუში Saturday Night Live-შიც მოხვდა, სადაც სემი დევის უმცროსსა და ფერნანდო ლამასს ისე მიბაძა, რომ მეორე დილას კრისტალზე უკვე მთელი შოუბიზნესი ლაპარაკობდა. ის ამ გამოსვლისთვის პრესტიჟული სატელევიზიო პრემიით "ემითაც" დააჯილდოეს. ტელევიზიაში მიღწეულ წარმატებას მალე კინო-როლებიც მოჰყვა. კრისტალის სასაცილო პერსონაჟები მაყურებელს, მართლაც, გულიანად აცინებდა. თუმცა, ნამდვილი ჰოლივუდური დიდება კრისტალთან 1989 წლამდე არ მისულა. ამ წელს კი გამოვიდა ფილმი "როცა ჰარი შეხვდა სალის", რომელშიც კრისტალს პარტნიორობას მეგ რაიანი უწევს, და ყოფილი ბეისბოლისტიც უცებ გახდა ვარსკვლავი. შემდეგ მას უკვე რეგულარულად პატიჟებდნენ კინო-აკადემიის წამყვანის რანგში. თუმცა, კრისტალი მხოლოდ "ოსკარის" ცერემონიალით არასდროს კმაყოფილდებოდა და ახალ-ახალ კომიკურ სახეებს ქმნიდა. ბოლოს მან მაყურებელი ფილმში America`s Sweethearts აცინა. მას პარტნიორობას ჯონ კიუსაკი, კეტრინ ზეტა ჯონსი და ჯულია რობერტსი უწევენ.

**ბილი კრისტალი**, ცნობილი ამერიკელი კომიკოსი მსახიობი 1947 წლის 14 მარტს დაიბადა.

## სალომე გასვიანს, ბრიტნი სპირსსა და გლორია ესტეფანს საერთო კომპოზიტორი ჰყავთ

### „სალომეს შესრულების მანერა ერთგვარი გამოწვევაა"

ნანა ბასილაშვილი

გუშინ "24 საათის" რედაქცია თავის ყველაზე მცირეწლოვან სტუმარს მასპინძლობდა - ქართული პოპ-მუსიკის წარმომადგენელს, 12 წლის სალომე გასვიანს, რომელმაც ამერიკაში სამთვიანი მოგზაურობის შესახებ ხალხმრავალი და ხანგრძლივი პრეს-კონფერენცია გამართა.

"სალომეს გასაოცარი ნიჭი აქვს - მხოლოდ მომღერლის კი არა, მსახიობურიც; ძალიან მომხიბვლელია. ვფიქრობ, მას შეერთებულ შტატებში პერსპექტიული მომავალი ელის";.. "სალომეს ხმა რომ მოვისმინე, გაოცებული დავრჩი; პლასტიკური და ძალიან ლირიული შესრულების მანერა აქვს, ეს თანამდროვე პოპ-მუსიკისთვის ერთგვარი გამოწვევასავითაა - სელინ დიონს შევადარებდი";.. "სალომე საქართველოდანაა, მას საოცარი, ბუნებრივი ნიჭი აქვს. შევეცადე, მისი მონაცემები თანამედროვე ამერიკული კულტურის ჭრილში დამენახა და ამერიკული პოპის ელემენტები შემეტანა";.. "სალომე ორიგინალური ვოკალისტია, თავისი ინდივიდუალობით გამოირჩევა, განსხვავებულია და განუმეორებელი";.. "მას საოცრად ღრმა და დიდი დიაპაზონის ხმა აქვს, დარწმუნებული ვარ, სალომეს დიდი მომავალი აქვს";.. "ძალიან ლამაზი, პროპორციული და მომხიბვლელია. მე მას ჯულია რობერტს ვამსგავსებ" - ასე აფასებენ პატარა სალომეს ამერიკელი პროდიუსერები - კრისტინა ლამბერტი, ნიკ მენდოზა, რეჟისორი შონ მაკნამარა; კომპოზიტორები - ჯონ კოდა, ჯონ დეფარიო და სხვები. საპროდიუსერო კომპანიაში - "ბრუკველ მაკნამარა ენტერტეიმენტიდან," სალომე სამი თვის მანძილზე მუშაობდა.



სალომე გასვიანი "24 საათის" რედაქციაში

პატარა მომღერალი სამშობლოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა ცხრა ინგლისურენოვანი სიმღერითა და ორი ვიდეო-კლიპით. ჩამოტანილ კლიპებს ქართული საზოგადოება ჯერჯერობით ვერ იხილავს, რადგანაც გასვიანის DVD-ში კიდევ ორი ვიდეო რგოლი უნდა ჩაიწეროს ინგლისურენოვან სიმღერებზე, რომლებსაც ამჯერად ქართველი რეჟისორი, ზაზა ორაშვილი გადაიღებს.

ქართველი მომღერლის აუდიო და ვიდეო მასალა ამერიკულ კომპანია "ბრუკველ მაკნამარა ენტერტეიმენტ-ში" ქართული მხარის ექსკლუზიურმა პროდიუსერმა, შოთა სიგუამ და ამერიკაში მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა, პაატა პაპუაშვილმა წარადგინეს. სწორედ მათი მიწვევით გაემგზავრა გასული წლის 25 ნოემბერს სალომე ამ კომპანიაში სამუშაოდ და სასწავლებლად. ხსენებულ კომპანიაში ამერიკის ცნობილი ტელეარხებისათვის (Discovery, Disney Chanel, ABC) საბავშვო სერიალები და სატელევიზიო შოუ-ჩვენებები მზადდება. ამ კომპანიის ერთ-ერთი რეჟისორის დაკვეთით, სალომეს სიმღერაზე ვიდეო-კლიპიც გადაიღეს. მას სიმღერებს ამერიკელი კომპოზიტორები - ჯონ კოდა და ჯონ დეფარიო უწერენ (ჯონ დეფარიოს სიმღერებს ბრიტნი სპირსი, გლორია ესტეფანი და სხვა ცნობილი მომღერლები ასრულებენ).

სალომე სამშობლოში მხოლოდ ორი თვით დაბრუნდა. ზაფხულში იგი, სამუშაო ვიზით, კვლავ ამერიკაში გაემგზავრება. ერთ-ერთი ამერიკული პროექტის მიხედვით, შესაძლოა, ზემოთ აღნიშნულ კომპანიაში გადაიღონ ფილმი, რომელშიც მთავარ როლს მსახიობი ბრიუს ვილისი შეასრულებს. ამ ფილმის საუნდთრეკში სალომე გასვიანი მიიღებს მონაწილეობას. აშშ-ში ქართველი მომღერლის "პი-არზე" ზრუნავს პროდიუსერი და პრომოუტერი, კრისტინა ლამბერტი.

სალომე გასვიანს თბილისშიც სურს კონცერტის გამართვა. თუკი ამ იდეით ადგილობრივი პროდიუსერებიც დაინტერესდებიან, სალომე საქველმოქმედო კონცერტს მოაწყობს; შემოსულ თანხას კი უსახლკარო ბავშვებსა და სტუდია "ბერიკებისა" და №1 ექსპერიმენტული სკოლის (სადაც სალომე სწავლობს) ეზოში მშენებარე პატარა ეკლესიას გადაურიცხავს.

## ცვალებადი მუზები და უცვლელი განწყობა

### ხვალ "პარნასში" გაგა ნახუცრიშვილის ახალი კრებული გაიყიდება

თამარ სუხიშვილი

ყველა ლექსი რომ წავიკითხო, მერე წიგნს ვიღა იყიდისო, - იხუმრა შუა ლექსების კითხვისას გაგა ნახუცრიშვილმა, რომელიც კლუბ "სარდაფში" გამართულ გუშინდელ ლიტერატურულ საღამოს მასპინძლობდა. თუმცა, ნოველების კითხვას (გაგას ნოველების კითხვაც სთხოვეს) ისევ ლექსების წაკითხვა ამჯობინა: მე რომ ახლა ნოველების კითხვა დავიწყო, ნახევარი დარბაზი გაიქცევაო.

გაგა ნახუცრიშვილის ახალი კრებული გამომცემლობა "საარმა" დასტამბა ("საარის" გამოცემულია მისი პირველი ორი კრებულიც). თუმცა, სარდაფის სტუმრებმა წიგნის შეძენა ვერ მოახერხეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კრებული კლუბში არ გაყიდულა. გაგა ნახუცრიშვილის მკითხველებს გული მაინც არ დაწყვეტიათ, ისინი კითხვებს კითხვებზე აყრიდნენ პოეტს და ისიც ნახევრად სერიოზულად და ნახევრად ხუმრობით ძალიან მოკლედ პასუხობდა. სარდაფში მისულთა ცნობისმოყვარეობა არ ცხრებოდა: ვინ არის გაგა ნახუცრიშვილისთვის მწერლობის ეტალონი ("ძნელი სათქმელია – ჰომეროსიდან დაწყებული გალაკტიონით დამთავრებული"), ვინ არის ნახცოს (ასე ეძახიან მას მეგობრები) პოეზიის მუზა ("მუზები იცვლებიან"), ვის შეიძლება ვუწოდოთ "პოეტები საქართველოსი" ("ვინც არიან, იმათ ვუწოდოთ"), რას გვეტყვით თქვენი და გიგა მიქაბერიძის თანამშრომლობის შესახებ ("არანაირი თანამშრომლობა ეს არ ყოფილა, გიგამ, უბრალოდ, ჩემს ლექსზე სიმღერა დაწერა") და ა.შ. გიგა მიქაბერიძის ხსენებაზე დარბაზს, რაღა თქმა უნდა, პოპულარული "ქალების" წაკითხვა მოესურვა და პოეტსაც, რა თქმა უნდა, მსმენელისთვის ხათრი აღარ გაუტეხია. "ქალებს" მოჰყვა "დამიჯერეთ, Miss", იმას კიდევ სხვა და საღამო ასე გაგრძელდა...



გაგა ნახუცრიშვილი ახალი კრებულიდან კითხულობს ლექსებს

გაგა ნახუცრიშვილის პირველი ლექსები 1994 წელს დაიბეჭდა ჟურნალ "XX საუკუნეში". ორი წლის შემდეგ მისი პირველი კრებულიც - "უაზრო მგზავრი" გამოვიდა. 2000 წელს ქართველმა მკითხველმა საჩუქრად მიიღო ახალგაზრდა პოეტის ლექსებისა და ჩანახატების კრებული "სიმარტივე". გაგა ნახუცრიშვილის სამი ლექსი სლოვენიურ ენაზეა ნათარგმნი და გამოქვეყნებული კრებულში Dnevi Poezije in Vina, ინგლისურად თარგმნილი რამდენიმე ლექსი კი ჟურნალ New Century-შია შესული.

ახალი კრებულის სახელწოდებაა "გამგზავრება და მოლოდინი". მასში შესულია როგორც ძველი, ისე ახალი ლექსები, აქ ისინი ქრონოლოგიურადაა დალაგებული: 1990-1996, 1996-2000 და 2000-2002. კრებული გაგას ცნობილი ლექსით იხსნება, "ლორდო, მოდით" რომ ჰქვია. წიგნის მხატვრული გაფორმება ახლახანს ტრაგიკულად დაღუპულ მხატვარს, თეონა მამფორიას ეკუთვნის. ამ კრებულის პრეზენტაცია, ჯერ კიდევ 2002 წლისთვის იყო ჩაფიქრებული, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მხოლოდ ახლა შედგა.

გაგა ნახუცრიშვილის ძველ ლექსებს მისი მეგობრები ბლუზის მოტივზე აწყობილ ლექსებს უწოდებენ, და იმასაც აღნიშნავენ, რომ მის ახალ ლექსებში ახალი მოტივები გამოიკვეთა, განსხვავებულია მხატვრული გამოსახვის ფორმაც. რა მოტივზეა აწყობილი მისი ახალი ნაწერები, ამას მკითხველი კრებულის გაცნობის შემდეგ გაიგებს, თუმცა, გაგა ნახუცრიშვილი დღესაც ისევე ფიქრობს, როგორც უწინ, რომ "ცხოვრება მართლა შეიძლება უფრო ლამაზად"...

გაგა ნახუცრიშვილის პოეზიის მოყვარულებს ახალგაზრდა პოეტთან შეხვედრა ამ დღეებში კიდევ მოუწევთ – კრებული შაბათს წიგნის მაღაზია "პარნასში" 3-დან 7 საათამდე გაიყიდება. ამჯერად მკითხველი გაგა ნახუცრიშვილის ავტოგრაფით დამშვენებულ წიგნსაც მიიღებს.

## „ბალდინის კოლექცია"

### რუსეთმა გერმანიას გრაფიკული ნამუშევრები დაუბრუნა

ანა კორძაია-სამადაშვილი

რუსეთი გერმანიას მეორე მსოფლიო ომის დროს ქვეყნიდან ნადავლის სახით გატანილ გრაფიკულ ნამუშევრებს უბრუნებს. ეს კოლექცია ბრემენის ხელოვნების მუზეუმს გადაეცემა.

ომის დროს გატანილი ფასეულობების დაბრუნების პრაქტიკა რუსეთს უკვე აქვს: 2000 წელს მან ბრემენის ხელოვნების მუზეუმს 101 ნახატი გადასცა, 2002 წელს კი ოდერის ფრანკფურტის წმინდა მარიამის ეკლესიას შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუში – წმ. მარიამის ეკლესიის ვიტრაჟები დაუბრუნდა.

მაგრამ დღემდე "ნადავლი ხელოვნების" დაბრუნების ასეთი ფართომასშტაბიანი აქცია არავის ახსოვს: ბრემენში 362 ხელოვნების ნიმუში დაიდებს ბინას, მათ შორის რემბრანდტის, დიურერისა და ტიციანის შედევრები.

გაზეთ Frankfurter Allgemeine Zeitung-ის ინფორმაციით, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, კრისტა ვაისმა განაცხადა, რომ ამ აქციასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება არსებობს, მოსკოვიდან ოფიციალური, წერილობითი დასტური ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ ბრემენის მუზეუმში კოლექციის "ჩამობრძანების" დღე უკვე დადგენილია - 29 მაისი.

1945 წელს, როდესაც მოკავშირეთა ჯარებმა გერმანიას შეუტიეს, ბრემენის ხელოვნების მუზეუმმა თავისი ერთ-ერთი უძვირფასესი კოლექცია ბრანდენბურგის მიწაზე, ერთ სასახლეში გადაიტანა და იქ, სარდაფში გადამალა. ბრანდენბურგში შესულმა საბჭოთა ჯარისკაცებმა ნახატები იპოვნეს.

არავინ იცის, როგორ გადაწყდებოდა მათი ბედი, რომ არა ოფიცერი, ვიქტორ ბალდინი. ის განათლებით ხელოვნებათმცოდნე იყო, და როცა თავის თანამებრძოლთა ხელში ეს გრაფიკული ნამუშევრები დაინახა, უმალვე მიხვდა, რასთან ჰქონდა საქმე. რემბრანდტის, ტიციანის, რუბენსის, გოიას, ვან გოგისა და მანეს ნახატები მან ჩემოდანში ჩააწყო, რომ არ გაფუჭებულიყო და თავის სამშობლოში წაიღო.

შინ დაბრუნებისას, გზადაგზა ბალდინმა კოლექციის გამდიდრება შეძლო: ჯარისკაცებს ნახატებს ათასგვარ რამეში უცვლიდა. ასე, მაგალითად, ალბრეხტ დიურერის "ქრისტეს თავისთვის" ოფიცერმა ახალი ჩექმები "დათმო". მართალია, ჯარისკაცებს, ძირითადად, შიშველი ქალების სურათები მოსწონდათ, ასეთი ნამუშევრები ბალდინს უფრო ძვირი უჯდებოდა... ასე მოხდა, რომ "ბალდინის კოლექცია" 362 ხელოვნების ნიმუშამდე გაიზარდა.

გრაფიკულმა ნამუშევრებმა "ბალდინის კოლექციიდან" რუსეთში 58 წელი გაატარა: 1947 წელს ბალდინმა ნახატები მოსკოვში არქიტექტურის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა, რომლის დირექტორიც თვითონ 25 წლის განმავლობაში იყო. 1991 წელს კოლექცია ერმიტაჟში გადაიტანეს.

ვიქტორ ბალდინი, ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ცდილობდა ნახატების გერმანიაში დაბრუნებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა – იმ წლებში "ნადავლი ხელოვნება" ტაბუდადებული თემა იყო.

ბრემენის ხელოვნების მუზეუმის გრაფიკული ნამუშევრების კოლექცია ერმიტაჟში პირველად 1995 წელს გამოფინეს. ეს მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა იყო. მართალია, თავიდან იგეგმებოდა, რომ გამოფენას ჯერ გერმანიაში მოაწყობდნენ, მერე – რუსეთში. მაგრამ რუსეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, "ხელოვნების გადაადგილებული ნიმუშების" ქვეყნის ფარგლებიდან დროებით გატანაც კი აკრძალული იყო.

თავად ბალდინი კოლექციის გერმანიაში დაბრუნებას ვერ მოესწრო – ის 1997 წელს გარდაიცვალა.

უცნაურია: მკვლელები, ტირანები და სასტიკი დამპყრობლები კაცობრიობას არასოდეს ავიწყდება. მათი სახელები კი, ვინც კაცობრიობის სასიკეთოდ ჩაიდინეს რამე, მხოლოდ ერთეულებს ახსოვთ...

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## დავით ყიფიანის თასი: სამი ნახევარფინალისტი გაირკვა?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა ფედერაციის ოფისში ჩაატარა დავით ყიფიანის თასის (საქართველოს თასი) მეოთხედფინალის კენჭისყრა, რომლის შედეგადაც გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**ლოკომოტივი - მილანი**
**ტორპედო - დილა**
**დინამო - ვიტ ჯორჯია**
**სიონი - სპარტაკი**

პირველი მატჩები წყვილებში პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე 18 მარტს გაიმართება, ხოლო განმეორებითი შეხვედრების ჩატარების თარიღი 10 აპრილია. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ოთხი მეოთხედფინალური წყვილიდან ბრძოლა მხოლოდ ერთ - თბილისის "დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიას" მატჩშია მოსალოდნელი. დანარჩენ სამ წყვილს გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს და, წესით, "ლოკომოტივს", "ტორპედოსა" და "სიონს" ნახევარფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

## იეროს კიდევ უნდა ფეხბურთის თამაში

მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის "რეალის" კაპიტანი ფერნანდო იერო უკვე ახალგაზრდა აღარ არის, "სამეფო კლუბი" მაინც ვერ ელევა თავის გამოცდილ მცველს. ახლა იერო ტრავმირებულია და "რეალი" მის გარეშე თამაშობს, თანაც, საკმაოდ კარგად, მაგრამ ფლორენტინო პერესიც და ხორხე ვალდანოც დარწმუნებული არიან, რომ იერო "რეალისთვის" მეტად საჭირო ფეხბურთელია და მოუთმენლად ელიან მის მწყობრში ჩადგომას.

იერო იმდენად ძვირფასია "რეალისთვის", რომ "სამეფო კლუბმა" თავის ერთგულ ვეტერან ფეხბურთელს კიდევ ორი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი, რამაც "მერენგესთა" კაპიტანი ძალზე კმაყოფილი დატოვა. იეროს გარდა, ფლორენტინო პერესმა მიჩელ სალგადოც გამოარჩია და მასაც შესთავაზა კონტრაქტის გახანგრძლივება, რაზეც ფეხბურთელს, ბუნებრივია, უარი არ უთქვამს.

## ლანდროს მარსელში იწვევენ

მარსელის "ოლიმპიკი" და 2001 წლის მოულოდნელი ჩემპიონი "ნანტი" ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანენ. ამ ორი კლუბის ხელმძღვანელები, შეძლებისდაგვარად, ცდილობენ, არ ჰქონდეთ ურთიერთობა, მაგრამ ახლა მოვლენები ისე ვითარდება, რომ სალაპარაკოდ ერთ მაგიდასთან მოუწევთ დაჯდომა.

საქმე ის არის, რომ მარსელელებს ძალიან მოსწონთ "ნანტის" ახალგაზრდა მეკარე მიქაელ ლანდრო და მის შეძენას აპირებენ. "ოლიმპიკის" თავკაცს, ალენ პერენს, სურს, სეზონის ბოლოს ლანდრო თავის გუნდში იხილოს. არც თავად მეკარეა ამის წინააღმდეგი.

ყველაფერი კი მაშინ გადაწყდება, როცა "ოლიმპიკისა" და "ნანტის" ბოსები ერთმანეთთან სალაპარაკო ენას გამონახავენ...

## „ვესტ ჰემის" უცნაური იდეა

უკვე დიდი ხანია, პაოლო დი კანიოს "ვესტ ჰემი" დაცვაში არსებულ პრობლემებს უჩივის. "ვესტ ჰემი" არაერთხელ მდგარა პრიმერადივიზიონიდან გავარდნის საფრთხის წინაშე, თუმცა, დაცვის გაძლიერება აქამდე მაინც ვერ მოახერხა. ახლა კი კლუბის ხელმძღვანელობას უცნაური იდეა ეწვია: "ვესტ ჰემმა" გადაწყვიტა, "პენსიაში" გასული ტონი ადამსი ფეხბურთში დააბრუნოს.

ლონდონის "არსენალის" ექს-კაპიტანმა თავისი ხანგრძლივი კარიერა, მართლაც, ბრწყინვალედ განვლო. 1996 წლიდან მოყოლებული, ადამსი მხოლოდ "არსენალში" თამაშობდა და მეთოფეთა მაისურით 28 გოლი გაიტანა. ათლეტური აღნაგობის ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშიც სისტემატურად ხვდებოდა. ადამსი მონაწილეობდა 1990, 1994, 1998 და 2002 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე, არც 1988, 1996 და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატები გამოუტოვებია. 2002 წელს ადამსმა ფეხბურთს თავი დაანება. ახლა კი "ვესტ ჰემს" ვეტერანი ფეხბურთელის სპორტში დაბრუნება აქვს განზრახული.

## სეოლს ბელგიაში აღარ უნდა

ვინც 2002 წლის აზიურ მუნდიალს თვალს ადევნებდა, ეხსომება სამხრეთ კორეის ეროვნული ნაკრების ფორვარდი სეოლი, რომელმაც მერვედფინალში იტალიის ნაკრებსაც კი გაუტანა გოლი. 24 წლის ფეხბურთელი აქამდე ბელგიურ "ანდერლეხტში" თამაშობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბელგიური კლუბი მისი ამბიციებისთვის შესაფერისი არ აღმოჩნდა და კორეელმა გუნდის დატოვება გადაწყვიტა.

ცოტა ხნის წინ სეოლმა უარი თქვა "ანდერლეხტთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე და განაცხადა, რომ სულაც არა აქვს ბელგიაში დარჩენის სურვილი. სეოლს, ალბათ, ის ათამამებს, რომ მისი შეძენა ორ ინგლისურ კლუბს ("ვესტ ჰემსა" და "ტოტენჰემს") სურს. ასე რომ, სეოლი დარწმუნებულია: ბელგიის დატოვების შემთხვევაში, იოლად მონახავს "ანდერლეხტზე" უკეთეს გუნდს.

## რონალდოს უკუპერო „ინტერი" უნდა

უკვე კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ბრაზილიელმა რონალდომ მილანის "ინტერი" დატოვა, "ფენომენი" კი დღემდე ვერ ახერხებს მასიმო მორატის კლუბის დავიწყებას და შემთხვევას ხელიდან არ უშვებს, "ინტერის" ტიფოზებს არ შეახსენოს, გუნდიდან წასვლა კუპერმა მაიძულაო.

როგორც ჩანს, რონალდო მძიმედ განიცდის, რომ ერთ დროს "ინტერის" ტიფოზთა კერპი, ახლა მილანში მოღალატედ ითვლება და მუდამ ცდილობს, თავი იმართლოს. ახლახან რონალდომ კიდევ ერთხელ შეახსენა თავი "ინტერის" ფანებს - განაცხადა, რომ, შესაძლოა, მილანში დაბრუნდეს.

"რეალში" თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. ეს საოცარი კლუბია და აქედან არსადაც არ წავალ, მაგრამ თუ ოდესმე სადმე გადასვლას დავაპირებ, ეს ისევ "ინტერი" იქნება, ოღონდ - კუპერის გარეშე. დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი ოდესმე "ინტერში", პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ამ კლუბს შესანიშნავი ტიფოზები ჰყავს", - თქვა "რონიმ".

## ოლივერ კანის ვაჟი უკვე სახლშია

ოლივერ კანის უმცროსი შვილი 7 მარტს მოევლინა ქვეყანას და დაბადებისთანავე საზოგადოების, განსაკუთრებით კი ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. პატარა დავიდ კანის პორტრეტი ჯერ არც ერთი გაზეთის ფურცლებზე არ მოხვედრილა. "ოლის" მეუღლე, სიმონე, გუშინ გამოვიდა სამშობიაროდან და მარტო გაემართა სახლისკენ, რადგან ოლივერ კანმა არ ისურვა ზედმეტი აჟიოტაჟის ატეხვა და სიმონეს და დავიდს შინ ელოდებოდა.

ახლა ყველას ერთი რამ აინტერესებს: როგორ მოიქცევა კანი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, დატოვებს თუ არა ოჯახს თავაწყვეტილი "პარტ გერლის" გამო. ჯერჯერობით, თავად კანმაც არ იცის, რა ქნას. როგორც მან "პლეი ბოისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ოჯახის ღალატი ისეთი მავნე რამ არის, რომელმაც შეჩვევა იცის. ამ ჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო...

ეყოფა კანს ძალა ამ მავნე ჩვევასთან საბრძოლველად?

## ტრაგედია სუდანში

გუშინ სუდანის დედაქალაქ ხართუმიდან 80 კილომეტრზე მოხდა ავტოკატასტროფა, რომელსაც სუდანური გუნდის, "ალ მერეიხის" წევრებიც ემსხვერპლნენ. ავტობუსი, რომლითაც სპორტსმენები მგზავრობდნენ, ხევში გადაიჩეხა. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, რა გახდა ამ ტრაგედიის მიზეზი.

როგორც სააგენტო "სუნა" იუწყება, დაღუპულთა შორის ორი ქალი და სამი ბავშვია. რაც შეეხება თავად "ალ მერეიხს", გუნდმა ავტოკატასტროფის შედეგად რამდენიმე ფეხბურთელი და მთავარი მწვრთნელი დაკარგა.

# მატჩი, რომელიც კიდევ დიდხანს გვემახსოვრება

### ვისენტე დელ ბოსკე: "აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ უკვე მეოთხედფინალში ვართ"

აკა ტონია

ჩემპიონთა ლიგის გუშინწინდელი მატჩი მადრიდის "რეალსა" და "მილანს" შორის ბევრმა ვადამდელ ფინალადაც კი მონათლა. სპეციალისტთა დიდი ნაწილი ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების პოტენციურ ფინალისტებად სწორედ ამ კლუბებს მიიჩნევს. ძნელია, არ დაეთანხმო ამ აზრს - "სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართული მატჩი, მართლაც, უმაღლესი საფეხბურთო ოსტატობის დემონსტრაცია იყო, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მილანელები აშკარად ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს. ცხადია, ვარაუდი რომ გამართლდეს და ფინალში, მართლაც, ეს ორი გუნდი შეხვდეს ერთმანეთს, "რეალი" ბევრად უფრო დიდ წინააღმდეგობას წააწყდება.

მაგრამ ფინალამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. ახლა, ალბათ, ჯობს, ამ მატჩზე, "პატარა ფინალზე" ვისაუბროთ, მით უმეტეს, რომ გვაქვს შესანიშნავი საშუალება, "რეალისა" და "მილანის" მატჩი მის უშუალო მონაწილეებთან, "რეალის" ფეხბურთელებთან და ხელმძღვანელებთან ერთად გავაანალიზოთ.

ეს შეხვედრა იმითაც იყო გამორჩეული, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" კვლავ გამოჩნდა "რეალის" გულშემატკივართა უსაყვარლესი ფეხბურთელი ფერნანდო რედონდო, თუმცა, ამჯერად ის მეტოქის რანგში ესტუმრა მადრიდს. "სამეფო კლუბის" ქომაგები რედონდოს საკადრისად, თბილად შეხვდნენ. არგენტინელი ჯერ კიდევ ძალიან უყვართ მადრიდში. "რეალი"-"მილანის" მატჩის შესახებ საუბარს სწორედ რედონდოს კომენტარით ვიწყებთ.

**ფერნანდო რედონდო:** "მადრიდში განუმეორებელი დახვედრა მომიწყვეს. ასეთ გულთბილ შეხვედრას ვერც კი წარმოვიდგენდი. "ბერნაბეუმ" თავისი სიყვარული დამიმტკიცა. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველას დიდი მადლობა გადავუხადო. გულშემატკივართა შეძახილებმა და რაულის საქციელმა ძალიან იმოქმედა ჩემზე. არ ვიცი, დავიბრუნებ თუ არა უწინდელ ფორმას, მაგრამ, საბედნიეროდ, ტრავმები მოვიშუშე და ახლა აქ ვარ. ვფიქრობ, დღეს ვადამდელი ფინალი იყო. "რეალი" და "მილანი" უდიდესი ისტორიის მქონე კლუბებია. კარგი იქნება, თუ მანჩესტერში, ფინალში, ისევ ეს ორი გუნდი შეხვდება ერთმანეთს".

**გუტი:** "ჩემი გოლი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ცოტა ხნით ადრე რივალდომ ანგარიში შეამცირა და უკანასკნელ წუთებზე სიმშვიდის შენარჩუნება გვჭირდებოდა. ცხადია, ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ბრძოლა არ დასრულებულა. "ბორუსიამ" თავისი ამოცანა შეასრულა და გაიმარჯვა. ამიტომ მოსკოვში მოსაგებად მივემგზავრებით".


"რეალმა" ვადამდელ "ფინალში" გაიმარჯვა

*გუტი ფერნანდო რედონდოს შესახებ:*

"რედონდო უდიდესი ფეხბურთელია. მან ბევრი რამ გააკეთა მადრიდის "რეალისთვის". ის განუმეორებელი მოთამაშეა, რომელმაც გულშემატკივართა უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა".

**ივან ელგერა:** "ტრავმა ბოლომდე არ მომშუშებია. თამაშისას ტერფი მტკიოდა, განსაკუთრებით, გრძელი გადაცემებისას, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ. ცხადია, მეტოქე ძალიან ძლიერი იყო. ეს იყო "მილანი", როგორსაც ყველა ელოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ "რეალიც" ისეთი იყო, როგორსაც გულშემატკივრები შეეჩვივნენ".

*ელგერა რონალდოს მისამართით პასის შესახებ:*

"ეს, მართლაც, კარგი პასი იყო. რონალდო მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა, გოლი ვერ გაიტანა. მთავარია, საგოლე მომენტების შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანის რეალიზაცია შეუძლებელია. იმედი მაქვს, შემდეგში, როდესაც ასეთივე პასს მივცემ, რონალდო გაიტანს".

*"ლოკომოტივის" წინააღმდეგ წარუმატებელ მატჩზე:*

"ის ფრე ძალიან დასანანია. ეს იყო, ალბათ, ერთადერთი შეცდომა, რომელიც ჩვენ დავუშვით. 2:0-ს ვიგებდით და გამარჯვება ხელიდან გავუშვით. იმ მატჩის შედეგმა გამოიწვია ის, რომ მოსკოვში მშვიდად ვერ მივემგზავრებით - აუცილებლად გამარჯვება გვჭირდება. ვერ ვიტყვი, რომ იოლი მატჩი გველის, რადგან საკუთარი გულშემატკივრების წინაშე "ლოკომოტივი" გამარჯვებას შეეცდება".

**იკერ კასილიასი:** "მოსკოვში უნდა გავიმარჯვოთ, რათა სხვების შემყურე არ დავრჩეთ. "ლოკომოტივს" მოტივაცია დაკარგული აქვს, სამაგიეროდ, მატჩს ცივი გონებით მოეკიდება. გამარჯვება მომდევნო ეტაპზე გაგვიყვანს, მაგრამ თუ ვერ მოვიგეთ, მეორე შეხვედრის ანგარიშზე ვიქნებით დამოკიდებული".

*კასილიასი "დეპორტივოს" დამარცხების შესახებ:*

"დასანანია, რომ ესპანური კლუბი გამოვარდა. თანავუგრძნობ "დეპორტივოს", მაგრამ ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავს ვქომაგობთ".

*"რეალის" თამაშზე:*

"ამ მატჩში ჩვენს თამაშს ასე შევაფასებდი: გუნდი ერთ მუშტად იყო შეკრული. მხოლოდ ერთი შეცდომა მოგვივიდა - გოლი გავუშვით, მაგრამ ჩვენც მალევე გავიტანეთ "მილანის" კარში. 2:0-ის შემდეგ დავმშვიდდით, შესაძლოა, ზედმეტადაც კი. ძალიან უსიამოვნო იყო, როცა რივალდომ გაგვიტანა, რადგან კიდევ ერთი ბურთიც და ძალიან გავირთულებდით საქმეს".

**რაული:** "ძალიან მნიშვნელოვან გამარჯვებას მივაღწიეთ. დაგვრჩა მხოლოდ მოსკოვის მატჩი, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ეს კარგი საღამო იყო - ჩემპიონთა თასის საღამო, რომელმაც ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც უდიდესი სიამოვნება მიანიჭა".

*რაული საკუთარი თამაშის შესახებ:*

"ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უფრო მთავარი გამარჯვებაა. დიდი მადლობა გულშემატკივრებს უდიდესი სიყვარულისთვის. მათ კარგად იციან, რომ "რეალის" მაისურის ტარება დიდი პატივია და მეც შევეცადე, მათთვის სიამოვნება მიმენიჭებინა".

*ფერნანდო რედონდოს შესახებ:*

"გულშემატკივარი რომ ასე თბილად შეხვდა რედონდოს, ეს მისი ადამიანური ღირსებებისა და პროფესიონალიზმის "ბრალია". მან ნამდვილად დაიმსახურა ეს აღიარება. ჩემზე ძალიან იმოქმედა გულშემატკივართა ოვაციამ, რომელიც რედონდოს მოუწყვეს. ასეთი რამ ძალიან ალამაზებს ფეხბურთს. ჩვენი ქომაგები მადლიერები არიან ყოველივე იმისთვის, რაც მან კლუბისთვის გააკეთა. ძალიან მიხარია. ის ჩემი მეგობარია. ახლა მე მისი მაისურა მაცვია. ნეტავი კიდევ შევხვდეთ, მანჩესტერში".

*"ლოკომოტივთან" მატჩის შესახებ:*

"მოსკოვში გასამართი შეხვედრა კიდევ უფრო მაღელვებს, ვიდრე ეს. თავს დამშვიდების უფლება არ უნდა მივცეთ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ იოლად მოვიგებთ. საბრძოლველად უნდა განვეწყოთ, საკუთარი თამაში უნდა ვითამაშოთ და გავიმარჯვოთ, რათა "მილანი"-"ბორუსიას" მატჩის შედეგზე არ ვიყოთ დამოკიდებული. "მილანთან" გამარჯვებამ კარგი ფსიქოლოგიური განწყობა შეგვიქმნა".

**ვისენტე დელ ბოსკე:** "ეს იყო უდიდესი სანახაობა, რომელიც ორმა, ერთნაირი ამოცანების მქონე გუნდმა აჩვენა. "მილანი" აგრესიულად თამაშობდა. კარგად დამამახსოვრდა რივალდოს გოლი - როგორ ეძებდნენ ისინი ამ გოლს, როგორ ცდილობდნენ, ფრესთვის მიეღწიათ. ეს იყო კარგი "მილანი", მაგრამ ჩვენ მაინც ცოტათი უკეთესები ვიყავით.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ უკვე მეოთხედფინალში ვართ. მიუხედავად იმისა, რომ იქ თამაში ყოველთვის რთული იყო, მოსკოვში გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. "ლოკომოტივთან" გამარჯვებულის მენტალიტეტით უნდა ჩავიდეთ".

*დელ ბოსკე რედონდოს შესახებ:*

"ჩვენ ვნახეთ გულშემატკივრის უდიდესი ერთგულება იმ ფეხბურთელის მიმართ, რომელიც ჩვენი კლუბის მთელ ეპოქას განასახიერებს და ფეხბურთელისა და ადამიანობის ეტალონია".

**ხორხე ვალდანო:** "დიდებული მატჩი იყო. გულშემატკივარი მატჩის ბოლომდე გვერდში ედგა გუნდს. ვფიქრობ, უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, რადგან უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით. ეს მატჩი დიდხანს გვემახსოვრება".

*ვალდანო რედონდოს შესახებ:*

"ლამაზი სანახავი იყო, თუ როგორ გამოხატავდნენ ტრიბუნები მის მიმართ მადლიერებას. რედონდო ფეხბურთელის ეტალონია და გულშემატკივარმა მას დამსახურებული ოვაცია გაუმართა".

# „ინტერის" ფეხბურთელებმა კვლავ იხულიგნეს

### კრისტიან ვიერის რასიზმში ედება ბრალი

ნინო პირველი

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ტურის წინ მილანის "ინტერში" დიდი მღელვარება შეიქმნა. თითქოს ექტორ რაულ კუპერს სადარდებლად ის არ ეყოფოდა, რომ მისმა ნაქებმა გუნდმა, რომელიც, უკვე მეორე წელია, ამაოდ ცდილობს ოცნებად ქცეული სკუდეტოს მოპოვებას, საკუთარ მოედანზე ბობი რობსონის არაფრით გამორჩეულ "ნიუკასლს" ვერ მოუგო და, კაცმა არ იცის, მოხვდება თუ არა მეოთხედფინალში. ახლა კი ამ ყველაფერს, შესაძლოა, UEFA-ს ადმინისტრაციული სასჯელი დაემატოს: სტადიონის დისკვალიფიკაცია ან უფრო უარესი - ვინ იცის, რა მოუვა თავში UEFA-ს სადისციპლინო კომისიას...

მილანელთა საუკეთესო გოლეადორი, კრისტიან ვიერი, აქამდე არასოდეს ყოფილა შემჩნეული რასისტულ გამოხდომებში. ვიერის მაშინაც კი არ გაულანძღავს მოწინააღმდეგე, როცა მუნდიალის მერვედფინალში სამხრეთ კორეის ნაკრებთან ურთულეს მატჩს ატარებდა და მსოფლიო ჩემპიონატიდან გამოვარდნისგანაც არც ისე შორს იყო. საინტერესოა, ისეთი რა მოხდა "ნიუკასლთან" მატჩში, რომ "ბობო" ასე გაღიზიანდა? მართალია, ინგლისელები "სან-სიროზე" თავიდანვე დაწინაურდნენ და ერთხანს იგებდნენ კიდეც, მაგრამ განა ეს თავად იტალიელთა ბრალი არ არის? თუ "ბებერ" ალან შირერს შეუძლია გოლების გატანა, რატომ ვერ უნდა ახერხებდეს ამას ახალგაზრდა კრისტიან ვიერი? და თუ გოლი შირერმა გაგიტანა, რა შუაშია აქ კონგოელი ლომანა ლუალუა?

იტალიის ნაკრები აქამდე ისე მოვიდა, ჰოლანდიელებისა და ინგლისელებისგან განსხვავებით, ეროვნულ ნაკრებში არასოდეს ჰყოლია ფერადკანიანი ფეხბურთელები. "სკუადრა აძურა" მუდამ "წმინდა სისხლის" გუნდი იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იტალიელები რასისტებად იყვნენ ჩამოყალიბებული. რასისტი არც კრისტიან ვიერი ყოფილა. ლუალუას იმიტომ წაეჩხუბა, რომ "ნიუკასლის" კონგოელი საჯარიმოს დარტყმას აგვიანებდა – ცდილობდა, დრო გაეყვანა. ვიერის ადგილას ნებისმიერი ფეხბურთელი ასე მოიქცეოდა და ეს ინციდენტი, ალბათ, არც კი მიიქცევდა საზოგადოების ყურადღებას, რომ არა ერთი გარემოება: ფეხბურთელი, ვისაც ვიერი აუხირდა, შავკანიანი იყო. რა უთხრა ვიერიმ ლუალუას? არავინ იცის. კონგოელი ამტკიცებს, შეურაცხყოფა მომაყენაო, იტალიელი კი ირწმუნება, ისეთი არაფერი მითქვამსო. მიდი და გაარკვიე, ვინ არის მართალი...

"მე მისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. ყველაფერი სათამაშო სიტუაციაში მოხდა. მატჩის მერე ლუალუას არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს. ვერ გამიგია, რატომ ატყდა ასეთი აჟიოტაჟი", - გაოცებული კითხულობს ვიერი. იტალიელი ფორვარდი ძალიან კი უარყოფს ბრალდებას, მაგრამ UEFA თითქმის დარწმუნებულია, რომ ვიერი, მართლაც, დამნაშავეა და მის დასჯას აპირებს. წინასწარი მონაცემებით, ფეხბურთელს, ალბათ, დისკვალიფიკაციას მისცემენ, რაც "ინტერისთვის" მძიმე დანაკლისი იქნება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ კუპერის გუნდს უკვე აკლია არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო. მართალია, მილანელები ბოლო ტურში ხვდებიან სასტიკად დასუსტებულ ლევერკუზენის "ბაიერს", რომელსაც მეორე ეტაპზე ერთი მატჩიც კი არა აქვს მოგებული, "ნიუკასლმა" კი ქედმაღალ "ბარსელონასთან" უნდა გაარკვიოს ურთიერთობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, "ინტერს" სულაც არა აქვს გარანტირებული მეოთხედფინალში გასვლა. კრესპოსა და ვიერის გარეშე თვით ბუნდესლიგის აუტსაიდერ "ბაიერთანაც" კი ძნელი იქნება გამარჯვების მოპოვება. ეს შესანიშნავად ესმის მასიმო მორატის. ამიტომაცაა, ასე გაბრაზებული რომ ამბობს, დროა, ზოგიერთებმა ემოციების მოთოკვა ისწავლონო.

"ვიერიმ ახლა იგივე სისულელე გააკეთა, რაც რეკობამ ბარსელონაში, როცა კარლეს პუიოლს სახეში ჩაარტყა ფეხი. მაშინ "ბარსა" 3:0-ს იგებდა და ასეთი უაზრო აგრესია სრულიად არ იყო საჭირო. რეკობას მსგავსად, არც ვიერის უფიქრია იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ყველაფერს. გააკეთა და მორჩა. ახლა კი მოსალოდნელი სასჯელის გამო უნდა ვინერვიულოთ მთელი კვირა", - თქვა მორატიმ.

ნერვიულობა "ინტერის" ბოსებს ნამდვილად არ ასცდებათ. როგორი წარმოსადგენია ტიტულებზე მეოცნებე "ინტერისთვის" ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე ჯგუფში ჩარჩენა?


რასიზმში ბრალდებული კრისტიან ვიერი

## რაგბი

# ქართველებით მდიდარი საფრანგეთი

პაატა თოთაძე

*ისე ხდება, რომ საფრანგეთში მობურთალ ქართველებზე ინფორმაციის მოძიებისას, უმეტესად TOP 16-ში (უმაღლესი დივიზიონი) და PRO D2-ში (მეორე დივიზიონი) მოთამაშეებზე ვიგებთ, რას და როგორ აკეთებენ. მაგრამ, მათ გარდა, საფრანგეთში კიდევ უამრავი ქართველი, მათ შორის, ნაკრების წევრი თამაშობს.*

ამ ქვეყნის ჩემპიონატის მესამე დივიზიონში 48 გუნდი თამაშობს. ისინი, რეგიონული პრინციპით, ოთხ ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი. პირველ ჯგუფში გათამაშებას შარშან PRO D2-დან გავარდნილი "ტური" ლიდერობს. ამ გუნდში ირიცხებიან მალხაზ ურჯუკაშვილი და თედო ზიბზიბაძე, თუმცა, საქართველო-რუსეთის მატჩის გამო ორივემ გამოტოვა ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩი, რომელშიც "ტური" უშუალო კონკურენტს, მეორე ადგილზე მყოფ "ბურგს" სტუმრობდა. ქართველთა არყოფნის მიუხედავად, ლიდერს არ გასჭირვებია მეტოქის დამარცხება – 41:16. "ტურისგან" განსხვავებით, ქართველთა მეორე გუნდი (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), "დომონი", სატურნირო ცხრილის ბოლოშია. კლუბმა, რომლის ღირსებასაც მჭედლიშვილი, კუთარაშვილი და მარგველაშვილი იცავენ, ბოლო ტურშიც წააგო.

მეორე ჯგუფში "შამბერი" და "ექსი" ლიდერობენ. რაც შეეხება "კანს", რომელშიც ვასილ აბაშიძე და მათიაშვილი არიან, ბოლოსწინა ადგილზეა. კარგი თამაშით ვერც "ნიმი" დაიკვეხნის. მოდებაძისა და დათუნაშვილის ძალისხმევის მიუხედავად, გუნდი მერვე ადგილს ვერ ასცდა.

უქართველებო მესამე ჯგუფში ისეთი ვითარებაა, რომ პლეი-ოფში მოხვედრის შანსი ერთბაშად რამდენიმე გუნდს აქვს. ასე რომ, ამ ჯგუფში, ბოლო ტურებში, ფიცხელი ბრძოლაა მოსალოდნელი.

მეოთხე ჯგუფში გამარჯვების შანსს ინარჩუნებს ჭავჭავაძის "ლაველანი". გუნდი მესამე ადგილზეა და ლიდერს, "ლიმოჟს", ორი ქულით ჩამორჩება. სხვათა შორის, კვირას განცდილი მარცხით "ლაველანმა" ცხრილის სათავეში მოქცევის ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან.

სანამ ქვედა დივიზიონებში კლუბები ქართველების გარეშე თამაშობდნენ, TOP 16-ში დიდი ამბები დატრიალდა. "მონფერანის" პლეი-ოფს მიღმა დარჩენამ კლუბის დირექტორი კრისტოფ მომბე და უკანახაზელთა ავსტრალიელი მწვრთნელი სკოტ ვაისმანტელი შეიწირა. მათი გათავისუფლების გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობამ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ მიიღო. ვერდიქტი ასეთი იყო: "იმ მოთამაშეებით, რომლებიც კლუბში ირიცხებიან, "მონფერანმა" გაცილებით დიდ წარმატებებს უნდა მიაღწიოს, ვიდრე, უბრალოდ, პლეი-ოფში გასვლაა. აქედან გამომდინარე, ჩვენი წლევანდელი შედეგი კატასტროფაა, სხვა არაფერი. წარმატებას თუ წარუმატებლობას თავისი შემოქმედი ჰყავს. ჩვენს შემთხვევაში, სამწუხაროდ, წარუმატებლობის შემოქმედი უნდა ვეძებოთ". ვილაცას რომ იპოვიდნენ, ცხადი იყო, მაგრამ, საინტერესოა, ის "ვილაცა" ნამდვილად ის არის, ვისაც "მონფერანის" წარუმატებლობაში მიუძღვის ბრალი? ამ კითხვას, ახლო მომავალში, ელიტაში დასარჩენად ბრძოლაში ჩაბმული კლუბი შედეგებით უპასუხებს.

## ოლიმპიზმი

# „ათენი 2004"-ის ბილეთები სარეკორდო ვადებში იყიდება

მიხეილ აბაიშვილი

XXI საუკუნის პირველი ოლიმპიური თამაშებისადმი ინტერესი სულ უფრო მატულობს. მიუხედავად იმისა, რომ თამაშების ორგანიზატორები ფინანსურ პრობლემებს განიცდიან და საორგანიზაციო ვადებში სერიოზული შეფერხებები აქვთ, ბილეთების რეალიზაცია სარეკორდო ტემპით მიმდინარეობს. ამ პროცესმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა - 2,3 მილიონი ბილეთიდან მესამედი უკვე გაყიდულია. ეს ბილეთები ახლა საბერძნეთის ფარგლებს გარეთ იყიდება. კერძოდ, მათ რეალიზაციას ახდენენ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, ოლიმპიადის სპონსორები და პარტნიორები. 2003 წლის 1 იანვრისთვის დაიბეჭდა და სარეალიზაციოდ გამზადებულია 5,3 მილიონი ბილეთი. შემდგომი რეალიზაციისთვის კიდევ 3 მილიონი ბილეთი მიმდინარე წლის 12 მაისისთვის დაიბეჭდება.

თუმცა, ამ პროცესით "ათენი 2004"-ის ორგანიზატორები მაინცდამაინც მოხიბლულები არ არიან. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გუშინ ათენში გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთდა განცხადება, რომლის მიხედვითაც, სხვა ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, სპონსორები და პარტნიორები დაადანაშაულეს იმაში, რომ მათ მოითხოვეს იმაზე მეტი ბილეთი, რისი რეალიზაციის საშუალებაც მათ ორგანიზაციებს აქვთ. საბერძნეთის გარეთ გაყიდული ბილეთებიდან ორგანიზატორები ოლიმპიადიდან მიღებული სავარაუდო მოგების დაახლოებით 10 პროცენტის, ანუ 200 მილიონი დოლარის მიღებას გეგმავენ.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაღალჩინოსნები ამ "ბერძნული ბუღალტერიით" მოხიბლულნი არ არიან და ორგანიზატორებს, პირველ რიგში, მოსამზადებელი სამუშაოების დაჩქარებისკენ მოუწოდებენ. ამჟამად "ათენი 2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის ბიუჯეტში სერიოზული, რამდენიმე ასეულმილიონიანი გარღვევაა და საბერძნეთის ხელისუფლება ვერ ახერხებს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებას. ეს კი ოლიმპიური მოძრაობის მამებს ეჭვს უჩენს, რომ ოლიმპიადის მამამთავრებმა შეიძლება ვერ მოასწრონ საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარება. ასეთ მოსაზრებას ისიც აძლიერებს, რომ რამდენიმე ახალი ოლიმპიური არენის მშენებლობის ვადებში აშკარა ჩავარდნაა.

## სამთო-სათხილამურო სპორტი

# ებერჰარტერმა გლობუსს შემოუარა

ბიბა ბურასაშვილი

*ლილეჰამერის ფერდობებზე შეფენილ ნორვეგიელთა სურვილი, მათ რომელიმე თანამემამულეს მიეღწია გამარჯვებისთვის, სურვილად დარჩა. არადა, ასე ახლოს იყვნენ სანუკვარ მიზანთან... მას შემდეგ, რაც ავსტრიელმა შტეფან ებერჰარტერმა შტურმით აილო სუპერ-გიგანტის ფინიშის ხაზი, სკანდინავიელთა ოცნებას ფრთები მოეკვეცა. გუშინდელი დღე ამავე დისციპლინის ქალ მოთხილამურეებსაც დაეთმოთ, მაგრამ სკანდინავიელები უემოციონი იყვნენ. ბუნებრივიცაა: ამ სახეობის სტარტზე მათი თანამემამულე არ გასულა.*



"ბროლის გლობუსი" შტეფან ებერჰარტერისაა

შეჯიბრების მასპინძელთა (ნორვეგიელთა) დიდი სურვილის მიუხედავად, მათ თანამემამულეს გაემარჯვა, მსოფლიო თასის მე-6 ეტაპი ავსტრიელმა მოიგო. შტეფან ებერჰარტერმა სუპერ-გიგანტში მსოფლიოს უძლიერესი მოთხილამურის სტატუსი კიდევ უფრო განიმტკიცა. გუშინდელი ასპარეზობა სეზონის ბოლო, ფინალური პაექრობა გახლდათ. სუპერ-გიგანტის მოგებით ავსტრიელი ვადაზე ადრე დაეუფლა "ბროლის გლობუსს". ებერჰარტერმა ადრეულ ეტაპებზე დაგროვილი ქულები მაქსიმუმამდე გაზარდა და საერთო ჩათვლაში ველარავინ დაეწევა. ადრეულ ეტაპებზე კი, უფრო სწორად, მიმდინარე სეზონში, ავსტრიელმა მსოფლიო თასზე ცხრაჯერ იზეიმა ჩემპიონობა: ექვსჯერ - სწრაფდაშვებაში, ორჯერ – სუპერ-გიგანტში და ერთხელ - გიგანტურ სლალომში.

33 წლის ტიროლელ მოთხილამურეს სტარტიდან ფინიშამდე წუთი და 37,84 წამი დასჭირდა.

ნორვეგიელებს ისღა დარჩენოდათ, ლასე კიუსის მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყვნენ. ავსტრიელებს კი, გარდა იმისა, რომ ჩემპიონი ჰყავდათ, ლილეჰამერიდან მსოფლიო თასის ბრინჯაოს მედალიც წაიღეს შინ. ეს კი ჰანეს რეიხელტის დამსახურებაა.

და მაინც, გუშინდელი დღე ებერჰარტერის გახლდათ. მე-6 ეტაპის მოგებით მას, მთლიანად, ამ სახის ასპარეზობების 25 გამარჯვება დაუგროვდა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია.

"საოცარი სეზონი მქონდა. ვცდილობდი, ქულებზე ზედმეტად არ მეფიქრა, უფრო თავად შეჯიბრებაზე გადამეტანა ყურადღება.

მიხარია, რომ სეზონს ასე ვამთავრებ. ბევრად მეტს მივაღწიე, ვიდრე სეზონის დაწყების წინ ვფიქრობდი", - განაცხადა ებერჰარტერმა.

ერთადერთი, ვისაც შეეძლო, ებერჰარტერისთვის "ბროლის გლობუსისკენ" მიმავალ გზაზე ხელი შეეშალა, ამერიკელი ბოდე მილერი იყო. მთელი სეზონის განმავლობაში ებერჰარტერის ფეხდაფეხ მდევარმა ამერიკელმა, არათუ წინააღმდეგობა ვერ გაუწია ვეტერან მოთხილამურეს, მხოლოდ მე-20 ადგილი დაიკავა და ისიც - შვეიცარიელ დიდიე დეფაგოსთან ერთად.

რაც შეეხება ქალ მოთხილამურეებს, განსხვავება ის არის, რომ "ბროლის გლობუსს" ჯერ კიდევ 6 მარტს გამოუჩნდა პატრონი. მაშინ, შვეიცარიულ არეში, გიგანტურ სლალომში ასპარეზობისას, ხორვატი იანიცა კოსტელიჩისთვის მეექვსე ადგილის დაკავებაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყველასთვის სანუკვარ ჯილდოს დაუფლებოდა. ასე რომ, გუშინდელ დღეს ქალ მოთხილამურეთათვის მხოლოდ მსოფლიო თასის მე-8 ეტაპის პრიზიორთა გარკვევა ევალებოდა. პირველობა კი იტალიელმა კარენ პუცერმა იზეიმა. მას ჩემპიონობისთვის წუთი და 21,77 წამი დასჭირდა. ბევრად უფრო დაძაბული გამოდგა ბრძოლა მეორე ადგილისთვის, თუმცა, ის ერთდროულად ორმა სპორტსმენმა (ავსტრიელმა ალექსანდრა მაისნიცერმა და გერმანელმა მარტინა ერტლმა) დაიკავა. მათ მსოფლიოს თასის მერვე ეტაპი ერთნაირი შედეგით დაასრულეს (1.22,35). "ბროლის გლობუსის" გამარჯვებულმა კოსტელიჩმა კი მე-14 შედეგით გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

## კალათბურთი

# კარლ მელოუნმა ახალი სიმაღლე დაიპყრო

"იუტა ჯაზის" ლიდერი, კარლ მელოუნი, NBA-ს ისტორიაში მეორე კალათბურთელია, ვინც კარიერის მანძილზე მოპოვებული ქულებით 36 000-იან ნიშნულს გასცდა. "ფოსტალიონისთვის" (ამ მეტსახელით მოიხსენიებენ მელოუნს აშშ-ში,-რედ.) ეს სასიხარულო ამბავი მოხდა "იუტასა" და "ორლანდო მეჯიკის" გუშინდელ მატჩში, რომელშიც 39 წლის კალათბურთელმა 40 ქულა მიითვალა. საინტერესოა, რომ თავად მელოუნს ამ "მრგვალ" რიცხვზე უფრო ის გაუხარდა, რომ მისმა გუნდმა "ჯადოქრები" დაამარცხა. "ჩემს ასაკში, სტატისტიკაზე მეტად, გუნდის გამარჯვება გიხარია", - განუცხადა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს "მხცოვანმა" კალათბურთელმა.

NBA-ს შედეგიანობის რეკორდი კი ეკუთვნის ლეგენდარულ ქარიმ აბდულ-ჯაბარს, რომლის ანგარიშზეც 38 387 ქულაა. მას კვალში ჩაუდგა კარლ მელოუნი, ხოლო მესამე და მეოთხე პოზიციებზე არიან ასევე ამერიკული კალათბურთის ლეგენდები უილტ ჩემბერლენი და მაიკლ ჯორდანი.

## მოკლედ

**ჩოგბურთი.** საერთაშორისო ფედერაციის ზეწოლისგან თავდასაცავად პროფესიონალმა ჩოგბურთელებმა გადაწყვიტეს, საკუთარი, ოპოზიციური ორგანიზაცია ჩამოაყალიბონ. ამ წამოწყების ინიციატორი გახდა სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირა. მან მსოფლიო ჩოგბურთის ამერიკელ ვეტერანთან, ჯეფ ტორანგოსთან ერთად ჩამოაყალიბა ვაჟთა ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაცია (IMTA). ამჟამად ორგანიზაცია აქტიურ აგიტაციას ეწევა პროფესიონალ ჩოგბურთელთა შორის და, როგორც ჩანს, პირველი შედეგებიც მიიღო. IMTA-ს მხარი დაუჭირა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა. „მე ვეთანხმები უეინ ფერეირას აზრს, რომ ATP-მ ჩოგბურთელებისთვის არაფერი გააკეთა. მან უნდა იცოდეს, რომ ჩოგბურთელებსაც აქვთ ხმის ამოღების უფლება", - განუცხადა BBC-ის ავსტრალიელმა. ლეიტონ ჰიუიტი პირველი ათეულის პირველი ჩოგბურთელია, რომელიც უეინ ფერეირას წამოწყებას მიემხრო.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლომ ორი თვით (8-დან 6 თვემდე) შეამცირა ცნობილი იტალიელი ველომრბოლის მარკო პანტანის დისკვალიფიკაცია. ასე რომ, პანტანი უკვე ორშაბათიდან ჩაებმება შეჯიბრებებში. თუმცა, პანტანი ვალდებულია, ჯარიმის სახით, 3 ათასი შვეიცარიული ფრანკი გადაიხადოს.

■ ■ ■

**კრივი.** ცნობილი ამერიკელი მოკრივე, პერნელ უიტაკერი, ორ წელიწადზე მეტს გაატარებს ნარკოლოგიურ დაწესებულებაში. 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 2001 წლის აგვისტოში, ნარკოტიკების მოხმარებაში ამხილეს. მეტიც: უიტაკერმა კოკაინი მიიტანა სასამართლო დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ, რომელშიც თვითონაც იყო გახვეული. მაშინ უიტაკერს თავდებით ოთხწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, მას შემდეგ, რაც წლეულს ისევ აღმოუჩინეს ნარკოტიკული ნივთიერებები, იგი კვლავ პასუხისგებაში მისცეს. ახლა უიტაკერს 27 თვის განმავლობაში მოუწევს სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის გავლა სპეციალურ გამოსასწორებელ დაწესებულებაში.

## ჰოკეი

# ტოტალიზატორი ჰოკეისტთან დაცვით ტაქტიკაშია

ბიბა ბურასაშვილი

*კაზინოში დადიან ისინი, ვისაც ფული აქვს, ან არა აქვს და ერთბაშად გამდიდრება სურს. ჩვენს შემთხვევაში ჩეხ ჰოკეისტს, იარომირ იაგრის, ფულიც აქვს და სახელითაც ქუხს. თუმცა, მილიონებმა აზარტული თამაშების სიყვარულიც რომ იცის, ესეც ფაქტია. ცოტა ხნის წინათ იაგრიმ ტოტალიზატორში ნახევარი მილიონი დოლარი წააგო. ცნობილ სპორტსმენთა შორის ეს არც პირველი შემთხვევაა და, ალბათ, არც უკანასკნელი.*

დღეს უკვე არავისთვის საიდუმლო არ არის ჩეხი ჰოკეისტის, "ვაშინგტონ კეპიტალზის" ფორვარდის იარომირ იაგრის პათოლოგიური მიდრეკილება აზარტული თამაშებისადმი. რამდენიმე წლის წინათ იაგრი, თურმე, caribsports.com-ის ინტერნეტ-საიტის ხშირი სტუმარი გახლდათ. თითქოს, რა უნდა იყოს ამაში უჩვეულო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ caribsports.com-ს აქვს ვირტუალური კაზინო და საბუკმეიკერო კანტორა, ყველაფერი გასაგები ხდება. თურმე, ნუ იტყვით და, ჩეხი ჰოკეისტი ამ უკანასკნელის მეშვეობით ფსონებს ჩადიოდა. ბოლოს იმდენად შევიდა აზარტში, რომ ტოტალიზატორისადმი დავალიანებამ ნახევარ მილიონ დოლარს გადააჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი თანხა უცნობია, შთაბეჭდილების შესაქმნელად რესურსის მეპატრონის უილიამ კესარის შეღავათიც გამოდგება. კესარმა გაითვალისწინა ცნობილი ჰოკეისტის მიღწევები და ვალი 450 ათასამდე შეუმცირა. თავად იაგრიმ კი, აქაოდა, ამოდენა თანხას ერთბაშად ვერ გადაგიხდითო, ვალდებულებას ვიღებ, ყოველთვიურად კაზინოს ანგარიშს 37 ათასი დოლარით შევევნევიო. ეს ყველაფერი პრესისთვის, ალბათ, უცნობი დარჩებოდა, იაგრის ანგარიშიდან საბანკო ტრანსფერი რომ არ შეწყვეტილიყო.

პროექტის ხელმძღვანელებმა იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე და, საკუთარი მწარე გამოცდილების წყალობით თუ პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტეს, ჩეხი ჰოკეისტისთვის ტოტალიზატორში თამაში აეკრძალათ. მეტიც, პროგრამისტებმა, ამას ასე იოლად თავიდან ვერ მოვიშორებთო და, მისი მონაცემები გადაიწერეს, რაც ცნობილ ფორვარდს NHL-ის მატჩებზე ნაძლევის დადების საშუალებას აღარ მისცემდა.

"ასე რომ არ მოვქცეულიყავით, მაშინ იაგრი ისევე გაგვანადგურებდა, როგორც ამას მოედანზე, მეტოქეების წინააღმდეგ სჩადის. ეს ყველაფერი, ისევ და ისევ, საკუთარი უსაფრთხოებისთვის გავაკეთეთ", - დაცვით ტაქტიკას მიმართავს უილიამ კესერი.

თუ რატომ შეწყვიტა "ვაშინგტონ კეპიტალზის" ვარსკვლავმა ვალის დაფარვა, ჯერჯერობით, უცნობია, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ახლახან აშშ-ის საგადასახადო სამსახურმა იგი 3 მილიონ დოლარზე მეტის გადაუხდელობაში დაადანაშაულა, შესაძლოა, ყველაფრის მიზეზიც ეს იყოს.

სხვათა შორის, აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებაში ადრე მაიკლ ჯორდანიც ამხილეს. დაახლოებით, ორი წლის წინათ ჯორდანმა კაზინო "მზე მოჰიკანში" (თუ "მოჰიკანის მზეში"), იაგრისი არ იყოს, ბიუჯეტში მანაც ნახევარმილიონიანი გარღვევა იგემა. მართალია, ჯორდანის იმიჯის დასაცავად კაზინოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, არაფერი წაუგიაო, მაგრამ ფაქტია: ზოგიერთი ჩვენი ამერიკელი კოლეგა ჯიუტად მიუთითებდა, ჯორდანმა კაზინოს ადმინისტრაციას 500-ათასდოლარიანი საბანკო ქვითარი გადასცაო. ერთიც არის: როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ზემოხსენებულ კაზინოს კომპლექსში მაიკლ ჯორდანს ორი რესტორანი ჰქონია. ხომ შეიძლება, ჯორდანმა ახალი ჭურჭლის შესაძენად გაიღო ფული...

## ისტორიული ფოტო

# ეს იყო 45 წლის წინათ...


